



სს „თბილპოლიმერი“

ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას №1-ში მდებარე
პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს
მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

შემსრულებელი

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

ზ. მაგალობლიშვილი

2023 წელი

სარჩევი

1	შესავალი	7
2	პროექტის საჭიროების დასაბუთება.....	8
3	ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	9
4	საკანონმდებლო ჩარჩო	15
4.1	საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და სტანდარტები	15
4.1.1	გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	16
4.1.2	საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები.....	18
4.1.3	საერთაშორისო კანონმდებლობა და შეთანხმებები	27
5	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა.....	29
5.1	საწარმოს ადგილმდებარეობა	29
5.2	საწარმოო პროცესის აღწერა.....	32
6	ალტერნატიული ვარიანტები	42
6.1	საწარმოს განთავსების ალტერნატივა	42
6.2	ტექნოლოგიური ალტერნატივები	44
6.3	არაქმედების ალტერნატივა	45
7	საწარმოს განთავსების ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა	46
7.1	ფიზიკური გარემო	46
7.1.1	კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები	46
7.1.2	გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები.....	48
7.1.3	ტექტონიკა და სეისმურობა	49
7.1.4	ჰიდროგეოლოგიური პირობები	50
7.2	სოციალურ ეკონომიკური გარემო	50
7.2.1	მოსახლეობა	50
7.2.2	ეკონომიკური მაჩვენებლები	57
7.2.3	სოფლის მეურნეობა	63
7.2.4	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	65
7.2.5	განათლება.....	66
7.2.6	კულტურა.....	67
8	პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე	67
8.1	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება	68
8.1.1	საწარმოო პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის შეფასება ..	68
8.1.2	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება.....	83
8.1.3	ვიბრაციის გავრცელება	90
8.2	ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები	93
8.2.1	მოწყობის ეტაპი	93
8.2.2	ექსპლუატაციის ეტაპი.....	93
8.3	ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება.....	94

8.3.1	მოწყობის ეტაპი	94
8.3.2	ექსპლუატაციის ეტაპი.....	94
8.4	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება	94
8.4.1	მოწყობის ეტაპი	94
8.4.2	ექსპლუატაციის ეტაპი.....	95
8.5	ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება.....	95
8.5.1	მოწყობის ეტაპი	95
8.5.2	ექსპლუატაციის ეტაპი.....	96
8.5.3	ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გამოყენებული ღონისძიებები.....	97
8.5.4	წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდები.....	98
8.5.5	წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების პროცესები	98
8.5.6	ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები.....	99
8.5.7	ინფორმაცია ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებების შესახებ.....	99
8.6	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ობიექტებზე.....	100
8.7	სოციალურ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება..	100
8.8	კუმულაციური ზემოქმედება	101
9	გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები	103
10	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.....	106
10.1	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები.....	106
10.2	შესაძლო ავარიული შემთხვევების სახეები.....	106
10.3	ინციდენტის სავარაუდო მასშტაბი.....	108
10.4	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება	110
10.5	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა.....	119
11	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა	120
12	სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება	125
13	დასკვნები და რეკომენდაციები	134
14	გამოყენებული ლიტერატურა	140
15	დანართები	141
	დანართი 1. დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები.....	141
	დანართი 2. HACPP სახელმძღვანელო	154
	დანართი 3. სს „თბილპოლიმერის“ დირექტორის ბრძანება უვნებლობის მართვის სისტემის საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.....	171
	დანართი 4. დოკუმენტირებული ინფორმაციის არქივის წარმოების წესი	175
	დანართი 5. ნიმუშის ტესტირების შედეგები	186
	დანართი 6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიშის ამონაბეჭდი	190
	დანართი 7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	201

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1-1. ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის და საკონსულტაციო კომპანიის შესახებ. 7

ცხრილი 1-2. ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული პირების შესახებ.... 8

ცხრილი 4-1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი ნორმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 20

ცხრილი 4-2. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე- ეროვნული სტანდარტების მიხედვით..... 21

ცხრილი 4-3. ზოგადი ვიბრაციის დასაშვები მნიშვნელობები საცხოვრებელ შენობებში, საავადმყოფოს პალატებში, სანატორიუმებში- ეროვნული სტანდარტების მიხედვით..... 22

ცხრილი 4-4. დამაბინძურებლების მაქსიმალური კონცენტრაცია სასმელ წყალში..... 23

ცხრილი 4-5. ზედაპირული წყლის ხარისხის მახასიათებლები 24

ცხრილი 4-6. გაწმენდილი ჩამდინარე წყლების საპროექტო ხარისხის მოთხოვნები 26

ცხრილი 4-7. სხვადასხვა ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია და ნიადაგების ელემენტები..... 27

ცხრილი 7-1. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (°C) 47

ცხრილი 7-2. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობები (°C) 47

ცხრილი 7-3. ნალექების რაოდენობა, მმ 48

ცხრილი 7-4. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ..... 48

ცხრილი 7-5. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ 48

ცხრილი 7-6. ქარის სიჩქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები (მ/წმ) 48

ცხრილი 7-7. ქარის მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა (%)..... 48

ცხრილი 7-8. ქალაქ თბილისის მოსახლეობის რაოდენობა, ათასი კაცი, 2014-2022 წწ 50

ცხრილი 7-9. მოკვდაობა სქესისა და ასაკი მიხედვით 52

ცხრილი 7-10. გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების ძირითადი მიზეზების და სქესის მიხედვით, 53

ცხრილი 7-11. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, თბილისი 56

ცხრილი 7-12. თბილისში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი) 57

ცხრილი 7-13. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქალაქ თბილისში, 209-2022 წწ 59

ცხრილი 7-14. სამუშაო ძალის ინდიკატორები, თბილისი..... 59

ცხრილი 7-15. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ქ. თბილისი 60

ცხრილი 7-16. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქ. თბილისში (მილიონი ლარი) 61

ცხრილი 7-17. ერთ შინამეურნეობაზე მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქ. თბილისში (ლარი) 61

ცხრილი 7-18. ერთ სულზე მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქ. თბილისში (ლარი) 62

ცხრილი 7-19. ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა ქ. თბილისში 63

ცხრილი 7-20. ხილის და ჩაის ფოთლის წარმოება ქ. თბილისში (ათასი ტონა).....	64
ცხრილი 7-21. ხილის წარმოება ცალკეული სახეობების მიხედვით ქ. თბილისში (ათასი ტონა).....	64
ცხრილი 7-22. პირუტყვის, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ქ. თბილისში, წლის ბოლოსათვის (ათასი სული)	64
ცხრილი 7-23. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ქ. თბილისში (ათასი ტონა).....	65
ცხრილი 7-24. ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები (წლის ბოლოსათვის)	65
ცხრილი 7-25. რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა (წლის ბოლოს)	66
ცხრილი 7-26. პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა (წლის ბოლოს)	66
ცხრილი 7-27. სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა ქ. თბილისში (სასწავლო წლის დასაწყისისთვის)	66
ცხრილი 7-28. პროფესიული განათლების მაჩვენებლები ქ. თბილისში (ერთეული)	66
ცხრილი 7-29. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა ქ. თბილისში (სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული)	67
ცხრილი 7-30. მონაცემები თეატრების, მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების მუშაობის შესახებ ქ. თბილისში	67
ცხრილი 8-1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება	75
ცხრილი 8-2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება	76
ცხრილი 8-3. აირმტკერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება	77
ცხრილი 8-4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება	77
ცხრილი 8-5. ზდგ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის	82
ცხრილი 8-6. ზდგ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსთვის	82
ცხრილი 8-7. ხმაურის გაზომვის შედეგები.....	83
ცხრილი 8-8. წარმოებაში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების ნუსხა.....	88
ცხრილი 8-9. ოქტავური ზოლის საშუალო გეომეტრიული სიხშირეები.....	89
ცხრილი 8-10. ხმაურის გავრცელების გამოთვლის შედეგები დასაშვები ზღვრების მითითებით ...	90
ცხრილი 8-11. ვიბრაციის დონეების გაზომვის შედეგები.....	91
ცხრილი 8-12. ზოგადი (სამუშაო ადგილების) ვიბრაციის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები III კატეგორია - „ა“ ტიპის ტექნოლოგიური ვიბრაცია.....	92
ცხრილი 9-1 მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები	103
ცხრილი 10-1. ავარიული სიტუაციების დაფიქსირების მეთოდები	107
ცხრილი 10-2. შესაძლო ავარიული სიტუაციები და პრევენციული ღონისძიებები	107
ცხრილი 10-3. ავარიული სიტუაციები დონეების მიხედვით	108
ცხრილი 10-4. რისკის მისაღებობის მატრიცა	110
ცხრილი 10-5. გადაუდებელი დახმარების საინფორმაციო ფურცელი.....	119
ცხრილი 11-1. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი	122

ილუსტრაციების ჩამონათვალი

ილუსტრაცია 5-1. სს „თბილპოლიმერის“ კუთვნილი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა	30
ილუსტრაცია 5-2. ფუნქციური ზონები	32

ილუსტრაცია 5-4. წარმოების პროცესი.....	38
ილუსტრაცია 5-5. საპროექტო საგრანულატორო (მარცხენა) და სასაწყობე შენობები.....	41
ილუსტრაცია 5-6. კომპანიის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე წყლების შემკრები ჭა.....	41
ილუსტრაცია 6-1. არსებული შენობა-ნაგებობა - ვარიანტი 2.....	43
ილუსტრაცია 6-2. ვარიანტების განლაგება.....	44
ილუსტრაცია 7-1. საქართველოს სეისმური საშიშროების რუკა მაქსიმალურ ჰორიზონტალურ აჩქარებასა და ბალებში.....	50
ილუსტრაცია 8-1. საწარმოს გეგმა გაფრქვევის წყაროების დატანით.....	70
ილუსტრაცია 8-2. უახლოესი საცხოვრებელის დაშორება ხმაურის გავრცელების წყაროდან.....	88
ილუსტრაცია 8-3. საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები.....	100

სქემების ჩამონათვალი

სქემა 5-1. შენობების განლაგების სქემა.....	33
სქემა 5-2. არსებული წარმოების ტექნოლოგიური გეგმა.....	35
სქემა 5-3. პროდუქციის წარმოების სქემა.....	37
სქემა 5-4. საგრანულატორო შენობის სიტუაციური სქემა.....	40

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 8-1. უახლოესი საცხოვრებელი.....	84
გრაფიკი 8-2. საწარმოს შიდა ტერიტორია (საჭრელ დანადგართან).....	84
გრაფიკი 8-3. საწარმოს შიდა ტერიტორია (პარკის ამომყვან დანადგართან).....	84
გრაფიკი 8-4. საწარმოს ეზო.....	84

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სს „თბილპოლიმერი“-ს პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად.

2022 წლის 16 მარტს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, წარედგინა შპს „თბილპოლიმერის“ ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას №1-ში მდებარე პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში. აღნიშნული სკრინინგის ანგარიში სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-მ განიხილა¹ და 11.05.2022 წლის N 78/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას დაუქვემდებარა. აღნიშნულის ბრძანების შესაბამისად მომზადდა პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომელიც სსიპ“ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ“ განიხილა და სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ გასცა შესაბამისი ბრძანება (N 305/ს; 09/09/2022). წინამდებარე გზშ-ს ანგარიში მომზადებულია აღნიშნული სკოპინგის დასკვნის საფუძველზე.

სს „თბილპოლიმერი“ რამდენიმე თვეა, რაც ბიოდეგრადირებადი და პლასტიკის შესაფუთი მასალების წარმოებაშია ჩართული. კომპანია ქ. თბილისში, ნოდარ სიგუას №1-ში (ს/კ: 01.19.14.004.216), ფლობს 18895კვ.მ. ფართობის მიწის ტერიტორიას, სადაც პირველადი ნედლეულისგან (პლასტიკის გრანულები) აწარმოებს შესაფუთ მასალებს (ძირითადად ბიოდეგრადირებად და პლასტიკის ე.წ. პარკებს). კომპანია ასევე გეგმავს პლასტიკის ნარჩენების (პლასტმასის ნარჩენი - 07 02 13; პლასტმასის შესაფუთი მასალა -15 01 02; პლასტმასი და რეზინი -19 12 04; პლასტმასი - 20 01 39²) გადამამუშავებას და სხვადასხვა დანიშნულების მასალების წარმოებას. ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის მიხედვით აღნიშნული საქმიანობა მიეკუთვნება R3 აღდგენის კოდით გათვალისწინებულ საქმიანობას.

საქმიანობის განმახორციელებელი სს თბილპოლიმერის“ და სკრინინგის ანგარიშის შემამუშავებელი კომპანიის შპს „გამა კონსალტინგი“-ს საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1-1.

ცხრილი 1-1. ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელების და საკონსულტაციო კომპანიის შესახებ.



საქმიანობის განმახორციელებელი	სს „თბილპოლიმერი“
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქალაქი თბილისი, ნოდარ სიგუას ქუჩა №1
საქმიანობის სახე	პლასტიკის შესაფუთი მასალების წარმოება

¹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, 2022 წლის 1 მაისიდან გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება სკრინინგის პროცედურის საფუძველზე გზშ-ისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის ჩატარების საჭიროების განსაზღვრა

² კოდები და დასახელებები მოცემულია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი - შესაბამისად.

საიდენტიფიკაციო კოდი	208143855
საკონტაქტო პირი	იაკობ ღლონტი
საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 577 74 51 51
ელ.ფოსტა	tbilpolimeri@gmail.com
საკონსულტაციო კომპანია:	„გამა კონსალტინგი“
კომპანიის დირექტორი	ზურაბ მგალობლიშვილი
კომპანიის დირექტორის ტელეფონი	+032 2614434; +995 599 504 434

ცხრილი 1-2. ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული პირების შესახებ

სახელი გვარი	შესრულებული სამუშაო	ხელმოწერა
ლევან ზაზაძე	გზშ-ს ანგარიშის მომზადება	
ავთო ბუდალაშვილი	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების გაანგარიშება	

2 პროექტის საჭიროების დასაბუთება

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს, ხოლო სრულიად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისს.

შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მხარემ აიღო ვალდებულება საქმიანობის ყველა სფერო მიახლოვოს ევროკავშირში არსებულ სტანდარტებთან და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები. შეთანხმების მე-3 თავი ეხება გარემოს დაცვას, რომლის მიხედვითაც მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში.

შეთანხმების XXVI დანართში წარმოდგენილია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელთა შესრულება საქართველოსთვის სავალდებულოა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ნარჩენების მართვის კუთხით საქართველომ 3 დირექტივის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე აიღო ვალდებულება, ეს დირექტივებია:

- 2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ
- 1999 წლის 26 აპრილის საბჭოს 1999/31/EC დირექტივა ნაგავსაყრელების შესახებ (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად
- 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/21/EC დირექტივა მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ.

ნარჩენების მართვის კუთხით საქართველოში პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 26 დეკემბერს მიიღო. კოდექსის ზოგადი დებულების ნაწილში წარმოდგენილი კოდექსის მიზნის და ამოცანების, აგრეთვე

რეგულირების სფეროს, ტერმინთა განმარტებების, ნარჩენების მართვის იერარქიის, პრინციპების კომპონენტში პრაქტიკულად სრულ თანხვედრაშია “2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2008/98/EC ნარჩენების შესახებ დირექტივასთან”.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველაზე დიდი გამოწვევები და პრობლემები დღესდღეობით საქართველოში ნარჩენების მართვის კუთხით არსებობს ნარჩენების კოდექსის მოთხოვნების და ვალდებულებების შეუსრულებლობაში, რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო, როგორც ცენტრალურ აგრეთვე ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, ნარჩენების მართვის დაგეგმარების, მისი შეგროვების და ტრასპორტირების, ნაგავსაყრელების მოწყობის და მართვის, სეპარაციის, ხარჯების ამოღების, ხელმეორედ გამოყენების, რეციკლირების, აღდგენის, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების, ნარჩენებზე მონაცემების შეგროვების და მონაცემთა ბაზის შექმნის თვალსაზრისით.

„ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის თანახმად 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს უნდა დაეწყოთ ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირების ჩამოყალიბებული სისტემები. მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემა ძირითადად ნარჩენების შეგროვებას და ნაგავსაყრელზე განთავსებას მოიცავს.

არსებული მდგომარეობით მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში ვხვდებით ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მაგალითებს, თუმცა შეგროვების მაჩვენებლები და მასშტაბი ვერ აკმაყოფილებს რეციკლირების მინიმალურ მაჩვენებლებს.

„ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიაში (მიზანი 5. „ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა“) განსაზღვრულია შემდეგი ნარჩენების რეციკლირების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები:

რეციკლირებადი მასალის ტიპი	2026 წლისთვის	2030 წლისთვის
ქაღალდი	50 %	80%
მინა	50%	80%
მეტალი	80%	90%
პლასტიკი	50%	80%

არსებული მდგომარეობისა და მიზნობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, ნარჩენების სეპარირების და გადამუშავების სისტემა მნიშვნელოვან გაუმჯობესების საჭიროებს.

სს „თბილპოლიმერის“ გეგმა გადაამუშაოს პლასტიკის ნარჩენები, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების სფეროში ეროვნულ დონეზე. კომპანიის მიერ გადამუშავებული ნარჩენები შეამცირებს, როგორც პირველადი ნედლეულის გამოყენების მაჩვენებელს, ასევე ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას.

3 ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართს 10.3 ქვეპუნქტის - „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა“- შესაბამისად, პლასტიკის ნარჩენების გადამუშავება ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის

პროცედურას. აღნიშნულის შესაბამისად, სს „თბილპოლიმერმა“ 2022 წლის 16 მარტს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, წარედგინა ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას №1-ში მდებარე პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში. აღნიშნული სკრინინგის ანგარიში სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-მ განიხილა და 11.05.2022 წლის N 78/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას დაუქვემდებარა. გზმ-ს ეტაპებს წარმოადგენს სკოპინგის პროცედურა და გზმ-ს ანგარიში მომზადება.

გზმ-ის პროცესში სკოპინგის განცხადება და სკოპინგის ანგარიში

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შემდგომ დაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება და სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს ამ განცხადებისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, აგრეთვე აღნიშნული განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი, საწარმოო პროცესი, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა და სხვა) შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;
- ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედებისა და მისი სახეების შესახებ, მათ შორის:
- ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაციას შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაციას ჩატარებული ან/და ჩასატარებელი საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ;

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტს, მათ შორის, რეკულტივაციის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შესამცირებლად ან/და შესარბილებლად.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სკოპინგის ანგარიში სააგენტოს წარუდგინოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. სკოპინგის ანგარიშის სისწორისა და დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენისთვის პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი.

საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია სააგენტოს წარუდგინოს სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭირო იქნება სკოპინგის დასკვნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გზმ-ის პროცესში სკოპინგის დასკვნის გაცემა

სააგენტო იხილავს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადებასა და სკოპინგის ანგარიშს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები.

საზოგადოებას უფლება აქვს, სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადების განთავსებიდან 15 დღის ვადაში წარუდგინოს სააგენტოს მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით. სკოპინგის დასკვნის გაცემისას სააგენტო უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვას და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ.

სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადების განთავსებიდან არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა სააგენტო უზრუნველყოფს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია სააგენტო. შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს საჯარო განხილვის ორგანიზებასთან, მათ შორის, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან, დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი. ამ ოქმის სისწორისთვის პასუხისმგებელია სააგენტო. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა. თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება სააგენტოს მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარდა გარდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 34-ე მუხლის 2¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული შემთხვევისა. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო გაცემს სკოპინგის დასკვნას, რომელიც მტკიცდება სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოპინგის დასკვნით განისაზღვრება გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევებისა და მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

სკოპინგის დასკვნის დამტკიცებამდე სააგენტო უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ წარმოებაში კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 84-ე მუხლით დადგენილი წესით.

სააგენტოს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას.

თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 3 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

სკოპინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს სკოპინგის ანგარიშის, სკოპინგის დასკვნის ან/და საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

გზშ-ს ანგარიში

სააგენტოს მიერ სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი უზრუნველყოფს გზშ-ის ანგარიშის მომზადებას. გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო ხარჯებს საქმიანობის განმახორციელებელი ანაზღაურებს. გზშ-ის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორისა და დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენისთვის პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი.

გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს მის მომზადებაში მონაწილე პირის/პირების მიერ, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (მისი არსებობის შემთხვევაში). გზშ-ის ანგარიში და მის მომზადებაში მონაწილე პირის/პირების შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:
 - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;
 - ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;
 - ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმაღლე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერჯია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;
 - ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);
 - ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;
 - ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;
- ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

- დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;
 - ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;
 - გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;
 - გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);
 - სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;
 - საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;
 - გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;
 - სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;
 - გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
 - ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;
 - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
 - სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;
 - ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;
 - ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეკუნძულებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტი, მათ შორის, რეკულტივაციის პროექტი (საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები და კომუნალური სისტემები;
- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4 საკანონმდებლო ჩარჩო

4.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და სტანდარტები

ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა მრავალ სექტორში განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს იმისათვის, რომ ჰარმონიზაციაში მოვიდეს ევროკავშირის შესაბამის კანონებთან და სტანდარტებთან. 2014 წლის ივნისში საქართველოს და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებით საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება განახორციელოს პოლიტიკისა და საკანონმდებლო რეფორმების პროგრამა. ამ მოცულობით შეთანხმებას თან ახლავს ოცდაათობიანი დანართი, სადაც მითითებულია ევროკავშირის ასობით შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც საქართველომ უნდა მიიღოს კონკრეტული თარიღისთვის, ვადები განსაზღვრულია ორიდან ათ წლამდე. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მოიცავს თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებში, სადაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოებას.

საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართში ნახსენებია ევროკომისიის მრავალი დირექტივა გარემოს დაცვის სფეროში, რომელსაც საქართველომ ეტაპობრივად უნდა მიუახლოვოს თავისი კანონმდებლობა განსაზღვრულ ვადებში. მიმართულებები მოიცავს: გარემოს მართვას და გარემოს დაცვის ინტეგრირებას სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ: ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი და რესურსების მართვა საზღვაო გარემოს ჩათვლით, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, საწარმოო დაბინძურება და საწარმოო საფრთხეები, ქიმიკატების მართვა.

საქართველოს მონაწილეობას შესაბამის საერთაშორისო კონვენციებში დიდი მნიშვნელობა აქვს იქედან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებს რომლებსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, წარმოადგენს ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილს, რომელიც უპირატესია ეროვნულ კანონებზე თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას.

4.1.1 გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონსტიტუციური მოთხოვნების სამართლებრივი აღსრულება ხორციელდება ჩარჩო კანონის საფუძველზე, **კანონი გარემოს დაცვის შესახებ**³ (სარეგისტრაციო კოდი: 360.000.000.05.001.000.184, 10.12.1996) ჩარჩო კანონს ემყარება მთელი რიგი სხვა კანონები, მათ შორის ქვემოთ აღწერილი კანონები.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში (სარეგისტრაციო კოდი: 360160000.05.001.018492, მიღების თარიღი: 1.06.2017), რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის იანვრიდან, წარმოდგენილია ახალი პროცედურები სკრინინგის, სკოპინგის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის შედგენის, მისი გასაჯაროების, განხილვის, საზოგადოების ჩართულობის და საბოლოოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. კოდექსში ჩამოთვლილია საქმიანობები, რომლებიც ექვემდებარება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას და საჭიროებს გზშ-ს⁴ და საქმიანობები, რომელთათვის გადაწყვეტილება გზშ-ს (სკოპინგი, გზშ-ს ეტაპები) საჭიროების შესახებ სკრინინგის საფუძველზე განისაზღვრება. კანონში განსაზღვრულია სტრატეგიულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების⁵, და ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების⁶ საკითხები, გაწერილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის წესები და პროცედურები⁷.

კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ⁸ (სარეგისტრაციო კოდი: 300.310.000.05.001.001.914, მიღების თარიღი: 24.06.2005) განსაზღვრავს საქმიანობების ჩამონათვალს, რომელიც მოითხოვს ლიცენზიასა და ნებართვას, ამასთან ერთად ადგენს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, შეცვლის და გაუქმების წესებს. საქმიანობის რეგულირების ობიექტური და ძირითადი პრინციპები ლიცენზიით ან ნებართვით არის შემდეგი:

- უსაფრთხოება და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა.
- ხალხის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოება და დაცვა.
- სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

კანონი წყლის შესახებ⁹ (სარეგისტრაციო კოდი: 400.000.000.05.001.000.253, მიღების თარიღი: 16.10.1997) ადგენს მთავარ სამართლებრივ მოთხოვნებს საქართველოს წყლის რესურსებთან დაკავშირებით, წყლის დაცვისა და მოხმარების ჩათვლით. (მიწისქვეშა წყლების დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში ურთიერთობა რეგულირდება ამ

³ კანონი გარემოს დაცვის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340>

⁴ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, 2017 წლის დანართი I, ნ.15: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981>

⁵ იხ. თავი III

⁶ იხ. თავი V

⁷ იხ. თავი IV

⁸ კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, 2005 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824>

⁹ კანონი წყლის შესახებ (1997): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?impose=translateEn>

კანონით და საქართველოს კანონით „წიაღის შესახებ“). წყლის შესახებ კანონის შესაბამისად, წყლის რესურსები წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და მათი აღება შესაძლებელია მხოლოდ მოხმარების მიზნით. აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არღვევს წყლის რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების უფლებებს.

კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ¹⁰ (სარეგისტრაციო კოდი: 370.010.000.05.001.000.080, მიღების თარიღი: 12.05.1994) მიზნად ისახავს ნიადაგის საფარის ნიადაგის საფარის მთლიანობის, ნაყოფიერების შენარჩუნებას და გაუმჯობესებას. კანონი განსაზღვრავს მიწის მოხმარებლებისა და სახელმწიფოს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს ნიადაგის დაცვის პირობებისა და ეკოლოგიურად უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კანონი ადგენს სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციას ნიადაგში და ზღუდავს ნაყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებას ან საქმიანობას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ნიადაგის რესურსებზე ან ხარისხზე.

კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ¹¹ (სარეგისტრაციო კოდი: 420.000.000.05.001.000.595, მიღების თარიღი: 22.06.1999) არეგულირებს ატმოსფერული ჰაერის დაცვას უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედებისგან. ანთროპოგენული უარყოფითი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოიცავს ადამიანის მიერ გამოწვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას ან ნეგატიური ზემოქმედების გამოწვევის უნარს ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. ეს კანონი არ ეხება შენობის შიგნით არსებული ჰაერის ხარისხის რეგულაციას.

ნარჩენების მართვის კოდექსი¹² (სარეგისტრაციო კოდი: 360160000.05.001.017608, მიღების თარიღი: 26.12.2014) ადგენს სამართლებრივ საფუძველს ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას ნარჩენების ხელახალი გამოყენების და გადამუშავების ხელშეწყობის გზით. კანონი გამორიცხავს ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ დებულებებს, აგრეთვე, დებულებებს სამთო მრეწველობით გამოწვეული ნარჩენების შესახებ.

კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ¹³ (სარეგისტრაციო კოდი: 410.000.000.05.001.000.186, მიღების თარიღი: 25.12.1996). კანონის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ცხოველთა სამყაროს, მისი საბინადრო გარემოს დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მდგრადობა და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. აგრეთვე უზრუნველყოფს აღნიშნული რესურსით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივ ასპექტებს.

კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ¹⁴ (სარეგისტრაციო კოდი: 360.060.000.05.001.001.297, მიღების თარიღი: 06.06.2003) ადგენს იურიდიულ საფუძველს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების დასაცავად, საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შემუშავებისთვის. ეს კანონი უკავშირდება საქართველოს

¹⁰ კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ, 1994: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93874>

¹¹ კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, 1999: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16210>

¹² ნარჩენების მართვის კოდექსი, 2014: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416>

¹³ კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, 1996: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33352>

¹⁴ კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ, 2003: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12514>

მიერ „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის მიმართ აღებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს წითელი ნუსხა დამტკიცდა 2014 წლის 20 თებერვალს საქართველოს მთავრობის №190 დადგენილებით, „საქართველოს წითელი ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ტყის კოდექსი¹⁵ (სარეგისტრაციო კოდი: 390000000.05.001.019838, მიღების თარიღი: 22.05.2020). მისი მთავარი მიზანია საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად მისი თვისებრივი მახასიათებლების, აგრეთვე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ¹⁶ (სარეგისტრაციო კოდი: 360.050.000.05.001.000.127, მიღების თარიღი: 07.03.1996). კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, მათი კატეგორიების შერჩევის, ახალი დაცული ტერიტორიის დაარსების, მათი მართვის და რეგულირების იურიდიულ ასპექტებს.

კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ¹⁷, (სარეგისტრაციო კოდი: 360150000.05.001.020241). კანონი არეგულირებს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენციასთან, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ან გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შერბილებასთან, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებთან (მათ შორის, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებასა და გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ანაზღაურებასთან) დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

4.1.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

საქართველოში მოქმედებს გარემოსდაცვითი სტანდარტები წყლის, ნიადაგის, ნარჩენების და ა.შ. მართვისა და კონტროლისთვის. ჩამონათვალი, სხვა რეგულაციებთან ერთად, მოიცავს:

- გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე¹⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება №17 (სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017608, მიღების თარიღი: 2014 წლის 3 იანვარი);
- სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ¹⁹ საქართველოს მთავრობის N58 დადგენილება (სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017676, მიღების თარიღი: 2014 წლის 15 იანვარი);
- საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე²⁰, საქართველოს მთავრობის დადგენილება

¹⁵ საქართველოს ტყის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066>

¹⁶ კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?>

¹⁷ კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5109151>

¹⁸ გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე¹⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება №17, <https://matsne.gov.ge/document/view/2189418?publication=0>

¹⁹ სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე <https://matsne.gov.ge/document/view/2196792?publication=0>

²⁰ საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე <https://matsne.gov.ge/document/view/2187528?publication=0>

N425 (სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017650, მიღების თარიღი: 2013 წლის 31 დეკემბერი);

- “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ”²¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №297/ნ (სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.11.119.004.920, მიღების თარიღი: 2001 წლის 16 აგვისტო), 2.1.4. სასმელი წყალი და დასახლებული ადგილების წყალმომარაგება. ჰიგიენური მოთხოვნები სასმელი წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემების წყლის ხარისხისადმი. ხარისხის კონტროლი, სანიტარიული წესები და ნორმები (სწდან 2.1.4. 000 – 00);
- “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №297/ნ (სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.11.119.004.920, მიღების თარიღი: 2001 წლის 16 აგვისტო), 2.1.6. ატმოსფერული ჰაერი და დახურული, სათავსოების ჰაერი, ჰაერის სანიტარიული დაცვა, ჰიგიენური მოთხოვნები დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი (სანწდან 2.1.6. 000 – 00);
- “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ”, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №297/ნ (სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.11.119.004.920, მიღების თარიღი: 2001 წლის 16 აგვისტო), 2.1.8. ბუნებრივი გარემოს ფიზიკური ფაქტორები, ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე (სანიტარიული ნორმები ს ნ 2. 2. 4/2. 1. 8. 000 – 00);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №431 (სარეგისტრაციო კოდი: 400000000.10.003.020747, მიღების თარიღი: 2018 წლის 20 აგვისტო), წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში, ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე²²;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №414 (სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017621, მიღების თარიღი: 2013 წლის 31 დეკემბერი), ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე²³;
- დასახლებული ადგილების ნიადაგის მდგომარეობის ჰიგიენური შეფასება - მეთოდური მითითებები (მმ 2.1.7.003-02);
- დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ) (ჰიგიენური ნორმატივები (3.5. 2.1.6. 002 -01);

²¹გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/52384?publication=0>

²²წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში, ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4306275?publication=0>

²³ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2188404?publication=0>

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №324, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №326, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №327, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №325, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

სტანდარტების უმეტესობა შედის მთავრობის მიერ მიღებულ სხვადასხვა ტექნიკურ რეგლამენტში. ტექნიკური რეგლამენტი წარმოადგენს „კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს“, „ნორმატიული აქტების შესახებ“²⁴ კანონის 7.9-ე მუხლის მიხედვით. ტექნიკური რეგლამენტის მიმართ გამოყენებული მოთხოვნები აღწერილია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში. კოდექსის²⁵ თანახმად: „ტექნიკური ნორმის შემცველი, შესასრულებლად სავალდებულო ყველა აქტი მიღებული უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტის ფორმით.“ (მუხლი 56).

მიღებული ტექნიკური რეგლამენტები, როგორც ტექნიკური სტანდარტების შემცველი საქართველოს ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტი, რეგისტრირებულია ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში, რომელსაც აწარმოებს იუსტიციის სამინისტრო.

4.1.2.1 ჰაერის ხარისხის სტანდარტები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები განსაზღვრულია „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ №297/ნ ბრძანებაში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 2001 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი, სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.11.119.005.700) მოცემული ჰიგიენური ნორმატივით - „დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დამაზინებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები“ (ჰ.ნ. 2.1.6. 002-01). ატმოსფერულ ჰაერში ზოგიერთი მავნე ნივთიერების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში 4-1.

ცხრილი 4-1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი ნორმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

ნივთიერების დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) მგ/მ ³ საშუალო დრო
აზოტის დიოქსიდი	0.085/30 წუთი 0.04/24 საათი
გოგირდის დიოქსიდი	0.5/30 წუთი 0.05/24 საათი
ნახშირბადის ოქსიდი	5.0/30 წუთი 3.0/24 საათი

²⁴ კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 2009 მუხლი 7/9, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052>

²⁵ საქართველოს კანონი პროდუქციის ხარისხზე და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 2012 თავი 5, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/en/document/view/1659419?impose=translateEn>

არორგანული მტვერი	0.3
-------------------	-----

4.1.2.2 ხმაურის სტანდარტები

ხმაურის ეროვნული სტანდარტები განისაზღვრება „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით (საქართველოს მთავრობის დადგენილება №398, 2017 წლის 15 აგვისტო, ქ. თბილისი, სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.020107).

ცხრილი 4-2. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე- ეროვნული სტანდარტების მიხედვით

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		L _{დღე} (დბA)		L _{ღამე} (დბA)
		დღე	საღამო	
1	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნორმები	40	35	35
6	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10	მცირე ზომის ოფისების (≤ 100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11	დიდი ზომის ოფისების (≥ 100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12	სათათბირო სათავსები	35	35	35

13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა >6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შენიშვნა: 1. იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.

2. აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერის, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

4.1.2.3 ვიბრაციის სტანდარტები

ვიბრაციის ეროვნული სტანდარტები განსაზღვრულია „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ №297/5 ბრძანებაში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 2001 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი, სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.11.119.004.920) მოცემული - „2.2.4. საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები, 2.1.8. ბუნებრივი გარემოს ფიზიკური ფაქტორები საწარმოო ვიბრაცია, ვიბრაცია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში სანიტარიული ნორმებით (სნ 2.2. 4/2. 1.8. 000-00)“.

ზოგადი ვიბრაციის დასაშვები მნიშვნელობები საცხოვრებელ შენობებში, საავადმყოფოს პალატებში, სანატორიუმებში მოცემულია ცხრილში 4-3.

ცხრილი 4-3. ზოგადი ვიბრაციის დასაშვები მნიშვნელობები საცხოვრებელ შენობებში, საავადმყოფოს პალატებში, სანატორიუმებში- ეროვნული სტანდარტების მიხედვით

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, ჰც	დასაშვები მნიშვნელობები X0, Y0, Z0 დერძებზე			
	ვიბრო-აჩქარება		ვიბრო სიჩქარე	
	მ/წმ ²	დბ	მ/წმ . 10 ⁻⁴	დბ
2	4,0	72	3,2	76
4	4,5	73	1,8	71

8	5,6	75	1,1	67
16	11,0	81	1,1	67
31,5	22,0	87	1,1	67
63	45,0	93	1,1	67
კორექტირებული და ექვივალენტური კორექტირებული მნიშვნელობები და მათი დონეები	4,0	72	1,1	67
<p><i>შენიშვნა: 1. დღისით შენობებში დასაშვებია ვიბრაციის ნორმატიულ სიდიდეებზე 5 დბ-ით გადაჭარბება.</i></p> <p><i>2. არამუდმივი ვიბრაციის ცხრილში მოცემული დონეების დასაშვები მნიშვნელობებისათვის შემოდის შესწორება - 10 დბ, ხოლო აბსოლუტური მნიშვნელობები მრავლდება 0,32-ზე.</i></p> <p><i>3. საავადმყოფოებისა და სანატორიუმების პალატებში ვიბრაციის დასაშვები დონეები უნდა შემცირდეს 3 დბ-ით.</i></p>				

4.1.2.4 წყლის ხარისხის სტანდარტები

სასმელი წყლის ხარისხი განისაზღვრება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით²⁶ (მთავრობის დადგენილება №58, მიღების თარიღი: 2014 წლის 15 იანვარი, სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017676). სასმელი წყლის ხარისხის კრიტერიუმები მოცემულია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 4-4. დამაბინძურებლების მაქსიმალური კონცენტრაცია სასმელ წყალში

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი არაუმეტეს
ზოგადი მაჩვენებლები		
წყალბადის მაჩვენებელი	pH	6-9
პერმანგანატული ჟანგვადობა	მგ O2/ლ	3,0
საერთო მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი) მგ/ლ		1000-1500
არაორგანული ნივთიერებები		
ბარიუმი (Ba 2+)	მგ /ლ	0,7
ბორი(B,ჯამური)	მგ /ლ	0,5
დარიშხანი (As,ჯამური)	მგ /ლ	0,01
ვერცხლისწალი (Hg, არაორგანული),	მგ /ლ	0,006
კადმიუმი(Cd, ჯამური)	მგ /ლ	0,003
მანგანუმი(Mn, ჯამური)	მგ /ლ	0.4
მოლიბდენი(Mo, ჯამური)	მგ /ლ	0,07
ნიკელი(Ni, ჯამური)	მგ /ლ	0,07
ნიტრატები(NO-3-ით ხანმოკლე ზემოქმედება),	მგ /ლ	50
ნიტრიტები (NO-2-ით ხანგრძლივი ზემოქმედება),	მგ /ლ	0,2
სელენი(Se, ჯამური)	მგ /ლ	0,01
სპილენძი(Cu, ჯამური)	მგ /ლ	2,0
ტყვია(Pb, ჯამური)	მგ /ლ	0,01
ფტორიდები (F -)	მგ /ლ	0,7
ქრომი (Cr6+)	მგ /ლ	0,05
სტიბიუმი (Sb)	მგ /ლ	0,02
ციანიდები(CN-)	მგ /ლ	0,07
ორგანული ნივთიერებები		
პესტიციდების საერთო შემცველობა	მგ /ლ	0,05

²⁶ სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით <https://matsne.gov.ge/document/view/2196792?publication=0>

საქართველოს მთავრობის მიერ №425 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“-თ (საქართველოს მთავრობის დადგენილება, მიღების თარიღი: 2013 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი, სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017650) დადგენილი ზედაპირული წყლის ხარისხის მახასიათებლები იხილეთ ქვემოთ.

ცხრილი 4-5. ზედაპირული წყლის ხარისხის მახასიათებლები

მაჩვენებლები	წყალსარგებლობის კატეგორია			
	მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის	მოსახლეობის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის	თევზსამეურნეო მიზნებისათვის	
			უმადლესი და პირველი კატეგორია	მეორე კატეგორია
	დასაშვების შეწონილი ნაწილაკების შემცველობის მატება არაუმეტეს:			
შეწონილი ნაწილაკები	0,25 მგ/ლ	0,75 მგ/ლ	0,25 მგ/ლ	0,75 მგ/ლ
	მდინარეებისთვის რომლებიც შეიცავენ წყალმცირობისას 30 მგ/ლ ბუნებრივ შეწონილ ნაწილაკებს, დასაშვებია მათი მომატება 5% ფარგლებში			
	თუ ჩამდინარე წყლები შეიცავენ შეწონილ ნაწილაკებს, რომელთა დალექვის სიჩქარე აღემატება 0,2 მმ/წმ, მათი ჩაშვება აკრძალულია წყალსატევებში (ტბებში), ხოლო თუ აღემატება 0,4 მმ/წმ მდინარეებში (არხებში)			
მცურავი მინარევები (ნივთიერებები)	წყლის ზედაპირზე არ უნდა შეინიშნებოდეს ნავთობპროდუქტების, ზეთების და ცხიმების აფსკები, აგრეთვე სხვა მინარევები			
შეფერილობა	არ უნდა შეინიშნებოდეს წყლის სვეტში		წყალმა არ უნდა მიიღოს უცხო ფერი	
	20 სმ	10 სმ		
სუნი, გემო	წყალმა არ უნდა მიიღოს 1 ბალზე მეტი ინტენსიურობის სუნი და გემო, რომელიც შეინიშნება		წყალმა არ უნდა მისცეს თევზის პროდუქტს უცხო სუნი და გემო	
	უშუალოდ, შემდგომი ქლორირების ან სხვაგვარი დამუშავების შემდეგ	უშუალოდ		
ტემპერატურა	წყლის ზაფხულის ტემპერატურამ ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემდეგ არ უნდა მოიმატოს 30 C მეტად ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე ცხელი თვის წყლის საშუალოთვიურ ტემპერატურასთან შედარებით წყლის ტემპერატურამ არ უნდა მოიმატოს 5 ^o C მეტად წყალსატევის ბუნებრივ ტემპერატურასთან შედარებით		წყლის ტემპერატურამ არ უნდა მოიმატოს 50 C მეტად წყალსატევის ბუნებრივ ტემპერატურასთან შედარებით. ამასთან ერთად წყლის ობიექტებში, სადაც ბინადრობენ ცივი წყლის მოყვარული თევზები (ორაგულისებრნი და სიგასებრნი), მაქსიმალური დასაშვები ტემპერატურაა: 20 ^o C ზაფხულში და 5 ^o C ზამთარში, ხოლო დანარჩენ წყლის ობიექტებში 28 ^o C ზაფხულში და 8 ^o C ზამთარში	
რეაქცია (PH)	არ უნდა სცილდებოდეს 6,5 – 8,5			
წყლის მინერალიზაცია	არაუმეტეს 1000 მგ/ლ, მათ შორის:ქლორიდები	ნორმირება ხდება ზემოთმოყვანილ	ნორმირება ხდება თევზსამეურნეო წყლის	

მაჩვენებლები	წყალსარგებლობის კატეგორია			
	მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის	მოსახლეობის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის	თევზსამეურნეო მიზნებისათვის	
			უმაღლესი და პირველი კატეგორია	მეორე კატეგორია
	-350 მგ/ლ, სულფატები -500 მგ/ლ	მაჩვენებლის "გემო" მიხედვით	ობიექტების ტაქსაციების შესაბამისად	
წყალში გახსნილი ჟანგბადი	წყლის ნებისმიერ დროს არ უნდა იყოს ნაკლები:			
	4 მგ/ლ	4 მგ/ლ	6 მგ/ლ	6 მგ/ლ
ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება ჟმ სრული	20° C ტემპერატურისას არ უნდა აღემატებოდეს:			
	3 მგ/ლ	6 მგ/ლ	3 მგ/ლ	6 მგ/ლ
ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება ჟმ	არ უნდა აღემატებოდეს:			
	15 მგ/ლ	30 მგ/ლ	-	-
ქიმიური ნივთიერებები	არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას			
დაავადებათა გამომწვევები	წყალი არ უნდა შეიცავდეს დაავადებათა გამომწვევებს, მათ შორის სიცოცხლისუნარიან ჰელმინტების კვერცხებს, ტენიების ონკოსფეროებს და სიცოცხლისუნარიან პათოგენურ ნაწლავის უმარტივესთა ცისტებს			
ლაქტოზა დადებითი ნაწლავის ჩხირები არაუმეტესი	10000 ლიტრში	5000 ლიტრში	-	-

საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველო ამჟამად ვალდებულია შეასრულოს ევროკავშირის ენერგეტიკის საზოგადოების მოთხოვნები, ანუ კომისიის დირექტივა 2000/60/EC (წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივა). გარდა ამისა, წყლის სექტორის განვითარების ხანგრძლივი დროის გამო, საქართველომ ასევე უნდა შეასრულოს „საყოფაცხოვრებო წყლის ხარისხი“ (2006/7/EC) დირექტივა, დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლების შესახებ (91/271/EEC), დირექტივა წყალდიდობების რისკების მართვის შესახებ (2007/60/EC), დირექტივა "ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ" (91/676/EEC), დირექტივა "სამომხმარებლო წყლის ხარისხის შესახებ" (98/83/EC), ევროკავშირის მე-3 ენერგო-პაკეტის რეგულაცია (EU) 994/2010 სუფთა წყლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის შესახებ. ქვემოთ, ჩამონათვალში შეჯამებულია სხვადასხვა მოთხოვნები:

- გარანტირებული სუფთა წყალმომარაგება ყველა მომხმარებლისთვის, შეფერხებების გარეშე, თუნდაც ერთი ყველაზე დიდი წყლის ინფრასტრუქტურის მოშლის შემთხვევაში;
- დაცული მომხმარებლების გარანტირებული წყალმომარაგება;
- დაცული მომხმარებლების გარანტირებული წყალმომარაგება დროის ნებისმიერ მონაკვეთში;
- შეუფერხებელი წყალმომარაგება (ზამთრის საშუალო პირობებში) წყლის ერთი უდიდესი წყლის ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

საქართველოში წყლისა და ჩამდინარე წყლების კომუნალური საქმიანობა რეგულირდება მკაცრი სტანდარტებით და ზედმეტად მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმებით, რაც საჭიროებს დიდ კაპიტალსა და საოპერაციო ხარჯებს. ამ ნორმებისა და სტანდარტების შედარება უცხოეთში მოქმედ ნორმებთან ადასტურებს არსებული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას. საჭიროა შესაბამისი მეთოდური აქტებისა და შინაგანაწესის შემუშავება ან განახლება ახალი რეალობის ასახვის მიზნით.

ამჟამად, საქართველო წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალი კანონის შემუშავების პროცესშია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ზემოთ მოყვანილ დირექტივებთან. კანონები დაადგენენ ჩარჩო მოთხოვნებს, მათ შორის, ქვე-კანონებისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების შესამუშავებლად საჭირო მოთხოვნებს. ეს:

- საშუალებას მისცემს საქართველოს წყლის სისტემას კრიტიკულ ვითარებაში უზრუნველყოს დაცული მომხმარებლებს გარანტირებული, უწყვეტ წყალმომარაგება, ევროკავშირის მოთხოვნებით შესაბამისად.
- მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს წყლის სისტემას.
- მოახდენს სეზონური მიწოდების/მოთხოვნის დისბალანსის მართვას.

ჩამდინარე წყალი. თუ სამრეწველო ობიექტიდან ჩამდინარე წყლის ჩაშვება სეპტიკურ სისტემაში ხდება, ან თუ მიწა გამწმენდი სისტემის ნაწილს წარმოადგენს, დამუშავებულმა წყალმა უნდა დააკმაყოფილოს სანიტარული ჩამდინარე წყლებისთვის დაწესებული სახელმწიფო ნორმები. ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემებიდან ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, ასეთის არარსებობის შემთხვევაში - ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, წყლისა და მიწის რესურსების შენარჩუნების და გრძელვადიანი მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებით.

ცხრილი 4-6. გაწმენდილი ჩამდინარე წყლების საპროექტო ხარისხის მოთხოვნები

დამაბინძურებელი	ერთეული	სტანდარტი		
		საქართველო	მსოფლიო ბაკი	ევროკომისია
pH	pH	6-9	6-9	
ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნა (BOD)	მგ/ლ	35	30	25
ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნა (COD)	მგ/ლ	125	125	125
საერთო ფოსფორი	მგ/ლ	2	2	2
საერთო აზოტი	მგ/ლ	15	10	15
შეწონილი მყარი ნაწილაკები	მგ/ლ	60	50	35
კოლიფორმული ბაქტერიები	[1]MPNb/100 მლ		400a	

4.1.2.5 ნიადაგის სტანდარტები

საქართველოში ნიადაგის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ №297/6 ბრძანებაში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის

16 აგვისტოს №297/ნ ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე, სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.11.119.005.700) მოცემული მეთოდური მითითებებით - ნიადაგების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროების ხარისხის შეფასებით (მეთოდური მითითებები მმ 2.1.7. 004 – 03).

ცხრილი 4-7. სხვადასხვა ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია და ნიადაგების ელემენტები

კომპონენტი	ერთეული	ზღვ
დარიშხანი	მგ / კგ	2-10
სპილენძი	მგ / კგ	3
ვერცხლისწყალი	მგ / კგ	2.1
ნიკელი	მგ / კგ	4
ტყვია	მგ / კგ	32
თუთია	მგ / კგ	23
რთული ნახშირწყალბადები	მგ / კგ	0.1
ფენოლი (რთული)	მგ / კგ	-
ციანიდი	მგ / კგ	-
სულფატი	მგ / კგ	-
ქლორიდი	მგ / კგ	-
ამონიუმის აზოტი	მგ / კგ	-
აქროლადი ორგანული ნაერთები		
ბენზოლი	მგ / კგ	0.3
ტოლუოლი	მგ / კგ	0.3
ეთილბენზოლი	მგ / კგ	-
რთული ქსილენი (ორთო, მეტა, პარაგრაფი)	მგ / კგ	0.3
ნახევრად აქროლადი ანერტები		
ბენზო(ა)პირენი	მგ / კგ	0.2
იზოპროპილენ ბენზოლი		0.5
პესტიციდები		
ატრაზინი	მგ / კგ	0.5
ლინდენი	მგ / კგ	0.1
DDT (და მისი მეტაბოლიტი)	მგ / კგ	0.1

4.1.3 საერთაშორისო კანონმდებლობა და შეთანხმებები

საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებში წარმოადგენენ ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილს და გააჩნიათ უპირატესობა ეროვნულ კანონებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას. საქართველო მონაწილეობს შემდეგ საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებში, რომლებიც ეხება გარემოსდაცვით და სოციალურ თემებს:

- ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 1992;
- კონვენცია ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 1985;
- პარიზის კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ, 1972
- კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (ბერნის კონვენცია) 1979;
- ევროპის ლანდშაფტების კონვენცია, 2000;
- გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, 1992;

- კარტახენის ბიოუსაფრთხოების ოქმი ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის შესახებ, 2000;
- კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვაზე (ბონის კონვენცია), 1979;
- შეთანხმება ევროპის ღამურების პოპულაციების დაცვაზე (EUROBATS), 2001;
- შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვაზე, 2001;
- გაეროს კონვენცია გაუდაზნობასთან ბრძოლის შესახებ, 1994;
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, 1992;
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია, კიოტოს ოქმი, 1997;
- ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985;
- მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ და 1990 წლის ლონდონის; 1992 წლის კოპენჰაგენის; 1997 წლის მონრეალის და 1999 წლის პეკინის ცვლილებები, 1999;
- ჟენევის კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ, 1979;
- ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, 1989;
- სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ, 2001;
- როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ, 1998;
- ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, 1998;

საქართველომ მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 17 კონვენციის რატიფიცირება, მათ შორის:

- კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ, 1930;
- კონვენცია ასოციაციის თავისუფლებისა და გაერთიანების უფლების შესახებ, 1948
- კონვენცია გაერთიანების უფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ, 1949;
- თანაბარი ანაზღაურების კონვენცია, 1951;
- იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ, 1957;
- დისკრიმინაციის (დასაქმებისა და თანამდებობის) კონვენცია, 1958;
- მინიმალური ასაკის კონვენცია, 1973;
- კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, 1999 .

5 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა


5.1 საწარმოს ადგილმდებარეობა

როგორც უკვე აღინიშნა, სს „თბილპოლიმერი“ ქ. თბილისში, ნოდარ სიგუას №1-ში (ს/კ: 01.19.14.004.216), ფლობს 18895კვ.მ. ფართობის მიწის ტერიტორიას, სადაც დაგეგმილია პლასტიკის ნარჩენების გადამუშავება და მიღებული მასალიდან სხვადასხვა დანიშნულების შესაფუთი პროდუქციის წარმოება.

ცხრილი 5-1. ცხრილი კომპანიის კუთვნილებაში არსებული ტერიტორიის კუთხის კოორდინატები

1.	X: 499357.99 Y: 4614726.53	10.	X: 499607.07 Y: 4614662.77
2.	X: 499366.92 Y: 4614728.63	11.	X: 499547.57 Y: 4614718.24
3.	X: 499369.12 Y: 4614723.25	12.	X: 499539.86 Y: 4614717.70
4.	X: 499499.25 Y: 4614770.08	13.	X: 499538.90 Y: 4614727.39
5.	X: 499591.62 Y: 4614799.34	14.	X: 499518.41 Y: 4614724.78
6.	X: 499607.04 Y: 4614756.16	15.	X: 499518.89 Y: 4614713.27
7.	X: 499656.48 Y: 4614771.58	16.	X: 499379.22 Y: 4614677.58
8.	X: 499659.10 Y: 4614767.36	17.	X: 499371.54 Y: 4614684.63
9.	X: 499619.70 Y: 4614677.42		

ილუსტრაცია 5-1. სს „თბილპოლიმერის“ კუთვნილი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა



საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, სამრეწველო ზონა 1-ს (ს-1) ფარგლებში, საწარმოს ტერიტორია გარშემორტყმულია სხვადასხვა დანიშნულების საწარმოებითა და სასაწყობე ობიექტებით.

აღმოსავლეთით 10 მ. მანძილში მდებარეობს შპს „ლორდის“ საწარმო (ს/კ: 01.19.14.004.296), სადაც ამჟამად მხოლოდ სასათბურე ფირები იწარმოება. აღნიშნული ტერიტორიის მომიჯნავედ, სს „თბილპოლიმერის ტერიტორიიდან ასევე 10 მ. მანძილში შპს „ლორდი“ ფლობს 4987 კვ.მ ტერიტორიას, სადაც დაგეგმილია მოეწყოს შპს „დანის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო. 25 მ. მანძილში წარმოდგენილია 860 კვ. მ ფართობის ტერიტორია (ს/კ: 01.19.14.004.121), რომელიც იჯარით აქვს აღებული შპს „ბრენდვილს“, კომპანია ობიექტზე საყოფაცხოვრებო ტექნიკით ვაჭრობს. ასევე აღმოსავლეთით 160 მ. მანძილში განთავსებულია ყოფილი ე.წ თეთრონის ქარხნის შენობა-ნაგებობა (ს/კ: 01.19.14.004.071), რომელსაც ამჟამად არაერთი თანამესაკუთრე გააჩნია. აღნიშნული შენობა-ნაგებობა გამოიყენება სასაწყობედ, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადასამუშავებლად, მუყაოს ნარჩენების წინასწარი დამუშავებისთვის (დაპრესვა) და სხვა დანიშნულებით.

საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ტერიტორია (ს/კ: 01.19.14.004.123), რომელიც იჯარით აქვს აღებული შპს „შლუმბერჟე რუსთაველი ქომფანი ლიმიტედი (ფილიალი) საქართველო“-ს. აღნიშნული კომპანიის საქმიანობას ნავთობისა და ბუნებრივი აირების ძიება/მოპოვება წარმოადგენს. 35 მ. მანძილში მდებარეობს შპს „ქიმრეაქტივის“ ლაბორატორიული პროდუქციის, მოწყობილობების და ნედლეული სასაწყობე

ტერიტორია (ს/კ: 01.19.14.004.155). 70 მ. მანძილში განთავსებულია სააქციო საზოგადოება "ეკრანი-ლილო"-ს კუთვნილი ტერიტორია (ს/კ: 01.19.14.004.003), რომელიც გამოიყენება სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობისთვის. 460 მ. მანძილში მდებარეობს შპს „ილორი 2005“-ის კომერციული დანიშნულების ტერიტორია.

სს „თბილპოლიმერის“ ტერიტორიას **ჩრდილოეთიდან** ესაზღვრება შპს „ქოჩკაბლო“-ს (ს/კ: 01.19.14.004.215; 01.19.14.004.222; 01.19.14.004.223) და შპს“ ჯორჯიან სტილ“-ის (ს/კ: 01.19.14.004.170) საწარმო ობიექტები. შპს „ქოჩკაბლო“-ს აღნიშნულ ტერიტორიაზე სპილენძისა და ალუმინის კაბელების (PVC ან XLPE ობოლირებულ ჯავშნიან და უჯავშნო, დაბალი და მაღალი ძაბვის კაბელები) მწარმოებელი საწარმო გააჩნია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. ხოლო შპს“ ჯორჯიან სტილ“ ფლობს ლითონის მზა ნაწარმის მწარმოებელი საწარმო, როგორებიცაა: მოთუთიებული ლითონი, ლითონის ბოძები, პროფილირებული (გოფირებული) ლითონის ფურცლები, ეკალმავთული, მავთულის მოქსოვილი ბადეები, მავთულის წერტილოვანი შედუღებისაგან მიღებული ბადეები. 85 მ. მანძილში მდებარეობს შპს "ქიმიური კომპანია გეოჯემი"-ს კუთვნილი ტერიტორია, რომელიც გამოიყენება ქიმიური პროდუქციისა და ნედლეულის სასაწყობედ. 170 მ. მანძილში მდებარეობს შპს ელ როუდის“ (ს/კ: 01.19.14.004.179) და შპს "მილენიუმ მატერიალს ჯორჯია"-ს (ს/კ: 01.19.14.004.178; 01.19.14.004.145) ასფალტბეტონის საწარმო. ასევე 170 მ მანძილში 13306 კვ.მ ტერიტორიაზე (ს/კ: 01.19.14.004.149) განთავსებულია შპს "SMILE MIX"-ის ლაქ საღებავების საწარმო. 390 მ. მანძილში მდებარეობს სასაწყობე ტერიტორია (ს/კ: 01.19.14.004.053; 01.19.14.004.110), რომლის მფლობელებიც არიან შპს „ლილო ტერმინალ“ და ფიზიკური პირი უმანგი დალალიშვილი

ჩრდილო დასავლეთით 370 მ. მანძილში (ს/კ: 01.19.14.003.094) განთავსებულია შპს „ამმა“-ს ავეჯისა და პარკეტის საწარმო. 230 მ. მანძილში მდებარეობს სს „ორბელი ტრანს“-ის კუთვნილი ტერიტორია (ს/კ:01.19.14.003.179), რომელიც სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გადაცემულია სასაწყობე დანიშნულებით. 180 მ. მანძილში მდებარეობს შპს „ჯი ეს სი“-ს კუთვნილი ტერიტორია (01.19.14.003.180), რომელიც გამოიყენება უსაფრთხოების ტექნიკის (ვიდეო თვალეები, ავტომატური კარები ინდუსტრიული ავტომატიზაციის გადაწყვეტილებები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოწყობილობები, შლაგბაუმი) სასაწყობედ.

დასავლეთით 25 მ. მანძილში განთავსებულია შპს „თარი“-ს (01.19.14.003.078), ხოლო დაახლოებით 28 მ. მანძილში შპს „შპს "პატრიოტი"-ს სასაწყობე ტერიტორიები (01.19.14.003.199). 120 მ. მანძილში წარმოდგენილია შპს „ორბელი ტრანს“-ის სასაწყობე ტერიტორია (ს/კ:01.19.14.003.132; 01.19.14.003.178), ხოლო 230 მ. მანძილში შპს „ჯეო ფრემ გრუპი“-ის ხილისა და ბოსტნეულის სამაცივრე ტერიტორია (ს/კ:01.19.14.003.134). დაახლოებით 180 მ. მანძილში მდებარეობს შპს „ვი თი ჯგუფი“-ს (ს/კ: 01.19.14.003.188) და შპს „გერმანულ ქართული სამშენებლო საზოგადოების“ ტერიტორიები, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო ტექნიკის განსათავსებლად.


სამხრეთით 85 მ. მანძილში მდებარეობს შპს „ავერსი ფარმა“-ს საწარმოო ტერიტორიები (ს/კ:01.19.28.001.290; 01.19.28.001.183; 01.19.28.001.252; 01.19.28.001.297). შპს „ავერსი ფარმა“ წარმოადგენს ქართულ ფარმაცევტულ კომპანიას, რომელიც მოწყობილია და ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების GMP EU-სა და ISO 9001-ის მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოში იფუთება სხვადასხვა ფარმაცოლოგიური ჯგუფის 200-ზე მეტი დასახელების პროდუქტი: ტაბლეტები, კაფსულები, სიროფები, ემულსიები, სუსპენზიები,

წვეთები, სპრეები, საინექციო ხსნარები, ფხვნილები, გელები და კრემები (კომპანია საწარმოში მედიკამენტების არ აწარმოებს, აქ მხოლოდ შეფუთვა ხდება). ასევე სამხრეთით 300 მ. მანძილში განთავსებულია შპს "ქართული ხილი და ბოსტნეული" ხილისა და ბოსტნეულის შემნახველი სამაცივრე საწყობი (ს/კ:01.19.28.001.111). 380 მ. განთავსებულია შ.პ.ს " პოულტრი ჯორჯია"-ს (ბრენდი „კოდა“) კვერცხისა და ქათმის ხორცპროდუქტების საწარმოო ობიექტი (ს/კ: 01.19.28.001.005; 01.19.28.001.289).

სს „თბილპოლიმერის“ სამხრეთ ნაწილის სიახლოვეს გადის ზემო სამგორის ქვედა მაგისტრალური არხი. უახლოესი მოსახლე (ს/კ 01.19.28.001.133) საწარმოს ტერიტორიიდან განთავსებულია 205 მეტრ მანძილში (ნარჩენების გრანულატორის შენობიდან), ხოლო კომპანიის კუთვნილი ტერიტორიის საზღვრიდან 80 მ. მანძილში.

ფუნქციური ზონირების თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მოქცეულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1) ფარგლებში.

ილუსტრაცია 5-2. ფუნქციური ზონები



აღნიშნული ზონაში განაშენიანების დომინირებული სახეობაა სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო, მავნე საწარმოო პროცესები (არსებული და საპროექტო წარმოების გარემოზე და ადამიანზე უარყოფითი ზემოქმედების შეფასება მოცემულია [პარაგრაფში 8](#)).

კომპანიის კუთვნილებაში არსებულ ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია, აქ მხოლოდ რამდენიმე ერთეული ხე-მცენარეა წარმოდგენილი, რომელთაგან არცერთი არ განეკუთვნება დაცული სტატუსის ან საკონსერვაციო მნიშვნელობის სახეობას. ამასთან, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების პერიოდში არსებულ მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.


5.2 საწარმოო პროცესის აღწერა

არსებული წარმოების აღწერა

კომპანიის კუთვნილებაში არსებულ ტერიტორიაზე სულ განლაგებულია 9 შენობა -

ნაგებობა, რომელთაგან ერთი ადმინისტრაციული (შენობა №1, 2 სართული, საერთო ფართობი 807.82 მ²), ხოლო ორი საწარმოო დანიშნულებით გამოიყენება. არსებული წარმოება განთავსებულია 1148.35 მ² ფართობის მქონე №2 შენობა-ნაგებობაში (სიგრძე - 48.32 მ, სიგანე - 24.2 მ, სიმაღლე - 10.77 მ).

სქემა 5-1. შენობების განლაგების სქემა



წარმოებაში პროდუქციის მიღება ამჟამად მხოლოდ პირველადი ნედლეულისგან (პლასტიკის გრანულები) მიმდინარეობს, რომლის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე მზა სახით ხდება.

პირველადი ნედლეულის გადამამუშავებისთვის საწარმოში ამჟამად სულ გამოიყენება შემდეგი დანადგარები²⁷:

- ორ თავიანი ექსტრუდერი QL-65-650-D2LH
- ფირის გასაბერი ექსტრუდერი QN-65-1200-LH
- ფლექსოგრაფიული საბეჭდი მანქანა QFA – 41001
- ფლექსოგრაფიული საბეჭდი მანქანა QFIN – 100 I
- მაღალ სიჩქარიანი ავტომატური პაკეტის საწარმო მანქანა „მაისური რულონში“ CW-100PR-C2-ST2 (1)
- მაისურის ტიპის პარკების მწარმოებელი დანადგარი QTB-850S2 (5)
- მაისურის ტიპის პარკების მწარმოებელი დანადგარი QTD-850G2 (4)
- საჭრელი OZM-85 (2)
- 2 ერთეული პლასტიკის გრანულების შემრევი - PC-600 (22,23)

სს „თბილპოლიმერი“ წარმოებაში დამატებით 2 ექსტრუდერის, 1 საჭრელის და 1 საბეჭდი


²⁷ დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები წარმოდგენილია დანართში 1.

დანადგარის დამატებას გეგმავს:

- ექსტრუდერი NPS 60;
- ექსტრუდერი NPS 55;
- საჭრელი OZ-MAK 85;
- საბეჭდი მანქანა (JPYT-6800).

არსებული და საპროექტო დანადგარების განთავსების სქემა მოცემულია ქვემოთ.

სქემა 5-2. არსებული წარმოების ტექნოლოგიური გეგმა



- 1) მაღალ სიჩქარეანი ავტომატური ბაგეტის საწარმო მანქანა "ჩაისური რელონზ" მოდელი: CW-1000PR+C2+ST2
- 2) საჭრელი მოდელი: OZM-85
- 3) საპროექტო ცელოფანის პაკეტების დასაზღვეველი დანადგარი (საჭრელი)
- 4) ჩაისურის ტიპის პარკის მწარმოებელი დანადგარი მოდელი: QTD-850G2
- 5) მათხურის ტიპის პარკის მწარმოებელი დანადგარი მოდელი: QGTB-860-S2
- 6) LDPE/LLDPE/HOPE/PLA ფილის გახაზვები ექსტრუდერი მოდელი: QN-45-1200LH
- 7) ორ თიანკანა ექსტრუდერი მოდელი: QL-85-850P2LH
- 8) ექსტრუდერი მოდელი: NPS65mm F56
- 9) ექსტრუდერი მოდელი: NPS80mm F60
- 10) საპროექტო ექსტრუდერი
- 11) საპროექტო ექსტრუდერი
- 12) სასაწარმოო ტერიტორია
- 13) ტექნიკური ოთახი
- 14) კომპრესორი მოდელი: DALGAKIRAN
- 15) კომპრესორი მოდელი: DALGAKIRANDVK-150
- 16) კომპრესორი მოდელი: DALGAKIRANDVK-15
- 17) ტრანსფორმატორი მოდელი: DALGAKIRA
- 18) დისტრუბუცი
- 19) პარკამოლეტი
- 20) საწარმოო ოთახი
- 21) საპროექტო საბეჭდი დანადგარი (მოდელი: JPYT-6800)
- 22) უბრევი
- 23) უბრევი
- 24) ელენერჯის კარავა

ს-სართული	
ფართობი	
სასაბაჟო ფართობი	1181.81 მ ²
სასაწარმოო	
საბრუნო	
ანტიბოსონი	
მათხურები	
წინააღმდეგობა	1181.81 მ ²
პროექტირებული	
კედელი	
კარი 1 ფართობი	
კარი 2 ფართობი	
ფანჯარა	
მათხურები	
კარავა	

შენიშვნის შიდა ავტომატიზირებული ნახაზი

მთავარი	მთავარი	მთავარი	მთავარი
მთავარი	მთავარი	მთავარი	მთავარი
მთავარი	მთავარი	მთავარი	მთავარი
მთავარი	მთავარი	მთავარი	მთავარი

შენიშვნა № 02/1-ის დანართების განლაგების ნახაზი


სს "CPS - Cadastral Problems Solutions" | Email: Lcaubada@cps.ge | თბილისი 17.01.2023 | მასშტაბი - 1:100

შენიშვნა: სქემაზე, წითელ ფერში მოცემული დანადგარები წარმოადგენს საპროექტო დანადგარებს, რომელთა დამატებაც წარმოებაში იგეგმება

პირველადი ნედლეული (გრანულები, დანამატები) საწარმოში შემოდის დაფასოებული, რომელიც თვითმცლელის საშუალებით (ამჟამად კომპანია თვითმცლელს ქირაობს, სამომავლოდ განიხილება შეძენაც) საწყობდება სასაწყობე მეურნეობაში (სამომავლოდ, შემოტანილი მასალების დასასაწყობებლად შესაძლოა ასევე გამოყენებული იყოს საპროექტო სასაწყობე შენობა (№4 შენობა სქემა 5-1-ზე). სასაწყობე მეურნეობიდან, პერსონალის მიერ, საჭიროებისამებრ ხდება ნედლეულის გადატანა საწარმოო ზონაში (შენობა №2), სადაც სხვადასხვა ნედლეული (HDPE FL 7000; LLDPE Q1018; LDPE FE3000; Additive - V.2.3) წინასწარ, მკაცრად განსაზღვრული პროპორციულობით, დოზირებულად იყრება სპეციალურ შემრევში და ხდება მათი შერევა, ერთიანი მასის მისაღებად. შერეული მასა ინაცვლებს ფირის გასაბერი ექტრუდერის დანადგარებზე, სადაც მიიღება შესაბამისი ტექნიკური მასალის მქონე ფირი. საჭიროების შემთხვევაში ფირი იხატება ფლექსოგრაფიულ საბეჭდ მანქანაზე. საბეჭდი მანქანა წარმოადგენს ექტრუდერის შემადგენელ ნაწილს და გამოიყენება საჭიროებისამებრ-იმ შემთხვევაში თუ აუცილებელი ფირის მოხატვა. მიღებული ფირი საწყობდება საწარმოშივე, წარმოების შემდეგ ეტაპზე გადასვლამდე. დასაწყობებული ფირი შემდეგ უკვე ინაცვლებს პარკების წარმოების, ჭრისა და შედუღების მანქანაზე, სადაც ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, ხდება მზა პროდუქციის მიღება. მზა პროდუქციის მიღების შემდეგ, პროდუქცია იფუთება და საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი ეტიკეტირებაც (კონკრეტული მომხმარებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით). შეფუთული პროდუქცია გადის წონისა და სხვა შესაბამისი პარამეტრების კონტროლს და ინაცვლებს სასაწყობე მეურნეობაში. სასაწყობე მეურნეობიდან მზა პროდუქცია გადის რეალიზაციაზე. ზოგიერთ შემთხვევაში სს „თბილპოლიმერი“ თავად უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებას, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში კლიენტებს ადგილიდან გააქვთ ის.

არსებული საწარმოო პროცესების და სამომავლოდ დაგეგმილი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მუშაობის დეტალური ციკლი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.

სქემა 5-3. პროდუქციის წარმოების სქემა



ილუსტრაცია 5-3. წარმოების პროცესი



სს „თბილპოლიმერი“ წარმოებაში იყენებს ISO 22000:2018 - „სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემები“ - სტანდარტს. ეს საერთაშორისო სტანდარტი ადგენს მოთხოვნებს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის მიმართ, რაც მოიცავს ინტერაქტიულ კომუნიკაციას, სისტემის მენეჯმენტს, წინასწარ საბაზისო პროგრამებს და HACCP-ის პრინციპებს. ISO 22000 არის პირველი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც შეუძლია გამოიყენოს სასურსათო ჯაჭვის ყველა მონაწილემ, შეფუთვის ჩათვლით. მათ შორის არასაკვები პროდუქტების მწარმოებელ და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს, როგორებიცაა დალაგება-დასუფთავება, მოწყობილობა-დანადგარების წარმოება და სატრანსპორტო კომპანიები.

სტანდარტი ადგენს სხვადასხვა ადგილობრივ სტანდარტებს მოთხოვნების ერთობლიობაში, რომელთა განხორციელება მარტივია და გლობალურად აღიარებული, ადვილად გასაგებიც. ISO 22000 არის პრევენციული სისტემის ინტეგრირება, რომელიც ორიენტირებულია საკვები პროდუქტების დაავადებების მომხმარებელთა ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და მიზნად ისახავს კვების ყველა პროცესის კონტროლს ისეთ ფაქტორთან, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ნედლეული, პერსონალი და აღჭურვილობა (კომპანიაში დანერგილის სტანდარტის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია [დანართებში 2](#) და 3).

ბიოდეგრადირებადი პარკების საწარმოებლად კომპანია იყენებს მასალას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- მის მწარმოებელზე გაცემულია სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს მწარმოებლის უფლებამოსილებას, აწარმოოს სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის EN 13432:2000 სტანდარტის შესაბამისი ბიოდეგრადირებადი ან/და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისთვის საჭირო მასალა;

- ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტის PAS 9017:2020 სტანდარტის შესაბამისი მასალის შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულია ბიოდეგრადირებადი ან/და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისათვის საჭირო მასალის ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტის PAS 9017:2020 სტანდარტთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სს „თბილპოლიმერს“ წარმოებაში გამოყენებული მასალებს გაერთიანებულ სამეფოში ჩაუტარდა ლაბორატორიული ტესტირება, რომლის მიხედვითაც მასალები აკმაყოფილებს მოქმედი რეგლამენტის მოთხოვნებს ([იხილეთ დანართი 5](#)).

ზემოთ მოცემული სტანდარტის და ტექნიკური რეგლამენტის გამოყენებით სს „თბილპოლიმერი“ აკონტროლებს წარმოებული პროდუქციის უვნებლობას და ხარისხს.


დაგეგმილი, ნარჩენების გადამუშავების პროცესის აღწერა

სს „თბილპოლიმერი“ გეგმავს წარმოებაში გამოიყენოს მეორადი ნედლეული (პლასტიკის ნარჩენები - ძირითადად ცელოფნის შესაფუთი მასალები), რომელიც არსებული წარმოების პროცესში წარმოიქმნება. კომპანია ასევე გეგმავს საქართველოში არსებული ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შეისყიდოს ნარჩენები და გადაამუშაოს ის.

კომპანია საწარმოში შემოიტანს ისეთი სახის ნარჩენს, რომელიც არ საჭიროებს გარეცხვას (დაბინძურებული და უხარისხო ნარჩენების შესყიდვა არ მოხდება). ნარჩენების ტრანსპორტირება საწარმომდე განხორციელდება როგორც სს „თბილპოლიმერის“, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ. სს „თბილპოლიმერი“ ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებს დახურული/გადახურული ძარის მქონე სატრანსპორტო საშუალებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნარჩენების გაფანტვა და დაცული იყოს ატმოსფერული ნალექებისგან. საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანილი ნარჩენები განთავსდება სასაწყობე შენობაში, რომელიც გადახურულია და გააჩნია ბეტონის ძირი. დასაწყობებული ნარჩენები, საგრანულატორო შენობაში (საგრანულატორო შენობის პარამეტრებია: სიგრძე - 14.08 მ, სიგანე - 5.86 მ, სიმაღლე - 3.95 მ) გადატანამდე შემოწმდება მექანიკურ მინარევეზზე. შემოწმების შემდეგ სასაწყობე შენობიდან ნარჩენები გადაიტანება საგრანულატოროში დამუშავების მიზნით.

საგრანულატორო შენობაში ასევე განთავსებული იქნება დამქუცმაცებელი, რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ, იმ შემთხვევაში თუ კომპანიას მოუწევს შედარებით მყარი პლასტიკის ნარჩენების გადამუშავება (შესაფუთი მასალების წარმოებისას პერიოდულად წარმოიქმნება ერთგვარი მასიური პლასტიკის ნარჩენი, რომელიც დამდნარი გრანულებისგანაა მიღებული). საგრანულატორო შენობაში განთავსებული იქნება 2 ერთეული გრანულატორო და 1 ერთეული დამქუცმაცებელი. (ნარჩენების გადამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სიტუაციური სქემა მოცემულია სქემაზე 5-4).

სქემა 5-4. საგრანულატორო შენობის სიტუაციური სქემა



ნარჩენების გრანულატორში გადამუშავების შემდეგ მიიღება მეორადი გრანულეტი/ნედლეული, რომელიც დაგროვდება პლასტიკის ტომრებში და გადაინაცვლებს ძირითადი წარმოების ტერიტორიაზე სასაწყობო ფართზე, საიდანაც პერიოდულად მოხდება შემრევში გადატანა და პროდუქციის წარმოება. მეორადი ნედლეულისგან მიღებული მასალით იწარმოებს სხვადასხვა სახის შესაფუთი მასალები, რომლებიც პირველადი ნედლეულისგან წარმოებული პროდუქციის მსგავსად შეიფუთება და განთავსდება სასაწყობო ტერიტორიაზე, ან სასაწყობო შენობაში რეალიზაციამდე.

ნარჩენების გადამუშავებისთვის საჭირო გრანულატორები და დამქუცმაცებელი განთავსდება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომელიც გადახურულია და გააჩნია ბეტონის იატაკი. საგრანულატორო შენობა აღჭურვილია 2 ერთეული ფანჯრითა და შესაბამისი გამწოვით. საგრანულატორო ემიჯნება არსებულ შენობა-ნაგებობას, რომელიც გამოყენებული იქნება სასაწყობოდ (როგორც წარმოებული პროდუქციისთვის, ასევე გადასამუშავებელი ნარჩენებისთვის).

ილუსტრაცია 5-4. საპროექტო საგრანულატორო (მარცხენა) და სასაწყობე შენობები



საწარმოს მოსაწყობად საჭირო ყველა სახის ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს და მხოლოდ საჭირო დანადგარების სამონტაჟოს სამუშაოების განხორციელებაა დაგეგმილი. გრანულატორის დამონტაჟება მოხდება პერსონალის დახმარებით, რომლის მონტაჟის სამუშაოები დიდ სირთულეებთან არ იქნება დაკავშირებული (არ საჭიროებს სპეციალურ ფუნდამენტის მოწყობას ან სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას). არსებულ წარმოებაში ჩართული და საპროექტო ობიექტები ერთმანეთის სიახლოვესაა განლაგებული, რომელთა შორის დამაკავშირებელი ტერიტორია წარმოდგენილია ბეტონის საფარველს (საგრანულატორომდე მისასვლელი გზის ნაწილი მოიცავს ბეტონის საფარველს, ნაწილი კი-გრუნტს), რომელშიც მოწყობილია სანიაღვრე სიტემა.

ილუსტრაცია 5-5. კომპანიის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე წყლების შემკრები ჭა



საწარმოს შეუძლია ყოველთვიურად აწარმოოს 200 ტონა პროდუქცია. თუმცა საწყის ეტაპზე წარმადობა პირველადი ნედლეულისთვის დაახლოებით 60 ტონა იქნება ყოველთვიურად. კომპანია გეგმავს პირველადი ნედლეულისგან წარმოებული პროდუქციის 10% (საკუთარი ნარჩენი დაახლოებით 6 ტონა თვეში) გადაამუშაოს. გარდა ამისა, კომპანია ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან შეისყიდის მეორად ნედლეულს, რომლის ოდენობაც, მაქსიმალური წარმადობის შემთხვევაში დაახლოებით 20 ტონა იქნება თვეში. ანუ, კომპანია გეგმავს დაახლოებით 26 ტონა მეორადი ნედლეულის გადაამუშავებას და იმავე რაოდენობის პლასტიკის გრანულების მიღებას ყოველთვიურად. ჯამურად, პირველადი და მეორადი ნედლეულის გადაამუშავების მოცულობა 86 ტონა იქნება ყოველთვიურად.

როგორც უკვე აღინიშნა ნარჩენების გადაამუშავების პროცესში წყლის გამოყენება არ განხორციელდება. ამჟამად (და სამომავლოდაც) საწარმო წყალს სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით იყენებს. წყალმომარაგება ხორციელდება ქალაქ თბილისის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან.

სამუშაო რეჟიმი

ამჟამად საწარმოს სამუშაო რეჟიმი შეადგენს 24 საათს კვირაში 7 დღე, ანუ საწარმო წელიწადში მუშაობს 8760 საათი (გაუთვალისწინებელი შემთხვევების გარდა). დასაქმებული პერსონალის ძირითადი ნაწილი მუშაობს ცვლებში 20 საათიანი გრაფიკით, იმგვარად რომ კვირაში თითოეულ მათგანს არ უწევს 40 საათზე მეტი მუშაობა (ანუ დასაქმებული ადამიანის სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში 4 დღეს შეადგენს). ამასთან საწარმოში დასაქმებული პერსონალის ნაწილს გააჩნია ჩვეულებრივი 8 საათიანი სამუშაო დღე, კვირაში 5 დღის განმავლობაში.

ნარჩენების გადაამუშავების ხაზის ამოქმედების შემდეგ დასაქმებულების რაოდენობა გაიზრდება. კომპანიაში დასაქმდება დამატებით 8 პირი საჭიროების შემთხვევაში, რომლებიც იმუშავენ საგრანულატორო და სასაწყობე შენობაში. ნარჩენების გადაამუშავების ხაზის მუშაობის რეჟიმი ასევე იქნება საჭიროების შემთხვევაში 24 საათიანი (ნარჩენების გადაამუშავების ხაზის სამუშაო რეჟიმი დამოკიდებული იქნება წარმოქმნილი და მიღებული ნარჩენების რაოდენობაზე. მცირე რაოდენობის ნარჩენების შემთხვევაში სამუშაო რეჟიმი იქნება მცირე დროის). ერთ ცვლაში დასაქმებული იქნება მაქსიმუმ 3 ადამიანი, რომლებიც იმუშავენ კვირაში არაუმეტეს 40 საათისა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საღამოს და ღამის საათებში საგრანულატოროში განთავსებული დანადგარებიდან მხოლოდ გრანულატორი იმუშავებს. დამქუცმაცებელის მუშაობა მხოლოდ დღის საათებში განხორციელდება²⁸.

6 ალტერნატიული ვარიანტები

6.1 საწარმოს განთავსების ალტერნატივა

როგორც დასაწყისში აღინიშნა, კომპანიის კუთვნილებაში არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულია სხვა უფუნქციო შენობა-ნაგებობებიც. წარმოებაში ნარჩენების

²⁸ დამქუცმაცებელის მუდმივი საჭიროება არ არსებობს, ის გამოიყენება პერიოდულად დღის საათებში.

გადამუშავების ხაზის დამატებისას, საჭირო ინფრასტრუქტურის განთავსებისთვის განიხილებოდა 2 ვარიანტი:

- ვარიანტი 1 - გრანულატორების და დამქუცმაცებლის განთავსება სასაწყობე შენობის მომიჯნავედ არსებულ 83.55 კვ.მ შენობაში (შენობა №8 გენგეგმაზე);
- ვარიანტი 2 - გრანულატორების და დამქუცმაცებლის განთავსება ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ 2409.19 კვ.მ შენობა-ნაგებობაში (შენობა №1 გენგეგმაზე);

ილუსტრაცია 6-1. არსებული შენობა-ნაგებობა - ვარიანტი 2




რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს განთავსებისთვის კომპანიამ პირველი ვარიანტი შეარჩია. მეორე ვარიანტი უგულვებელყოფილი იქნა შემდეგი მიზეზების გამო:

- 2409.19 კვ.მ არსებული შენობა-ნაგებობა საჭიროებს სერიოზული რეაბილიტაციის სამუშაოებს: შენობის არსებული გადახურვა არასაკმარისია ნალექებისგან დასაცავად; არსებული ფანჯრები დაზიანებულია და საჭიროებს შეცვლას; შენობის შიდა სივრცე საჭიროებს მოწესრიგებას - იატაკის და კედლების მოპირკეთებას;
- ამასთან, აღნიშნული შენობა-ნაგებობა უფრო დიდი მანძილითაა დაცილებული არსებულ წარმოებას (76 მ) და სასაწყობე შენობას (30 მ). ვარიანტი 1-ს შემთხვევაში შენობა არსებული წარმოებიდან დაშორებულია 45 მ. მანძილით, ხოლო სასაწყობე შენობას უშუალოდ ემიჯნება;
- ვარიანტი 2-ს შერჩევის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა შენობამდე მისასვლელი გზის გარკვეული ნაწილის მოწესრიგების სამუშაოების ჩატარება (მიწის და

ბეტონის სამუშაოები). ვარიანტი 1-ს შემთხვევაში დამატებითი სამუშაოების განხორციელება საჭირო არაა.

ილუსტრაცია 6-2. ვარიანტების განლაგება



ვარიანტი 2-ს შერჩევის შემთხვევაში, საწარმოს მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები გამოიწვევდა დამატებით უარყოფით ზეგავლენას გარემოს კომპონენტებზე, რაც გამობატული იქნებოდა გარკვეული პერიოდით ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებლების და ხმაურის გავრცელებაში, ნარჩენების წარმოქმნაში, ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედებაში.

ვარიანტი 1-ის შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული ზემოქმედებები მოსალოდნელი არაა. ვარიანტების შერჩევისას ყურადღება მიექცა სიახლოვის პრინციპსაც. ზემოთ მოცემული ფაქტორების შესაბამისად სს „თბილპოლიმერმა“ არჩევანი შეაჩერა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთეს ვარიანტზე.

6.2 ტექნოლოგიური ალტერნატივები

ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, კომპანია ერთერთ ვარიანტად განიხილავდა ნარჩენების გადამუშავებას ღია წყალმომარაგების სისტემით, რაც გულისხმობდა, ტექნოლოგიურ პროცესში, კომპანიის ტერიტორიაზე შემოტანილი დაბინძურებული პლასტიკის ნარჩენების სპეციალურ სარეცხ დანადგარში გარეცხვას სუფთა წყლის ნაკადის საშუალებით.

მეორე ვარიანტად განიხილებოდა ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება, რისთვისაც საჭირო არ იქნებოდა შემოტანილი მასალის გარეცხვა და დანადგარების სიტემის წყლით გაგრილება.

მეორე ვარიანტის შემთხვევაში ნედლეულად შესაძლებელია გამოყენებული იყოს მხოლოდ სუფთა მასალა.

შემოთავაზებული ორი ვარიანტიდან, კომპანიამ საბოლოოდ არჩევანი მეორე ვარიანტზე გააკეთა და გეგმავს ნარჩენების გადამუშავების წარმოებაში გამოიყენოს 2 ერთეული OZM-O70GR და OZM-O80GR გრანულატორი. აღნიშნული გრანულატორები არ საჭიროებს წყლით გაგრილებას, რომლებშიც შესაძლებელია გასუფთავებული და შესაბამის ზომების პლასტიკის ნარჩენები პირდაპირ განთავსდეს. ამ ტექნოლოგიის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ნარჩენების გადამუშავების პროცესში წყლის რესურსების გამოყენება არ მოხდება, შესაბამისად, ადგილი არ ექნება დაბინძურებული წყლების და ნარჩენების წარმოქმნას. აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებისას ასევე არ მოხდება ორთქლის წარმოქმნა, რაც დასაქმებულ პერსონალზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს საგრძნობლად ამცირებს. შერჩეული ტექნოლოგია ხასიათდება ოპერირების სიმარტივით და ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული მინიმალური რისკებით.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანია გეგმავს საწარმოს ტერიტორიაზე შემოიტანოს გასუფთავებული პლასტიკის ნარჩენები, რომელსაც გადაამუშავებს 2 ერთეული გრანულატორის საშუალებით. და, როგორც უკვე აღინიშნა, შერჩეულ ტექნოლოგიას სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით გააჩნია რიგი გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების უპირატესობები, რაც მისი შერჩევის მთავარი ფაქტორი გახდა.

6.3 არაქმედების ალტერნატივა

არაქმედების ალტერნატივა გულისხმობს პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობაზე უარის თქმას და მხოლოდ არსებული პირველადი ნედლეულისგან მიღებული პროდუქციის წარმოების დატოვებას.

ნარჩენების მართვის 2016-2030 წწ ეროვნული სტრატეგიის მიზანი 5 - „ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა“ - სწორედ ნარჩენების ხელახალ გამოყენებას ეხება. ამასთან, ეროვნული სტრატეგიის მიხედვით ნარჩენების რეციკლირების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები შემდეგია:

	2026 წლისთვის	2030 წლისთვის
ქაღალდი	50 %	80%
მინა	50%	80%
მეტალი	80%	90%
პლასტიკი	50%	80%

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის გეგმა გადაამუშაოს პლასტიკის ნარჩენები, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნარჩენების მართის სისტემის გაუმჯობესების სფეროში ეროვნულ დონეზე. კომპანიის მიერ გადამამუშავებული ნარჩენები შეამცირებს, როგორც პირველადი ნედლეულის გამოყენების მაჩვენებელს, ასევე ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას. ნარჩენების გადამამუშავებაზე უარის თქმა შედარებით მეტ უარყოფით შედეგებს მოიტანს გარემოსთვის, ვიდრე ეს მათი გადამამუშავების პროცესშია მოსალოდნელი.

7 საწარმოს განთავსების ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა

7.1 ფიზიკური გარემო

7.1.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

თბილისსა და მის მიდამოებში ყველაზე ცივი თვეა იანვარი, რომლის საშუალო ტემპერატურა განაშენიანებულ ტერიტორიაზე 0.3°C -დან 0.9°C -მდეა, შემოგარენში კი, ტერიტორიის სიმაღლის გამო ამ თვის ტემპერატურა მნიშვნელოვნად ეცემა და უარყოფითი ხდება. ზაფხულში ქალაქის უმეტეს ტერიტორიაზე ტემპერატურა 24°C -ს აღემატება. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ყველაზე ცხელი თვე ივლისია, ხოლო შემოგარენში უფრო ცხელი თვეა აგვისტო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა თბილისსა და მის მიდამოებში 12.3°C -მდეა. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია (დიდომი - 12.1°C , თბილისი ობსერვატორია - 12.3°C), ხოლო შემოგარენში, რელიეფის მთა-გორიანობის გამო თანდათან კლებულობს და კოჯორში ის 7.4°C -ის ფარგლებშია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია სადგურ „თბილისის აეროპორტის“ კლიმატური მახასიათებლები საქართველოს მთავრობის №71 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“-ის მიხედვით.

ცხრილი 7-1. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (°C)

სადგური	გარე ჰაერის ტემპერატურა, 0 C																			პერიოდი <80C		საშუალო ტემპერატურა 13 საათზე		
	თვის საშუალო													წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთ-დღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო.	ხანგრძლივობა დღეების	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი დღისათვის	ყველაზე ცხელი დღისათვის
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი												
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	
თბილისი აეროპორტი	0.4	1.9	5.7	11.2	16.6	20.5	24.0	24.1	19.4	13.7	7.3	2.5	12.3	-23	40	30.5	-9	-12	0.3	139	3	3.4	28.7	

ცხრილი 7-2. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობები (°C)

სადგ-ური	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა														საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	21	22	23	24	
თბილისი აეროპო-რტი	73	70	68	65	65	61	58	56	63	70	75	75	67	61	44	19	26	

ცხრილი 7-3. ნალექების რაოდენობა, მმ

ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
540	145

ცხრილი 7-4. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ

1	5	10	15	20
33	41	45	47	48

ცხრილი 7-5. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ

იანვარი	ივლისი
10.0/2.2	10.6/3.5

ცხრილი 7-6. ქარის სიჩქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები (მ/წმ)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	5.4	6.8	6.4	6.4	5.9	6.3	7.2	5.8	5.6	5.1	4.1	4.4	5.8

ცხრილი 7-7. ქარის მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა (%)

თვე	ჩ	ჩ-აღმ.	აღმ.	ს-აღმ.	ს	ს-დ	დ.	ჩდ	შტილი
I	1	3	3	5	2	1	5	80	45
II	1	4	5	7	4	2	3	74	37
III	1	3	5	16	6	2	3	64	36
IV	1	4	6	19	7	2	2	59	34
V	1	4	8	14	7	2	3	61	32
VI	1	5	7	13	6	2	3	63	26
VII	1	4	8	13	7	2	3	62	23
VIII	1	5	9	13	10	2	3	57	29
IX	1	5	8	15	7	2	2	60	36
X	1	5	6	10	7	1	3	67	42
XI	1	4	5	10	6	2	5	67	52
XII	2	3	2	5	3	1	5	79	49
წლიური	1	4	6	12	6	2	3	66	37

7.1.2 გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა ტერასირებულ ნაპირეთში, მკვეთრად გამოხატული აკუმულაციური ფორმების ფართო გავრცელებით. დაბლობის ჩამოყალიბება ხდებოდა მდ. მტკვრის ეროზიული მოქმედებით და ალუვიური ნალექების აკუმულაციით.

ლილოს დასახლება მთლიანად მოიცავს მდ. მტკვრის შუა მეოთხეული ასაკის მესამე ტერასული საფეხურის ზედაპირს. ტერასული ზედაპირი ერთიანი და სწორია, წყალგამყოფის ფარგლებში (მდ. მდ. ლილოს ხევი და ლოჭინი) დაუნაწევრებელი, სუსტად დახრილი სამხრეთით მდ. მტკვრისაკენ ქანობით 2-4⁰-მდე, სწორხასოვანი პროფილებით განივ და გრძივ კვეთებში. იგი განვითარებულია განედურად მრავალ კილომეტრზე, ხოლო მერიდიანულად იცვლება სხვადასხვა სიმაღლეებზე განლაგებული ანალოგიური გენეზისის შედარებით მაღალი (უფრო ძველი) და დაბალი (ახალგაზრდა) ტერასული საფეხურებით.

თანამედროვე ეტაპზე აკუმულაციის პროცესი შეცვლილია ეროზიულით, რის გამოც თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელის მიერ (საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს გამავალი გამდინარეები ლილოს ხევი და ლოჭინი) ტერასაში და ძირითად ქანებში სიმეტრიული ჩაჭრის სიღრმე 20-30 მ-მდეა.

ქ. თბილისის ამ ნაწილში ძირითადი ქანები წარმოდგენილია ზედა ეოცენური ასაკის ე.წ. “თბილისის ნუმულიტური წყების” ქვიშაქვების და თიხების მორიგეობით, რომლებიც შეინიშნება ზემოთ აღნიშნული მდინარეების ვიწრო ხეობებში. ლილოს დასახლების მთელ ტერიტორიაზე ეს ქანები გადაფარულია რთული გენეზისის, ცვლადი შემადგენლობის და სიმძლავრეების მეთხეული ასაკის საფარი ქანებით.

მავნე ნივთიერება			აირმტვერდამჭერი მოწყობილობების		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ ³		აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გაწმენდის ხარისხი, %	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტიური
1	2	3	4	5	6	7	8	9
-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილი 8-4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება

მავნე ნივთიერება		გამოყოფის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.4+სვ.6)	მათ შორის			გასაწმენდად შემოსულიდან დაჭერილია		სულ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათა დაჭერის % გამოყოფილთან შედარებით (სვ.7/სვ.3)X100
კოდი	დასახელება		გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვდა გამწმენდ მოწყობილობაში	სულ	მათ შორის უტილიზებულია		
			სულ	ორგანიზებული გამოყოფის წყაროდან					
1	2	3	4	5	6	7	8	9	
301	აზოტის დიოქსიდი	0.0800	0.0800	-	-	-	-	0.0800	0,00
337	ნახშირბადის ოქსიდი	3.3960	3.3960	-	-	-	-	3.3960	0,00
416	ააონ	12.6150	12.6150	-	-	-	-	12.6150	0,00
1555	ეთანმჟავა (მმარმჟავა)	1.6000	1.6000	-	-	-	-	1.6000	0,00

8.1.1.5 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში

სს „თბილპოლიმერი“-ს პოლიეთილენისა და ბიოდეგრადირებადი პარკების საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კომპიუტერული მოდელირებისას, ფონის სახით გამოყენებულია შემდეგი საწარმოების ფუნქციონირებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებები:

შპს „ლორდი“-ს პოლიმერული ნაკეთობების საწარმო (მონაცემები აღებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან 2018წ.).

გაფრქვევის წყაროს N		გამოყოფის წყაროს დასახელება
დოკუმენტით	ფონის სახით	
გ-1	გ-101	40კგ/სთ წარმადობის ექსტრუდერი
გ-2	გ-102	60კგ/სთ წარმადობის ექსტრუდერი
გ-3	გ-103	35კგ/სთ წარმადობის ექსტრუდერი
გ-4	გ-104	200კგ/სთ წარმადობის ექსტრუდერი
გ-5	გ-105	35კგ/სთ წარმადობის ექსტრუდერი
გ-6	გ-106	50კგ/სთ წარმადობის ექსტრუდერი
გ-7	გ-107	90კგ/სთ წარმადობის ექსტრუდერი
გ-9	გ-109	90კგ/სთ წარმადობის გრანულატორი
გ-10	გ-110	65კგ/სთ წარმადობის ჩამოსხმის დანადგარი
გ-11	გ-111	90კგ/სთ წარმადობის ჩამოსხმის დანადგარი
გ-12	გ-112	90კგ/სთ წარმადობის ჩამოსხმის დანადგარი

შპს „ჯორჯიან პეტ პლასტ მენჯემენტი“-ის პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმო (მონაცემები აღებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშიდან);

გაფრქვევის წყაროს N		გამოყოფის წყაროს დასახელება
დოკუმენტით	ფონის სახით	
გ-2	გ-102	გრანულატორი

ფონის სახით აღებულია საწარმოების ფუნქციონირებისას გაფრქვეული ის მავნე ნივთიერებები, რომლებიც გაიფრქვევა სს „თბილპოლიმერის“ პოლიეთილენისა და ბიოდეგრადირებადი პარკების საწარმოს ფუნქციონირებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებები.

ზემოთმოყვანილ გაანგარიშებების საფუძველზე შესრულებულია გაბნევის ანგარიში [8]-ს მიხედვით.

საანგარიშო მოედნები

კოდი	მოედნის სრული აღწერა				სიმაღლე (მ)	ბიჯი (მ)		სიმაღლე (მ)
	კოორდინატები (მ)		კოორდინატები (მ)			სიგანეზე	სიგრძეზე	
	X	Y	X	Y				
1	-1112.00	-42.25	1343.50	-42.25	1552.500	50.000	50.000	2.000

საანგარიშო წერტილები

კოდი	კოორდინატები (მ)		სიმაღლე (მ)	წერტილის ტიპი	კომენტარი
	X	Y			

1	157.00	-144.00	2.000	უახლოესი სახლი	
2	-467.50	-219.07	2.000	უახლოესი სახლი	
3	-63.00	526.93	2.000	ნორმირებული 500 მ-იანი	
4	644.40	45.48	2.000	ნორმირებული 500 მ-იანი	
5	58.63	-593.87	2.000	ნორმირებული 500 მ-იანი	
6	-661.19	-103.75	2.000	ნორმირებული 500 მ-იანი	

8.1.1.6 ატმოსფერულ ჰაერში მაცნე ნივთიერებათა გაბნევის გრაფიკული ნაწილი




ნივთიერება: 0301 აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი). მაქსიმალური კონცენტრაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლთან წერტილი N1, N2 და 500 მ-ნი ნორმირებული ზონის საზღვარზე წერტილი N 3-5.



ნივთიერება: 0337 ნახშირბადის ოქსიდი. მაქსიმალური კონცენტრაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლთან წერტილი N1, N2 და 500 მ-ნი ნორმირებული ზონის საზღვარზე წერტილი N 3-5.



ნივთიერება: 0416 ნაჯერი ნახშირწყალბადების ნარევი C6-C10. მაქსიმალური კონცენტრაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლთან წერტილი N1, N2 და 500 მ-ნი ნორმირებული ზონის საზღვარზე წერტილი N 3-5.



ნივთიერება: 1555 ეთანმჟავა (ძმარმჟავა). . მაქსიმალური კონცენტრაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლთან წერტილი N1, N2 და 500 მ-ნი ნორმირებული ზონის საზღვარზე წერტილი N 3-5.

8.1.1.7 მავნე ნივთიერებათა გაზნვის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი

შემაჯამებელ ცხრილში მოცემულია საკონტროლო წერტილებიდან დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები ზღვ-წილებში.

მავნე ნივთიერებათა		მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის წილი ობიექტიდან	
კოდი	დასახელება	უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე	500 მ რადიუსის საზღვარზე
1	2	3	4
301	აზოტის დიოქსიდი	0.009	0.004
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.052	0.016
416	ააონ	0.004	0.001
1555	ეთანმჟავა (ძმარმჟავა)	0.859	0.280

განგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ, აგრეთვე უახლოესი დასახლებული ზონის მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, ამდენად საწარმოს ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

8.1.1.8 ტმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები

ზღვ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 8-5. ზღვ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის

გამოყოფის წყაროს დასახელება	გაფრქვევის წყაროს ნომერი	ზღვ-ს ნორმები 2023- 2027 წლებისთვის		
		გ/მ ³	გ/წმ	ტ/წელი
1	2	3	4	5
301 აზოტის დიოქსიდი				
ღუმელი	გ-1	0.200	0.0030	0.0400
ღუმელი	გ-2	0.200	0.0030	0.0400
	Σ	0.400	0.0060	0.0800
337 ნახშირბადის ოქსიდი				
ღუმელი	გ-1	0.467	0.0070	0.0980
ღუმელი	გ-2	0.467	0.0070	0.0980
ექსტრუდერი	გ-3	0.017	0.0280	0.8720
ექსტრუდერი	გ-4	0.017	0.0280	0.8720
ექსტრუდერი	გ-5	0.017	0.0280	0.8720
გრანულატორი	გ-9	0.133	0.2220	0.5840
	Σ	1.117	0.3200	3.3960
416 ააონ				
ექსტრუდერი	გ-3	0.072	0.1200	3.6740
ექსტრუდერი	გ-4	0.072	0.1200	3.6740
ექსტრუდერი	გ-5	0.072	0.1200	3.6740
საბეჭდი დანადგარი	გ-6	0.037	0.0610	0.5310
საბეჭდი დანადგარი	გ-7	0.037	0.0610	0.5310
საბეჭდი დანადგარი	გ-8	0.037	0.0610	0.5310
	Σ	0.326	0.5430	12.6150
1555 ეთანმჟავა (მმარმჟავა)				
ექსტრუდერი	გ-3	0.008	0.0140	0.4360
ექსტრუდერი	გ-4	0.008	0.0140	0.4360
ექსტრუდერი	გ-5	0.008	0.0140	0.4360
გრანულატორი	გ-9	0.067	0.1110	0.2920
	Σ	0.092	0.1530	1.6000

ზღვ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსთვის წარმოდგენილია ცხრილში 8-6.

ცხრილი 8-6. ზღვ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსთვის

მავნე ნივთიერებათა დასახელება		ზღვ-ს ნორმები 2023 - 2028 წლებისთვის		
კოდი	დასახელება	გ/მ ³	გ/წმ	ტ/წელი
1	2	3	4	5
301	აზოტის დიოქსიდი	0.400	0.0060	0.0800
337	ნახშირბადის ოქსიდი	1.117	0.3200	3.3960
416	ააონ	0.326	0.5430	12.6150
1555	ეთანმჟავა (მმარმჟავა)	0.092	0.1530	1.6000
	Σ	1.935	1.0220	17.6910

8.1.2 ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება

8.1.2.1 მოწყობის ეტაპი

ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის პერიოდში გარემოზე ხმაურით და ვიბრაციით ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება, რადგან მოწყობის სამუშაოების მხოლოდ დანადგარების სამუშაოების მონტაჟს მოიცავს, რაც არ იქნება ხანგრძლივი პერიოდის. ამასთან სამუშაოები წარიმართება დახურულ შენობაში, რაც ხმაურის გავრცელებას მინიმუმამდე შეამცირებს.

8.1.2.2 ექსპლუატაციის ეტაპი

8.1.2.2.1 ინსტრუმენტალური გაზომვები

2023 წლის 14 მარტს სს „თბილპოლიმერის“ ტერიტორიაზე ხმაურის დონე გაიზომა 3 წერტილში: საწარმოს შიდა ტერიტორიაზე (საჭრელ დანადგართან), საწარმოს შიდა ტერიტორიაზე (პარკის ამომყვან დანადგართან) და საწარმოს ეზოში. ხმაურის ფონური დონის გაზომვა ასევე განხორციელდა უახლოს საცხოვრებელ სახლთან.


საწარმოო უბანზე ხმაურის დონის გაზომვები ჩატარდა კედლიდან მინიმუმ 1 მ და ფანჯრიდან მინიმუმ 1,5 მ დაშორებით, იატაკიდან 1,5 მ სიმაღლეზე. გაზომვის წარმოების პროცესში ხმაურმზომის მიკროფონი მიმართული იყო ხმაურის გამომცემი წყაროს მიმართულებით, გაზომვების ჩამტარებელი პირიდან არანაკლებ 0,5 მ დაშორებით.

ხმაურის დონეების შესწავლა განხორციელდა ხმაურის საზომი ხელსაწყო – “CEL-63x Enviromental and Occupational Noise Meter”-ის საშუალებით. გაზომვების შედეგები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში და გრაფიკებზე.


ცხრილი 8-7. ხმაურის გაზომვის შედეგები

წერტ. №	საკვლევი წერტილების დასახელება	გაზომვის შედეგი, LA _{ექვ} დბA	ზღვრულად დასაშვები დონე, LA _{ექვ} დბA
1	უახლოესი მაცხოვრებელი	58	35
2	საწარმოს შიდა ტერიტორია (საჭრელ დანადგართან)	82	75
3	საწარმოს შიდა ტერიტორია (ექსტრუდერებთან)	80	75
4	საწარმოს ეზო	55	75


გრაფიკი 8-1. უახლოესი საცხოვრებელი




გრაფიკი 8-2. საწარმოს შიდა ტერიტორია (საჭრელ დანადგართან)



გრაფიკი 8-3. საწარმოს შიდა ტერიტორია (პარკის ამომყვან დანადგართან)



გრაფიკი 8-4. საწარმოს ეზო



როგორც გრაფიკებზეა გამოსახული აღნიშნულ უბნებზე დროებითი მახასიათებლის მიხედვით ხმაური „არამუდმივია“³⁰. „არამუდმივი“ ხმაურის დონის შეფასებისთვის გამოყენებულია გაზომვის შედეგი - „ბგერის ეკვივალენტური დონე LAeq დბA“.

გაზომვებმა აჩვენა, რომ ხმაურის დონე 4 წერტილიდან 3 შემთხვევაში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ დონეს: უახლოეს მაცხოვრებელთან და საწარმოს შიდა ტერიტორიაზე (დანადგარების განთავსების უბანზე) მცირედით. გასათვალისწინებელია, რომ უახლოეს მაცხოვრებელთან ხმაურის არსებული ფონური დონე განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით - მაცხოვრებლის სიახლოვეს (ჩრდილოეთით, 30 მ. მანძილში) წარმოდგენილია შპს „ლორდის“ კუთვნილებაში არსებული ტერიტორია და საწარმო, მაცხოვრებლის აღმოსავლეთით ასევე მდებარეობს ყოფილი თეთრონის ქარხანა და იქ არსებული წარმოებები. ჩრდილო-დასავლეთით 70 მ. მანძილში გადის ჭირნახულის ქუჩის საავტომობილო გზა. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები განთავსებულია სამრეწველო ზონა-1-ში, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის წარმოებები, რაც განაპირობებს ხმაურის დონის არსებულ ფონს.


დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით, ხმაურის არსებულ ფონურ დონეზე ზემოქმედების მასშტაბი წარმოდგენილია შემდეგ პარაგრაფში.

8.1.2.2.2 ხმაურის დონის გაანგარიშება ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოების გათვალისწინებით


ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო არსებულ და საპროექტო წარმოებაში გამოყენებული ტექნიკა დანადგარები იქნება. ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციებზე დატანილია ყველა ის, როგორც არსებული, ასევე საპროექტო დანადგარები რომელთა ფუნქციონირება დაკავშირებული იქნება ხმაურის გავრცელებასთან.

³⁰არამუდმივი ხმაური - ხმაური, რომლის ბგერის დონე, ხმაურმზომის დროით მახასიათებელზე „ნელა“ გაზომვებისას დროში იცვლება 5დბA მეტად.

ნახაზი 8-1. ხმაურის გავრცელების წყაროები - არსებული წარმოება



ნახაზი 8-2. ხმაურის გავრცელების წყაროები-საპროექტო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოო ხაზი




ცხრილი 8-8. წარმოებაში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების ნუსხა³¹

№	ტექნიკა/დანადგარი	რაოდენობა
1	ორთავაკიანი ექსტრუდერი QL-65-650-D2LH	1
2	ფირის გასაბერი ექსტრუდერი QN-65-1200LH	1
3	მაისურის ტიპის პარკების მწარმოებელი დანადგარი	2
4	ფლექსოფრაფიული საბეჭდი მანქანა	3
5	მაღალსიჩქარიანი ავტომატური პაკეტის საწარმო მანქანა „მაისური რულონში“ CW- 100PR-C2-ST2	1
6	საჭრელი OZM-85	2
7	შემრევი PC-600	2
8	გრანულატორი	2
9	დამქუცმაცებელი PC-700	1
10	ჰაერგამწოვები	7
11	კომპრესორები	3

ხმაურის ზემოქმედების შეფასება შესრულდა პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შენობიდან უახლოეს მაცხოვრებელამდე. ამ შემთხვევაში უახლოესი ხმაურის გავრცელების წყარო სწორედ საგრანულატორო შენობაა, სადაც განთავსებული იქნება 2 ერთეული გრანულატორი, 1 ერთეული დამქუცმაცებელი და 1 ერთეული გამწოვი. აღნიშნული შენობიდან უახლოეს მაცხოვრებელამდე დაშორება 205 მ-ს შეადგენს, ხოლო კომპანიის კუთვნილი ტერიტორიის საზღვრიდან 80 მ-ს.

ილუსტრაცია 8-2. უახლოესი მაცხოვრებლის დაშორება ხმაურის გავრცელების წყაროდან



ხმაურის დონე შეფასდა ყველაზე ცუდი შესაძლო სცენარისთვის - ზემოთ მოცემულ

³¹ ნუსხა მოიცავს როგორც არსებულ წარმოებაში არსებულ და სამომავლოდ გათვალისწინებულ, ასევე დაგეგმილ ნარჩენების გადამამუშავების საწარმოში გამოსაყენებელი დანადგარების ჩამონათვალს.

ცხრილში წარმოდგენილი დანადგარების ერთდროულად მუშაობს შემთხვევაში. ბგერის წნევის ოქტავური დონე გამოითვალა შემდეგი განტოლებით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega,$$

- L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;
- Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი. უგანზომილებო. განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);
- r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;
- Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე. რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;
- β_a – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) -ცხრილური მახასიათებელი.

ცხრილი 8-9. ოქტავური ზოლის საშუალო გეომეტრიული სიხშირეები

საშუალო გეომეტრიული სიხშირე ოქტავურ ზოლში. ჰერცი	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
β_a დბა/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

ხმაურის ჯამური დონე განისაზღვრა შემდეგი განტოლებით:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0.1 L_{pi}}$$

სადაც:

L_{pi} – არის i-ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

სიმარტივისთვის გამოთვლა შესრულდა ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა). ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებული იქნა ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: $\beta_{საშ}=10.5$ დბ/კმ.

ყველა მექანიზმის ერთდროული მუშაობის დროს წარმოქმნილი ხმაურის ჯამური დონე:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0.1 L_{pi}} = 2 * 10^{0.1 \times 75} + 2 * 10^{0.1 \times 70} + 3 * 10^{0.1 \times 70} + 10^{0.1 \times 70} + 2 * 10^{0.1 \times 65} + 2 * 10^{0.1 \times 65} + 2 * 10^{0.1 \times 60} + 10^{0.1 \times 85} + 7 * 10^{0.1 \times 60} + 3 * 10^{0.1 \times 65} = 86.638 \text{ დბა.}$$

ხმაურის მაქსიმალური დონე წყაროდან 205მ-ით დაშორებულ რეცეპტორთან იქნება:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega = 83.89 - 15 * \lg 700 + 10 * \lg 2 - 10.5 * 700 / 1000 - 10 * \lg 2 \pi = 45 \text{ დბა}$$

ცხრილი 8-10. ხმაურის გავრცელების გამოთვლის შედეგები დასაშვები ზღვრების მითითებით

ხმაურის ექვ. დონე წყაროსთან. დბა	მანძილი უახლოეს რეცეპტორამდე	ხმაურის ექვივალენტური დონე ყველაზე ახლოს მდებარე რეცეპტორთან. დბა	დასაშვები ნორმები ³²		
			დღე	საღამო	ღამე
86.638 დბა	205 მ (უახლოესი საცხოვრებელი)	45 დბა	35 დბა	30 დბა	30 დბა

გამოთვლის შედეგები გვიჩვენებს, რომ ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში (უახლოესი საცხოვრებელი) მექანიზმების ერთდროული მუშაობისას აღემატება დასაშვებ ნორმას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ფონური დონე (იხილეთ წინა პარაგრაფი). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმულა არ ითვალისწინებს ხმაურის გავრცელების ხელოვნურ (მაგ: შენობა-ნაგებობები) და ბუნებრივ ბარიერებს (მთა, ბორცვი, გამწვანება და სხვა). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოებისათვის საჭირო ყველა დანადგარი დახურულ შენობაშია განლაგებული, ამასთან კომპანიის კუთვნილი ტერიტორია შემოსაზღვრულია ბეტონის ღობით, წარმოქმნილი ხმაურის დონე საგრძნობლად შემცირდება უახლოეს რეცეპტორამდე (უახლოესი საცხოვრებელი). არსებული ბარიერების (შენობები, ბეტონის ღობე, ხე-მცენარეები) გათვალისწინებით უახლოეს მაცხოვრებელამდე ხმაურის დონის შემცირება მოსალოდნელია მინიმუმ 20 დბა-თი (რასაც ადასტურებს [პარაგრაფი 8.1.2.2.1-ის](#) ცხრილში 8-7 მოცემული გაზომვის შედეგები. საწარმოო უბანზე ხმაურის დონე 82 დბა-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ეზოში 55 დბა-მდე შემცირდა. ამ შემთხვევაში ბარიერს მხოლოდ საწარმოო შენობის კედელი წარმოადგენდა, რამაც ხმაურის დონეს საგრძნობლად შემცირა), რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საწარმოს ფუნქციონირებით უახლოეს მაცხოვრებელზე ხმაურით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

ასევე აღსანიშნავია, რომ გაანგარიშებისას გამოყენებული იყო ე.წ ყველაზე ცუდი სცენარი (მექანიზმის ერთდროული მუშაობა), რომელსაც სავარაუდოდ ადგილი არ ექნება. ამასთან დამჭყვამავი, რომელსაც ხმაურის ყველაზე მაღალი დონე გააჩნია ღამის საათებში არ იმუშავებს.

8.1.3 ვიბრაციის გავრცელება

ასევე 2023 წლის 14 მარტს, სს „თბილპოლიმერის“ წარმოებაში განხორციელდება ვიბრაციის დონის ინსტრუმენტალური გაზომვა. ვიბრაციის დონე გაიზომა საწარმოს შიდა ტერიტორიაზე (საწარმოო უბანზე). გაიზომა როგორც იატაკის ვიბრაცია ასევე საჭრელი და პარკის ამომყვანი (ექსტრუდერების) დანადგარების ვიბრაციის დონე.

ვიბრაციის დონეების გასაზომად გამოყენებული იყო ვიბრომეტრი „VM-6380“, რომლის გაზომვების დიაპაზონია:

- გადაადგილება: 0,001-4,0 მმ (პიკიდან-პიკამდე მნიშვნელობა);
- სიჩქარე : 0,01-400,0 მმ/წმ (საშუალო კვადრატული მნიშვნელობა);
- აჩქარება: 0,1-400,0 მ/წმ² (პიკური მნიშვნელობა).

³² ტექნიკური რეგლამენტი - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ



ცხრილი 8-11. ვიბრაციის დონეების გაზომვის შედეგები

ვიბრაციების გაზომვის უბანი	გადაადგილება, მმ ; პიკიდან-პიკამდე მნიშვნელობები			სიჩქარე, მმ /წმ; საშუალო კვადრატული მნიშვნელობები		
	X	Y	Z	X	Y	Z
საჭრელი დანადგარი N1	0,018	0,011	0,013	1,31 (88)	0,80 (84)	0,33 (76)
საჭრელი დანადგარი N2	0,010	0,020	0,018	1,21 (87)	0,72 (83)	0,53 (80)
პარკის ამომყვანი დანადგარი (ექსტრუდერი)	0,037	0,072	0,032	3,50 (96)	1,66 (90)	2,45 (94)
საჭრელი დანადგარების მიმდებარე იატაკი	<0,001	<0,001	0,005	0,27 (74)	0,03 (56)	<0,01
პარკის ამომყვანი დანადგარის მიმდებარე იატაკი	<0,001	<0,001	0,011	<0,01	<0,01	0,03 (56)

X და Y - ვიბრაციის ჰორიზონტალური მდგენელები, Z-ვერტიკალური მდგენელი.

შენიშვნა: ფრჩხილებში, მოცემულია ვიბრაციის სიჩქარის დონეები დეციბელებში.

როგორც ცხრილი 8-11-დან ჩანს, ხუთივე გაზომვის წერტილში ამპლიტუდა ნაკლებია ერთ მილიმეტრზე. ასეთ შემთხვევაში, ვიბრაციის ადამიანზე ზემოქმედების შეფასება უნდა მოხდეს ვიბრაციის სიჩქარის საშუალო კვადრატული მნიშვნელობების ($V_{საშ.კვ}$) დეციბელების სიდიდის მიხედვით და განისაზღვრება ფორმულით:

$$L_v, dB = 20 \log V_{საშ.კვ} / V_0,$$

სადაც, V_0 არის ვიბრაციის სიჩქარის საზღვრულ მნიშვნელობა და ტოლია 5×10^{-5} მმ/წმ.

საწარმოს შიდა ტერიტორიაზე წარმოდგენილი (მომუშავე) დანადგარები არის ავტომატიზირებული და მათი მართვა ხდება მართვის პულტებიდან. შესაბამისად დანადგარების ფუნქციონირების პროცესში მომუშავე პერსონალს დანადგარებთან შეხება უწევთ იშვიათად. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მომუშავე პერსონალზე

ძირითადად მოქმედებს ზოგადი ტიპის ვიბრაცია, რომელიც გადაეცემათ მათ იატაკიდან. მიუხედავად ამისა გაზომილ იქნა, როგორც იატაკის ასევე საწარმოო შენობაში მომუშავე დანადგარების ვიბრაცია.

აღამიანზე მოქმედი ვიბრაციების კლასიფიკაციის მიხედვით მომუშავე პერსონალზე ძირითადად მოქმედი ვიბრაცია მიეკუთვნება მესამე კატეგორიის ა) ტიპის ზოგად ვიბრაციას (III კატეგორიის ზოგადი ვიბრაცია - ტექნოლოგიურ ვიბრაციას, რომელიც მოქმედებს ადამიანზე მის სამუშაო ადგილზე სტაციონარულ მანქანებში ან გადაეცემა სამუშაო ადგილზე, რომელსაც ვიბრაციის წყაროები არ გააჩნია. ვიბრაცია სამრეწველო საწარმოს შენობებში, მუდმივ სამუშაო ადგილებზე). აღნიშნული ტიპის ვიბრაციის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობა ტექნიკური რეგლამენტის („გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ №297/ნ ბრძანებაში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 2001 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი, სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.11.119.004.920)) მიხედვით შეადგენს 92 დბ-ს.

ცხრილი 8-12. ზოგადი (სამუშაო ადგილების) ვიბრაციის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები III კატეგორია - „ა“ ტიპის ტექნოლოგიური ვიბრაცია

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, ჰც	P ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები X0 ,Y0 ,Z0 ღერძებზე							
	ვიბროაჩქარება				ვიბროსიჩქარე			
	მ/წმ ²		დბ		მ/წმ. 10-2		დბ	
	1/3 ოქტ.	1/1ოქტ.	1/3 ოქტ.	1/1ოქტ.	1/3 ოქტ.	1/1ოქტ.	1/3 ოქტ.	1/1ოქტ.
1,6	0,089		99		0,89		105	
2,0	0,079	0,14	98	103	0,63	1,30	102	108
2,5	0,070		97		0,45		99	
3,15	0,063		96		0,32		96	
4,0	0,056	0,10	95	100	0,22	0,45	93	99
5,0	0,056		95		0,18		91	
6,3	0,056		95		0,14		89	
8,0	0,056	0,10	95	100	0,11	0,22	87	93
10,0	0,070		97		0,11		87	
12,5	0,089		99		0,11		87	
16,0	0,110	0,20	101	106	0,11	0,20	87	92
20,0	0,140		103		0,11		87	
25,0	0,180		105		0,11		87	
31,5	0,220	0,40	107	112	0,11	0,20	87	92
40,0	0,280		109		0,11		87	
50,0	0,350		111		0,11		87	
63,0	0,450	0,79	113	118	0,11	0,20	87	92
80,0	0,560		115		0,11		87	
კორექტირებული და ექვივალენტური კორექტირებული მნიშვნელობები და მათი დონეები		0,10		100		0,20		92

იმ შემთხვევაში, როდესაც მომუშავე პერსონალს შეხება აქვს მუშა დანადგარებთან, მათზე მოქმედი ვიბრაცია მიეკუთვნება ლოკალური ვიბრაციას, რომელიც გადაეცემა ადამიანს

ხელის მექანიზებული (ძრავიანი) ხელსაწყოებიდან, მანქანების ან დანადგარების ხელით სამართავი ორგანოებიდან. აღნიშნული ტიპის ვიბრაციის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობა ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით შეადგენს 112 დბ-ს.

წარმოდგენილი გაზომვის შედეგებიდან ირკვევა, რომ საწარმოს შიდა ტერიტორიაზე დაფიქსირებული ვიბრაციის დონეები, როგორც ლოკალური ასევე ზოგადი ვიბრაციის შემთხვევაში აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

8.2 ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები

8.2.1 მოწყობის ეტაპი

საწარმოს მოწყობის ეტაპზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, რადგან დანადგარები განთავსდება ამჟამად არსებულ შენობაში. საწარმოს მოწყობის ეტაპი მხოლოდ დამქუცმაცებლისა და გრანულატორების დამონტაჟებას ითვალისწინებს, რაც არ იქნება დაკავშირებული წყლის გამოყენებასთან, ასევე მიწის, ბეტონის და ისეთი სახის სამუშაოებთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების დაბინძურება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ის ნაწილი სადაც საწარმოო პროცესები და მასთან დაკავშირებული აქტივობები მიმდინარეობს დაფარულია მყარი საფარით და აღჭურვილია სანიაღვრე სისტემით. სანიაღვრე სისტემა დაკავშირებულია ქ. თბილისის ცენტრალურ სისტემას.

8.2.2 ექსპლუატაციის ეტაპი

საწარმოში ნარჩენები შემოტანილი იქნება იმგვარი სახით, რომ მას გარეცხვა არ დასჭირდება და გაივლის გრანულირების პროცესს (გარდა იმ შემთხვევებისა თუ შემოტანილი ნარჩენები დიდი ზომის იქნება, ამ შემთხვევაში ნარჩენი დამქუცმაცებელ დანადგარში დაქუცმაცდება). წყალს მხოლოდ დასაქმებული პერსონალი გამოიყენებს სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. გამოყენებული წყლის ჩაშვება ქალაქ თბილისის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში მოხდება. სს „თბილპოლიმერი“ ამჟამად ჩართულია ქალაქ თბილისის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემას. არსებული და სამომავლოდ წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვება განხორციელდება არსებულ, ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში.

საწარმოს მომიჯნავედ გადის ზემო სამგორის ქვედა მაგისტრალური არხი. წარმოების პროცესში არასწორად წარმართულმა სამუშაოებმა ან დასაქმებული პერსონალის დაუდევრობამ შესაძლოა გამოიწვიოს არხის ნარჩენებით დაბინძურება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არხი საწარმოს ტერიტორიიდან იზოლირებულია ეგრეთ წოდებული ანაკრები ფილებით, წარმოების პროცესი იწარმოებს დახურულ შენობებში, ხოლო ნარჩენების განთავსებისთვის კომპანიის ტერიტორიაზე განლაგდება შესაბამისი მოცულობის კონტეინერები.

კომპანიის ტერიტორიაზე შემოტანილი გადასამუშავებელი ნარჩენები განთავსდება კომპანიის კუთვნილებაში არსებულ სასაწყობე შენობა-ნაგებობაში. შენობა წარმოადგენს დახურულ ნაგებობას, რომელსაც ასევე გააჩნია მყარი ძირი. სასაწყობე შენობაში განთავსებული ნარჩენები მაქსიმალურად იქნება დაცული ატმოსფერული ნალექების

ზემოქმედებისა და გაფანტვისაგან, რაც წყლის გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას მინიმუმამდე ამცირებს.

წყლის და გარემოს სხვა კომპონენტებზე უარყოფითი ზემოქმედების მიზნით, კომპანიის მიერ მკაცრად გაკონტროლდება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება მინიმალურია.

8.3 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება

8.3.1 მოწყობის ეტაპი

საწარმოს მოწყობის ეტაპზე ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, რადგან წარმოება არ ითვალისწინებს ახალი შენობა-ნაგებობების მოწყობას. ნარჩენების გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარების მონტაჟი განხორციელდება არსებულ შენობაში, რომლის იატაკი წარმოადგენს მყარ საფარს. ასევე, ყველა სახის საწარმოო პროცესი (ნარჩენების გადამუშავების ჩათვლით) წარიმართება უკვე არსებულ შენობა-ნაგებობებში. საწარმოო უბნები და წარმოებაში ჩართული შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორია დაფარულია მყარი საფარის მქონე ზედაპირით.

8.3.2 ექსპლუატაციის ეტაპი

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგზე და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება მინიმალურია, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოების ყველა პროცესი წარიმართება დახურულ შენობებში. გადასამუშავებელი ნარჩენები შემოტანილი და დასაწყობებული იქნება სასაწყობე შენობაში, საიდანაც ნარჩენები გადატანილი იქნება მომიჯნავე საგრანულატოროში. საგრანულატოროში მიღებული გრანულეები გადატანილი იქნება ძირითადი წარმოების შენობაში, სადაც მიიღება საბოლოო პროდუქტი. მიღებული სარეალიზაციო პროდუქცია განთავსდება სასაწყობე შენობაში მის რეალიზაციამდე. წარმოების მთელი პროცესი იწარმოებს დახურულ სივრცეში. ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოებისათვის საჭირო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არაა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება მინიმალურია.

ნიადაგზე და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ნარჩენების არასათანადო მართვასთან. გარემოში უკონტროლოდ მოხვედრილმა ნარჩენებმა შესაძლოა დააზიანდოს გარემოს კომპონენტები, მათ შორის - ნიადაგი და გრუნტი. ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად კომპანიის მიერ მკაცრად გაკონტროლდება ნარჩენების მართის პროცესები და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი შემარბილებელი/მაკორექტირებელი ღონისძიებები.

8.4 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

8.4.1 მოწყობის ეტაპი

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ანთროპოგენული ზემოქმედების გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიას, რომელიც ბიომრავალფეროვნებით ღარიბია. კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე ერთეული ხე-მცენარეა წარმოდგენილი (ლედვი, ჭადარი, თუთა, ხემყრალა), რომლებიც არ განეკუთვნებიან დაცული სტატუსის ან

საკონსერვაციო მნიშვნელობის სახეობებს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია განთავსებულია ერთგვარ საწარმოო ზონაში, აქ ფაუნის მხოლოდ ის სახეობები გვხვდება, რომლებიც შეგუებულები არიან ურბანულ გარემოს.

კომპანიის კუთვნილი ტერიტორია ასევე გარშემორტყმულია საწარმოო და სასაწყობე ტერიტორიებით, რის გამოც საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები როგორც მცენარეული, ასევე ფაუნისტური თვალსაზრისით ღარიბია.

საწარმოს მოწყობის პერიოდში არაა დაგეგმილი კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მოჭრა. ამასთან სამუშაოების სპეციფიკის, მასშტაბის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით საწარმოს მოწყობის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

8.4.2 ექსპლუატაციის ეტაპი

წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით (მასშტაბი, მდებარეობა, წარმოება დახურულ შენობებში, ენერჯის სახით ელექტროენერჯის გამოყენება, შემოსაზღვრული კუთვნილი ტერიტორია და სხვა) საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელოა.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების სახეებიდან უნდა აღინიშნოს ხმაურის გავრცელებით და ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება. წარმოების პროცესში მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება, რაც ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა კომპანიის კუთვნილი ტერიტორია განთავსებულია საწარმოო ზონაში, სადაც სხვადასხვა სახის წარმოებებია და ხმაურის გავრცელების წყაროებია წარმოდგენილი. აქ არსებული ცხოველთა სამყარო (რომელთა შემადგენლობაში არ შედის მსხვილი და დაცული სტატუსის მქონე ძუძუმწოვრები) შეგუებულია ხმაურის არსებულ ფონს, ხოლო ნარჩენების გადამუშავების საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე არსებული ფონური მდგომარეობის გაუარესება მოსალოდნელი არაა.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება შესაძლოა ასევე დაკავშირებული იყოს ნარჩენების არასათანადო მართვასთან. გარემოში მოხვედრილმა სახიფათო ნარჩენებმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს სხვადასხვა სახეობებს. თუმცა, კომპანიის საქმიანობის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონით დაგეგმილი მოთხოვნების მიხედვით. მუნიციპალური და მსგავსი შემადგენლობის ნარჩენებისთვის კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი კონტეინერები, ხოლო სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება განხორციელდება კომპანიის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე ნარჩენებით მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება მინიმალურია.

8.5 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება

8.5.1 მოწყობის ეტაპი

ნარჩენების გადამამუშავებელი ხაზის მოწყობისას ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არაა, რადგან დასამონტაჟებელი დანადგარების (გრანულატორები და დამქუცმაცებელი) განთავსდება კომპანიის ტერიტორიაზე არსებულ შენობაში. უშუალოდ დანადგარების მონტაჟის სამუშაოები არ მოიცავს ისეთი სახის სამუშაოების განხორციელებას, რამაც

შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი რაოდენობის და სახიფათო კატეგორიის ნარჩენების წარმოქმნა. დანადგარები აიწყობა და განთავსდება მყარი საფარის მქონე ზედაპირზე.

8.5.2 ექსპლუატაციის ეტაპი

იმისდა მიუხედავად, რომ დაგეგმილი საქმიანობის შედეგად არაა მოსალოდნელი დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა, ნარჩენების გადამუშავებისა და პროდუქციის წარმოების პროცესში მოსალოდნელია ნარჩენებით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ზემოქმედება დაკავშირებული იქნება კომპანიის ტერიტორიაზე გადასამუშავებლად შემოტანილი და წარმოების შედეგად მიღებული ნარჩენების არასათანადო მართვით.

წარმოების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია შემოტანილი ნარჩენების მექანიკური დამუშავების პროცესებიდან (დახარისხება/დაქუცმაცებიდან). მსგავსი ნარჩენები განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების კატეგორიას, რომელთა გამოყენება წარმოებაში ვერ მოხერხდება და შემადგენლობით ახლოს არის საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან. აღნიშნული ნარჩენები დროთა განმავლობაში დაგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, საიდანაც ნარჩენები შემდეგი მართვისთვის გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია ნარჩენების სატრანსპორტო გადაზიდვის დროს. ნარჩენების ტრანსპორტირებისას ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში ნამწვი აირების გაფრქვევას, თუმცა დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება. ნარჩენების ტრანსპორტირებისას არსებობს ნარჩენების გაფანტვის რისკებიც. რისკების მინიმუმამდე შემცირებისთვის კომპანია ნარჩენების ტრანსპორტირებას დახურული ძარის მქონე სატრანსპორტო საშუალებით განახორციელებს.

კომპანიის საქმიანობის შედეგად ასევე წარმოიქმნება ისეთი სახის ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ნარჩენების კატეგორიას განეკუთვნება. ასეთი ნარჩენებია სახიფათო ნივთიერებების შესაფუთი მასალის ნარჩენები, რომლებიც საღებავების შესაფუთად გამოიყენება (საღებავი გამოიყენება პროდუქციაზე წარწერების დასატანად), ასევე სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ჩვრები და ტანისამოსი. საერთო ჯამში მსგავსი კატეგორიის ნარჩენები დიდი რაოდენობით არ წარმოიქმნება, თუმცა საჭიროებს სათანადო მართვას.

ცხრილი 8-13. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ³³

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიახ/არა
15 01 01	ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	მყარი	არა
15 01 02	პლასტმასის შესაფუთი მასალა	მყარი	არა
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	დიახ
15 02 03	აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი	მყარი	არა

³³ შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი - შესაბამისად

	ტანისამოსი, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში ³⁴		
19 12 12	სხვა სახის ნარჩენები (მათ შორის ნარჩენები, მასალები) მექანიკური დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენებისგან, რომლებსაც არ ვხვდებით 19 12 11 პუნქტში	მყარი	არა
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	არა

ცხრილში მოცემული ნარჩენების არასათანადო მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ღია სივრცეში არასათანადო პირობებში განთავსებული ნარჩენები შესაძლოა გარემოში გაიფანტოს და გამოიწვიოს გარემოს სხვადასხვა კომპონენტების დაზიანება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახიფათო ნარჩენებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგები.

ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირების შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია პარაგრაფში 9.

ნარჩენების სათანადო მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები წარმოდგენილია შემდეგ პარაგრაფებში.

8.5.3 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისათვის გამოყენებული ღონისძიებები

წარმოების პროფილიდან გამომდინარე სს „თბილპოლიმერი“ უზრუნველყოფს როგორც სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან წარმოქმნილი პლასტიკის ნარჩენების აღდგენას, ასევე თავისივე წარმოებაში დაზიანებული და წუნდებული მასალების ხელახალ გადამუშავებას. საწარმოში პერიოდულად წარმოიქმნება პირველადი ნედლეულისგან წარმოებული შესაფუთი მასალების ნარჩენები (დაახლოებით 20 ტონა წელიწადში), რომელსაც კომპანია ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოტანილ ნარჩენებთან ერთად გადამუშავებს.

კომპანია ასევე გადაწყვეტილი აქვს, რომ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შეისყიდოს გასუფთავებული ნარჩენები და ისე გადაამუშაოს ის. კომპანიის ტერიტორიაზე შემოტანილი ნარჩენები არ გაივლის რეცხვის პროცედურებს და პირდაპირ განთავსდება საგრანულატოროში ან დამქუცმაცებელში. კომპანიის ტერიტორიაზე გასუფთავებული სახით შემოტანილი ნარჩენების დამუშავება ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების (დაზიანებული ნარჩენები წყლები, სხვადასხვა სახის მინარევი და სხვა.) წარმოქმნის პრევენციას.

ნარჩენების პრევენციის მიზნით კომპანია მუდმივად გააკონტროლებს წარმოებაში გამოყენებული დანადგარების გამართულობას, რაც მასალებისა და საწარმოებელი პროდუქციის დაზიანების რისკებს შეამცირებს. აღნიშნული თავის მხრივ ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას შეუწყობს ხელს.

³⁴ აღნიშნული ნარჩენებში იგულისხმება პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც ნარჩენების გადამუშავებისა და პროდუქციის წარმოების პროცესში იქნება გამოყენებული. ასევე დანადგარების ტექნიკური მომსახურების პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებული ჩვრები და საწმენდი ნაჭრები.

ნარჩენებისა და მასალების გარემოში გაფანტვის პრევენციის მიზნით გადასამუშავებელი ნარჩენები და პირველადი ნედლეული განთავსდება გადახურულ შენობებში. პირველად ნედლეული დასაწყობდება საწარმოო შენობის ტერიტორიაზე, ხოლო გადასამუშავებელი ნარჩენები გადამუშავებამდე დასაწყობდება სასაწყობე შენობაში.

8.5.4 წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდები

კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება შესაბამისი პირობების დაცვით. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისთვის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია რკინის 1.1 მ³ მოცულობის კონტეინერები, რომლებიც ასევე გამოყენებული იქნება ნარჩენების გადამუშავების პროცესებისთვისაც. სახიფათო ნარჩენები (შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით - 15 01 10*) შეგროვდება გადახურულ შენობაში სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც, პერიოდულად, დაგროვების შესაბამისად, გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას.

განცალკევებულად შეგროვდება პირველად ნედლეულის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი პლასტიკის ნარჩენები, რომელიც შემდეგ გადამუშავდება და მიღებული მასალა ჩაეშვება საწარმოო პროცესში.

წარმოებაში წარმოქმნილი ის ნარჩენები, რომელთა გადამუშავება ადგილზე ვერ მოხერხდება შემდეგი მართვისთვის გადაეცემათ შესაბამის კონტრაქტორ კომპანიებს, რომლებიც თავად უზრუნველყოფენ გადაცემული ნარჩენების ტრანსპორტირებას. მუნიციპალური და მსგავსი შემადგენლობის ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით სს „თბილპოლიმერს“ ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „თბილსერვის ჯგუფთან. სახიფათო ნარჩენების გადაცემასთან დაკავშირებით კომპანია ხელშეკრულებას გააფორმებს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიასთან.

ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შესყიდული ნარჩენების ტრანსპორტირება საწარმოს ტერიტორიამდე განხორციელდება, როგორც საკუთარი ძალებით ასევე კონტრაქტორი კომპანიების მეშვეობით. ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით სს „თბილპოლიმერი“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაარეგისტრირებს აღნიშნულ საქმიანობას.

8.5.5 წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების პროცესები

სს „თბილპოლიმერი“ წარმოებაში (როგორც პირველადი ნედლეულის ასევე ნარჩენების გადამუშავების პროცესში) გამოიყენებს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდებს. პირველადი ნედლეულიდან პროდუქციის წარმოებისას მიღებული პლასტიკის ნარჩენების შეგროვდება სეპარირებული ნარჩენებისაგან განცალკევებულად, რათა შემდეგში განხორციელდეს ამ ნარჩენების გადამუშავება.

მუნიციპალური და მსგავსი შემადგენლობის ნარჩენები სეპარირდება სხვა სახის ნარჩენებისგან და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში.

სახიფათო ნარჩენები (პიგმენტების შესაფუთი მასალები) სეპარირდება სხვა სახის ნარჩენებისგან და მასალებისგან, რომლის მართვისას მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

8.5.6 ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები

კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები განთავსდება გადახურულ შენობაში, სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. სადაც დატანილი იქნება შესაბამისი შინაარსის ნიშნების ნარჩენების შემადგენლობისა და სახიფათოობის შესახებ.

სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი დროებითი დასაწყობების ადგილი მოეწყობა იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ნარჩენები გარემოში გაფანტვის ფაქტები და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ასევე, ნარჩენები განთავსდება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული საწარმოო მასალებთან, ასევე სხვა სახის არასახიფათო ნარჩენებთან შერევა.

სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის კომპანია გამოყოფს საკმარისი ფართობის მქონე ტერიტორიას, რომელსაც ექნება მყარი ძირი და მოსახერხებელი იქნება ნარჩენების განთავსებისა და შემდეგი მართვისთვის. დროებითი განთავსების ტერიტორია ასევე ექნება მოსახერხებელი მისასვლელი ავტოტრანსპორტისათვის. კონტრაქტორ კომპანიაზე გადაცემამდე, სახიფათო ნარჩენების სს „თბილპოლიმერის“ ტერიტორიაზე განთავსდება არაუმეტეს 1 წლისა.

გადასამუშავებლად შემოტანილი ნარჩენები გადამამუშავებამდე განთავსდება არსებულ სასაწყობე შენობაში, რომელიც დაცულია გარემო ფაქტორების ზემოქმედებისგან.

8.5.7 ინფორმაცია ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებების შესახებ

სს „თბილპოლიმერი“ დასაქმებული პერსონალისთვის, ნარჩენების მართვის საკითხებში, უზრუნველყოფს შემდეგი ღონისძიებებს გატარებას (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახიფათო ნარჩენების მართვის საკითხებს):


- სახიფათო ნარჩენების მართვისას პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები და აუცილებლობის შემთხვევაში დამცავი ტანისამოსი);
- კომპანიაში ახლად დასაქმებულ პერსონალს ნარჩენების გადამამუშავებასა და საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების საკითხებში ჩაუტარდება შესაბამისი სწავლება;
- ნარჩენების უსაფრთხო მართვის მიზნით, კომპანიის უფლებამოსილი პირი ჩაატარებს ნარჩენების მართვის პერიოდულ მონიტორინგს;
- კომპანიის უფლებამოსილი პირი/პირები გააკონტროლებენ კონტრაქტორ კომპანიაზე ნარჩენების გადაცემის პროცედურას-ნარჩენების გადაცემიდან, საბოლოო განთავსებამდე;
- ნარჩენების გადამამუშავებასა და მართვაში ჩართული პერსონალი ინფორმირებული იქნება ნარჩენების მართვის კოდექსში, ან კოდექსიდან გამომდინარე დადგენილებებში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- პერსონალი, რომელიც დაკავებული იქნება ნარჩენების მართვით ეცოდინება ნარჩენების თვისებები და მათი სათანადო მართვის პროცესები;

- პერსონალს ეცოდინება ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილზე დატანილი ნიშნების შინაარსი, ხოლო დატანილი ნიშნები იქნება ადვილად გარჩევადი და კითხვადი.

8.6 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ობიექტებზე

კომპანიის კუთვნილებაში არსებული ტერიტორიიდან უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი 6.44 კმ. მანძილში მდებარეობს - სოფელ დიდ ლილოში მდებარე მარანი (სარეგისტრაციო ნომერი:#15633).

ილუსტრაცია 8-3. საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები



საპროექტო ტერიტორიიდან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებამდე დაშორების გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს.

პროექტის განხორციელება ასევე არ იქონიებს გავლენას არქეოლოგიურ ობიექტებზე, რადგან საწარმოს მახლობლად მსგავსი ობიექტები წარმოდგენილი არაა, ხოლო მათი აღმოჩენის შანსები მინიმალურია. ამასთან, პროექტის განხორციელების ტერიტორია ანთროპოგენური დატვირთვის ქვეშაა ხოლო საწარმოს მოწყობისას მიწის სამუშაოების წარმოება დაგეგმილი არაა.

8.7 სოციალურ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება

ნარჩენების გადამუშავებისა და პროდუქციის წარმოების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გაუფრთხილებლობით, ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორი მართვამ, სამუშაო გრაფიკის დარღვევამ, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც

პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნარჩენების გადამამუშავებისათვის (დამქუცმაცებელი, გრანულატორი) და პროდუქციის მისაღებად საჭირო დანადგარებთან (ექსტრუდერები, საჭრელი დანადგარები) მუშობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები. დანადგარებთან მუშაობის პირობების დარღვევამ შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს ადამიანის ჯანმრთელობაზე

პროექტის განხორციელებისას, კომპანიაში დამატებით 8 ადამიანის დასაქმებაა დაგეგმილი. დასაქმებულთა მოცემული რაოდენობა ვერ შეიტანს განსაკუთრებულ წვლილს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდაში, თუმცა აღსანიშნავია წვლილი დასაქმებულთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება დასაქმებასა და ეკონომიკურ გარემოზე შიძლება ჩაითვალოს დადებითად.

8.8 კუმულაციური ზემოქმედება

როგორც უკვე აღინიშნა საწარმო მდებარეობს სხვადასხვა ტიპის საწარმოებისა და სასაწყობო ობიექტებით დატვირთულ ზონაში. კომპანიის ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობს მსგავსი პროფილის საწარმო, რომელიც შპს „ლორდის“ საკუთრებას წარმოადგენს. საწარმოში იწარმოება ისეთი პროდუქცია, როგორებიცაა: სასათბურე ცელოფანი, პლასტმასის თასმის დუბელუნაგირი, პლასტმასის დუბელები, ნარჩენების ტომარა, წებოვანი ლენტი და სხვადასხვა სახის პლასტმასის ნაკეთობები. ამასთან, ყოფილი თეთრონის ქარხნის ტერიტორიაზე წარმოდგენილია სხვადასხვა კომპანიები, რომლებიც ნარჩენების წინასწარ დამუშავებას ან აღდგენას უზრუნველყოფენ.

სს „თბილპოლიმერის“ ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოების მოწყობა და ფუნქციონირება კუმულაციურ ზემოქმედებას იქონიებს არსებულ ფონურ მდგომარეობაზე, რაც გამოხატული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით, ხმაურის გავრცელებით და ნარჩენების წარმოქმნით.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუმულაციური ეფექტის დასადგენად გაკეთდა კომპიუტერული მოდელირება, სადაც გაანგარიშებულია მაქსიმალური დატვირთვის პერიოდში, წარმოებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა (იხილეთ პარაგრაფი 8.1.1). გაანგარიშების პერიოდში ფონად გათვალისწინებული იქნა შპს „ლორდის“ და შპს „ჯორჯიან პეტ პლასტ მენეჯმენტის“ საქმიანობების პერიოდში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებიც. საწარმოს სიახლოვეს დაგეგმილია შპს „დანის“ ანალოგიური პროფილის საწარმოს ფუნქციონირებაც (ს/კ: 01.19.14.004.295. აღნიშნულ საწარმოსთან დაკავშირებით 2022 წლის 4 აპრილს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-257) გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარების შესახებ.). გაანგარიშებაში აღნიშნული წარმოება ვერ იქნა გათვალისწინებული, რადგან შპს „დანის“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ აქვს შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის პროექტი, სადაც მოცემული უნდა იყოს გაფრქვევის წყაროების პარამეტრები და წარმოების შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაანგარიშებამ აჩვენა, რომ სს „თბილპოლიმერის“ საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში (აქ იგულისხმება როგორც პირველადი ნედლეულის, ასევე ნარჩენების გადამუშავების პროცესი მაქსიმალური დატვირთვის პერიოდში), კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს, როგორც უახლოეს მაცხოვრებელთან, ასევე 500 მეტრიან რადიუსში.

საწარმოს ფუნქციონირება ასევე გამოიწვევს ხმაურის გავრცელებას და ფონური მდგომარეობის შეცვლას. როგორც ხმაურის გაანგარიშების პარაგრაფშია მოცემული (პარაგრაფი 8.1.2), ყველა დანადგარის და მექანიზმის ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში ხმაურის დონე მცირედით გადააჭარბებს დასაშვებ მნიშვნელობებს. თუმცა გაანგარიშება შესრულდა ხმაურის ბარიერების გათვალისწინების გარეშე, ხოლო წარმოებაში არსებული და სამომავლოდ გათვალისწინებული ყველა დანადგარი განთავსდება დახურულ შენობაში. ამასთან კომპანიის ტერიტორიას გარს აკრავს რკინა-ბეტონის ფილების ღობე. აღნიშნული ბარიერები საგრძნობლად შეამცირებს ხმაურის დონეს (რასაც ადასტურებს [პარაგრაფი 8.1.2.2.1-ის](#) ცხრილში 8-7 მოცემული გაზომვის შედეგები. საწარმოო უბანზე ხმაურის დონე 82 დბა-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ეზოში 55 დბა-მდე შემცირდა, ამ შემთხვევაში ბარიერს მხოლოდ საწარმოო შენობა წარმოადგენდა. ამასთან, უახლოეს მაცხოვრებელთან ხმაურის ფონური დონე უფრო [მაღალია](#), ვიდრე ეს გაანგარიშებამია მოცემული), რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საწარმოს ფუნქციონირება ფონურ ხმაურის დონეზე უმნიშვნელო ზეგავლენას იქონიებს.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ასევე მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება. ამ თვალსაზრისით, ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოების დამატება დადებით კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ექნება ნარჩენების წარმოქმნას, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად გადამამუშავდება ბევრად დიდი რაოდენობის ნარჩენები. გადამამუშავებული ნარჩენების ნაწილი არსებულ წარმოებაში წარმოქმნილი ნარჩენები იქნება, რომელიც ადგილზე გადამამუშავდება. ნარჩენების ადგილზე გადამამუშავებას მაღალი გარემოსდაცვითი ეფექტი გააჩნია (სიახლოვის პრინციპი, რესურსების დაზოგვა და სხვა).

კუმულაციურ ზემოქმედების თვალსაზრისით ასევე გასათვალისწინებელია სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება. როგორც აღინიშნა კომპანია ნარჩენების ტრანსპორტირებას განახორციელებს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით, ასევე ნარჩენებს საწარმოს ტერიტორიაზე მიიღებს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან. ნარჩენების ტრანსპორტირებისას მოსალოდნელია ნამწვი აირების გაფრქვევა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ამ შემთხვევაში კუმულაციური ეფექტის შეფასება შეუძლებელია, რადგან ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის არ იქნება შედგენილი კონკრეტული გეგმა-გრაფიკი, რაც შეუძლებელს ხდის განისაზღვროს ატმოსფერულ ჰაერში ნამწვი აირების რაოდენობრივი მაჩვენებელი. გადასამუშავებელი ნარჩენების (ის ნარჩენების, რომლებიც კომპანიის სატრანსპორტო საშუალებით უნდა იქნეს შემოტანილი საწარმოში - მაქსიმუმ 20 ტონა, სადაც ასევე გათვალისწინებულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საწარმომდე მოტანილი რაოდენობა) რაოდენობის გათვალისწინებით სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

9 გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

ცხრილი 9-1 მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები

რეცეპტორი	ზემოქმედების სახე	შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ
ატმოსფერული ჰაერი	<ul style="list-style-type: none"> წარმოებაში გამოყენებული დანადგარების ფუნქციონირებით გამოწვეული მავნე ნივთიერებათა გაფრქვევები; დანადგარების (დამქუცმაცებელი, გრანულატორები) ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაური; 	<ul style="list-style-type: none"> გამოყენებული დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს გარემოს დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა მათი ტექნიკური გამართულობის მუდმივი კონტროლი; მუდმივად გაკონტროლდება ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობა; ხმაურის დონის კანონით დადგენილი ზღვრული ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში (რაც ნაკლებად მოსალოდნელია), ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; დანადგარებისა ხმაურის დონის შემცირება მათი ტექნიკურად გამართვით; ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროული მუშაობის შემცირება დაგვარად შეზღუდვა; ნარჩენების დაწვის ფაქტების მკაცრი აკრძალვა; პერსონალის ინსტრუქტაჟი; საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება; ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული პროცედურების ზედმიწევნით შესრულება; ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული პირობების მკაცრი დაცვა;
წყლის გარემო	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების არასწორი მართვა; ავარიული სიტუაციები; პერსონალის დაუდევრობა 	<ul style="list-style-type: none"> სამუშაო საზღვრების მკაცრი დაცვა, რათა თავიდან იქნეს არიდებული საწარმოს მომიჯნავედ გამავალი მაგისტრალური არხის დაბინძურება; ნებისმიერი სახის გამოყენებული წყლის ჩაშვების კონტროლი საწარმოს მომიჯნავედ გამავალ მაგისტრალურ არხში; ტერიტორიაზე შემოტანილი მასალების და წარმოებაში წარმოქმნილი ნარჩენების იმგვარი განთავსება, რომ თავიდან იქნეს არიდებული მათი წყალში ჩარეცხვა. სანიტარიული პირობების დაცვა; წარმოქმნილი ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვების მეთოდების დანერგვა; წარმოქმნილი ნარჩენებისთვის შესაბამისი მოცულობისა და მასალის კონტეინერების გამოყენება; წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების განთავსება დახურულ შენობაში;

		<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს გადახურული მარის მქონე სატრანსპორტო საშუალებით; • სახიფათო ნარჩენების გარემოსდაცვითი პირობების შესაბამისი განთავსება; • შემდგომი მართვის მიზნით ნარჩენების გადაცემა რეგისტრაციისა ან შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიაზე; • პერსონალის პერიოდული ინსტრუქტაჟი გარემოსდაცვით საკითხებში; • ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული პირობების მკაცრი დაცვა;
<p>ნიადაგი და გრუნტი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების არასწორი მართვა; • ავარიული სიტუაციები; • პერსონალის დაუდევრობა; 	<ul style="list-style-type: none"> • ტერიტორიაზე შემოტანილი მასალების და წარმოებაში წარმოქმნილი ნარჩენების იმგვარი განთავსება, რომ თავიდან იქნეს არიდებული მათი წყალში ჩარეცხვა. • სანიტარიული პირობების დაცვა; • წარმოქმნილი ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვების მეთოდების დანერგვა; • წარმოქმნილი ნარჩენებისთვის შესაბამისი მოცულობისა და მასალის კონტეინერების გამოყენება; • წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების განთავსება დახურულ შენობაში; • სახიფათო ნარჩენების გარემოსდაცვითი პირობების შესაბამისი განთავსება; • ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს გადახურული მარის მქონე სატრანსპორტო საშუალებით; • შემდგომი მართვის მიზნით ნარჩენების გადაცემა რეგისტრაციისა ან შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიაზე; • პერსონალის პერიოდული ინსტრუქტაჟი გარემოსდაცვით საკითხებში; • ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული პირობების მკაცრი დაცვა;
<p>ბიომრავალფეროვნება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების არასწორი მართვა; • პერსონალის დაუდევრობა 	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო საზღვრების მკაცრი დაცვა; • წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ნარჩენების მართის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად; • პერსონალის პერიოდული ინსტრუქტაჟი გარემოსდაცვით საკითხებში; • ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული პირობების მკაცრი დაცვა;
<p>მომსახურე პერსონალი;</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაზიანების რისკები; • ჯანმრთელობისთვის შეუსაბამო სამუშაო პირობები 	<ul style="list-style-type: none"> • შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა, განსაკუთრებით ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით; • წარმოებაში არსებული სამუშაო პირობების მუდმივი კონტროლი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ

		<ul style="list-style-type: none"> • პერსონალის პერიოდული სწავლება; • პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; • სამუშაო უბნების აღჭურვა სამედიცინო ყუთებით; • საწარმოს აღჭურვა ხანძრის უსაფრთხოების სისტემებით • სამუშაო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების დამაგრება; • გამოყენებული დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; • უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა; • ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება. • ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული პირობების მკაცრი დაცვა;
<p>უახლოესი მაცხოვრებელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო პროცესების არასათანადო წარმართვა; • ნარჩენების არასწორი მართვა; • ავარიული სიტუაციები; 	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო პროცესების მართვა გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით; • შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ზედმიწევნით შესრულება; • საჩივრების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება. • ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული პირობების მკაცრი დაცვა;

10 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

10.1 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ჩართული პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ავარიებზე და ინციდენტებზე პერსონალის ქმედებების რაციონალურად, კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვა, პერსონალის, მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანებია:

- მოსალოდნელი ავარიული სახეების განსაზღვრა;
- თითოეული სახის ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების საჭირო აღჭურვილობის, ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმის და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- შიდა და გარე შეტყობინებების სისტემის, მათი თანმიმდევრობის, შეტყობინების საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა და ავარიული სიტუაციების შესახებ შეტყობინების (ინფორმაციის) გადაცემის უზრუნველყოფა;
- შიდა რესურსების მყისიერად ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების დადგენილი წესით მობილიზების უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების საორგანიზაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საკანონმდებლო, ნორმატიულ და საწარმოო უსაფრთხოების შიდა განაწესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელ ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ითვალისწინებს საქართველოს კანონების და საკანონმდებლო აქტების და საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებს.

10.2 შესაძლო ავარიული შემთხვევების სახეები

მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები შეიძლება პირობითად რამდენიმე ტიპად დაიყოს, ესენია:

შესაძლო ავარიების ტიპოლოგია:

- დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრა;
- ხანძარი;
- პერსონალის დაზავება (ტრავმატიზმი);
- სატრანსპორტო შემთხვევა;

წარმოების დროს ავარიული სიტუაციების დაფიქსირების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 10-1. ავარიული სიტუაციების დაფიქსირების მეთოდები

ავარიის ტიპი ³⁵	განსაზღვრის / დაფიქსირების მეთოდი
დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრა	ვიზუალური დაკვირვება პერსონალის მიერ
ხანძარი	ვიზუალური დაკვირვება პერსონალის მიერ
პერსონალის დაშავება (ტრავმატიზმი)	პერსონალის მიერ სათანადო პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება
სატრანსპორტო შემთხვევა	პერსონალის მიერ ინფორმაციის მიწოდება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია, შესაძლო ავარიული სიტუაციების და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

ცხრილი 10-2. შესაძლო ავარიული სიტუაციები და პრევენციული ღონისძიებები

ავარიული სიტუაცია	პრევენციული ღონისძიება
საღებავების და ქიმიური ნივთიერებების დაღვრის რისკები დაღვრის რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს მათი შენახვის პირობების დარღვევასთან და საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანის დროს გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან	<ul style="list-style-type: none"> წარმოებაში გამოსაყენებელი მასალების შემოტანის, შენახვის, გამოყენების და ნარჩენების გატანის პროცედურები უნდა განხორციელდეს მკაცრი მონიტორინგის პირობებში; მასალა უნდა განთავსდეს მისი უსაფრთხოების/საფრთხის კლასის გათვალისწინებით - შენახვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მასალის სპეციფიკაციაში გაწერილი მოთხოვნები. მუდმივად უნდა მოწმდებოდეს სასაწყობე ტერიტორია და სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბანი; სახიფათო ნარჩენების შესანახად გამოყენებული კონტეინერის დაზიანების აღმოჩენისთანავე უნდა განხორციელდეს მასალის გადატანა სხვა კონტეინერში. სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები უნდა განთავსდეს მყარი საფარის მქონე უბანზე. საღებავების საწყობში შემოტანამდე უნდა მოხდეს შესაფუთი მასალის (ტარის) დათვალიერება. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში მასალა არ უნდა განთავსდეს ტერიტორიაზე. პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს სახიფათო კომპონენტების შემცველი მასალის გამოყენების და ნარჩენების უსაფრთხო მართვის პროცედურების შესახებ. სახიფათო მასალასთან მომუშავე პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში ლოკალიზაციისთვის საჭირო მასალით და ინვენტარით.
ხანძარი ხანძრის აღმოცენება-გავრცელების რისკები ძირითადად დაკავშირებულია საღებავების და სახიფათო ნარჩენების შენახვის და გამოყენების წესების დარღვევასთან.	<ul style="list-style-type: none"> პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა განხორციელდეს პერსონალის ინსტრუქტაჟი/პერიოდული სწავლება ხანძრის პრევენციის საკითხებზე; ადვილად აალებადი ნივთიერებები უნდა დასაწყობდეს უსაფრთხო ადგილებში, სადაც მოწყობილი იქნებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები; საწარმოო და სასაწყობე ტერიტორიაზე დაცული უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. ასეთი ტერიტორიები ასევე აღჭურვილი უნდა იყოს სახანძრო ინვენტარით; ადვილად აალებად ნივთიერებებთან სამუშაოდ დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის და უფლებამოსილების მქონე პერსონალი; მუდმივად უნდა გაკონტროლდეს წარმოებაში გამოყენებული ინვენტარის და დანადგარების გამართულობა;

³⁵ ცხრილში მოცემული ავარიული სიტუაციები შესაძლოა წარმოადგენდეს თანმდევ პროცესს. ასევე, ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

<p>ტრავმატიზმი დასაქმებული პერსონალის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს: უსაფრთხოების წესების დარღვევას; დანადგარებთან დაკავშირებულ ინციდენტებს; ტერიტორიაზე მანქანების გადაადგილებისას შესაძლო დაჯახებას; ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისას შესაძლო რისკებს; ხანძრის გავრცელებით გამოწვეულ დაზიანებებს; ელექტროგაყვანილობის და ელექტროდანადგარების დაზიანებით გამოწვეულ დაზიანებას; ბუნებრივი აირის გაჟონვას; პერსონალის დაზიანება და ტრავმა ბუნებრივი სტიქიური პროცესების დროს;</p>	<ul style="list-style-type: none"> • მუდმივად უნდა გაკონტროლდეს დანადგარების და ტექნიკური საშუალებების გამართულობა; • შრომის უსაფრთხოების მენეჯერმა პერიოდულად უნდა აწარმოოს დასაქმებული პერსონალის სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე; • პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს პერიოდული სწავლება მუშაობის პროცესში გამოყენებული მასალების სახიფათოობის და შესაბამისი უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ. • საჭიროებებიდან გამომდინარე პერსონალი უნდა აღიჭურვოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; • მომატებული სამიშროების ზონები უნდა აღიჭურვოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით; • ტერიტორიაზე მასალების და გადასამუშავებელი ნარჩენების სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხო სიჩქარე; • საწარმოს ხელმძღვანელმა უნდა გამოყოს უფლებამოსილი პირი, რომელიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.
<p>სატრანსპორტო შემთხვევები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ავტოტრანსპორტის გადაადგილებისას დაცული უნდა იყოს მოძრაობის სიჩქარე და მოძრაობის წესები.
<p>სტიქიური მოვლენები - ძლიერი წვიმა და ქარიშხალი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძლიერი წვიმის დროს უნდა მოხდეს მისასვლელი და საევაკუაციო გზების მონიტორინგი; • უნდა გამოირთოს ელექტრო ხელსაწყოები თუ არსებობს დატვირთვის საშიშროება. • მკაცრად უნდა გაკონტროლდეს დაგუბებულ წყალზე/ტბორზე მძიმე ტექნიკის და ავტომობილების გადაადგილება. • საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს პერსონალის ევაკუაცია შეკრების ადგილას.

10.3 ინციდენტის სავარაუდო მასშტაბი

მოსალოდნელი ავარიის, ინციდენტის სალიკვიდაციო რესურსების და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ავარიები და ავარიული სიტუაციები დაყოფილია რეაგირების 3 ძირითადი დონის მიხედვით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით, შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების მითითებით.

ცხრილი 10-3. ავარიული სიტუაციები დონეების მიხედვით

ავარიული სიტუაცია	I დონე	II დონე	III დონე
საერთო	ავარიის ლიკვიდაციისთვის საკმარისია შიდა რესურსები	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა გარეშე რესურსები და მუშახელი	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა რეგიონული ან ქვეყნის რესურსების მოზიდვა. <i>(წარმოებაში ამგვარი შემთხვევა მოსალოდნელი არ არის)</i>
ხანძარი	ლოკალური ხანძარი, რომელიც არ საჭიროებს გარეშე	მოზრდილი ხანძარი, რომელიც მეტეოროლოგიური	დიდი ხანძარი, რომელიც სწრაფად ვრცელდება. არსებობს

	ჩარევას და სწრაფად კონტროლირებადია. მეტეოროლოგიური პირობები ხელს არ უწყობს ხანძრის სწრაფ გავრცელებას. მიმდებარედ არ არსებობს სხვა ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში უბნები/საწყობები და მასალები.	პირობების გამო შესაძლოა სწრაფად გავრცელდეს. მიმდებარედ არსებობს სხვა ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში უბნები/საწყობები და მასალები. საჭიროა ადგილობრივი სახანძრო რაზმის გამოძახება.	მიმდებარე უბნების აალების და სხვა სახის ავარიული სიტუაციების პროვოცირების დიდი რისკი. საჭიროა რეგიონალური სახანძრო სამსახურის ჩართვა ინციდენტის ლიკვიდაციისთვის. <i>(წარმოებაში მსგავსი დონის ავარიული სიტუაციები მოსალოდნელი არ არის)</i>
საშიში ნივთიერებების დაღვრა	ლოკალური დაღვრა, რომელიც არ საჭიროებს გარეშე ჩარევას და შესაძლებელია მისი აღმოფხვრა შიდა რესურსებით. არ არსებობს ნივთიერებების დიდ ფართობზე გავრცელების რისკები.	დიდი მოცულობის დაღვრა და დაღვრილი ნივთიერებების დიდ ფართობზე გავრცელება. <i>(წარმოებაში მსგავსი მასშტაბის დაღვრა მოსალოდნელი არაა)</i>	
პერსონალის დაშავება / ტრავმატიზმი	<ul style="list-style-type: none"> • ტრავმატიზმის ერთეული შემთხვევა; • მსუბუქი მოტეხილობა, დაჟეჟილობა; • I ხარისხის დამწვრობა (კანის ზედაპირული შრის დაზიანება); • დაშავებული პერსონალისთვის დახმარების აღმოჩენა და ინციდენტის ლიკვიდაცია შესაძლებელია შიდა სამედიცინო ინვენტარით. 	<ul style="list-style-type: none"> • ტრავმატიზმის ერთეული შემთხვევა; • ძლიერი მოტეხილობა - სახსართან ახლო მოტეხილობა; • II ხარისხის დამწვრობა (კანის ღრმა შრის დაზიანება); • საჭიროა დაშავებული პერსონალის გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში. 	<ul style="list-style-type: none"> • ტრავმატიზმის რამდენიმე შემთხვევა; • ძლიერი მოტეხილობა • III და IV ხარისხის დამწვრობა (კანის, მის ქვეშ მდებარე ქსოვილების და კუნთების დაზიანება); • საჭიროა დაშავებული პერსონალის გადაყვანა შესაბამისი პროფილის მქონე სამედიცინო პუნქტში.
სატრანსპორტო შემთხვევა	მსუბუქი შეჯახება რაიმე საგანთან.	მსუბუქი შეჯახება სხვა სატრანსპორტო საშუალებასთან.	ძლიერი შეჯახება
ბუნებრივი კატასტროფები	ძლიერი წვიმა და ქარიშხალი		

არსებული საწარმოო პროცესების, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, წარმოებაში მოსალოდნელია ძირითადად I დონის და ნაკლები ალბათობით II დონის ავარიული სიტუაციები.

10.4 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი

სამუშაოს დაწყებამდე განისაზღვრება ავარიული სიტუაციების პრევენციის და მათზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და განისაზღვრება მისი/მათი მოვალეობები. პასუხისმგებელი პირი განსაზღვრავს რისკს, უზრუნველყოფს პრევენციის ღონისძიებების ჩატარებას და პასუხისმგებელია ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებების გატარებაზე (გარდა იმ საგანგებო სიტუაციებისა, როდესაც საჭიროა სპეციალური სამსახურის ჩართვა).

ავარიული სიტუაციების რისკის შეფასება

რისკი განისაზღვრება ყველა შესასრულებელი ქმედებისთვის, მათი ხასიათის და გარემოს პირობების გათვალისწინებით. დასაშვებად მიიჩნევა მინიმალური ან მისაღები რისკები. მინიმალური გულისხმობს ისეთ რისკს, რომლის შემდგომი შემცირებისთვის საჭირო ღონისძიებების ღირებულება, მათი გატარების შედეგად მიღებული ეფექტის დისპროპორციულია (ეს მიდგომა არ ვრცელდება კანონით მოთხოვნილ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროების შემთხვევებზე).

გარდა ამისა, რისკი, მისაღები უნდა იყოს სამუშაოს შემსრულებელი პირისთვის. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია რისკის მისაღებობის მატრიცა.

ცხრილი 10-4. რისკის მისაღებობის მატრიცა

მისაღებობა	დასაშვები	მინიმალური	
		კი	არა
არა		X	X
კი		X	+

X - სამუშაოს გაგრძელება არ შეიძლება
 + - სამუშაო შეიძლება გაგრძელდეს

ავარიული სიტუაციების პრევენცია და რეაგირება

ავარიული სიტუაციების პრევენციის და რეაგირების ფარგლებში უნდა განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

- მონიტორინგის ღონისძიებების განსაზღვრა, მონიტორინგის გრაფიკის შემუშავება და მონიტორინგის წარმოება (მონიტორინგის სიხშირე დამოკიდებულია რისკის დონეზე და უნდა დაზუსტდეს ყოველ კონკრეტულ უბანზე მუშაობის დაწყებამდე. სიხშირის დიაპაზონი - ყოველდღიურიდან ყოველკვირეულამდე);
- ავარიულ შემთხვევებში შესასრულებელი პროცედურების განსაზღვრა;
- შემთხვევების აღრიცხვა, წერილობით დაფიქსირება და ანალიზი;
- პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება;
- ავარიის შემთხვევაში კომუნიკაციის სისტემის ჩამოყალიბება;
- პერსონალის ტრენინგი ავარიულ სიტუაციებში საჭირო ქმედებების შესახებ.

რეაგირება ხანძრის შემთხვევაში

ხანძრის პრევენციის მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე პირველ რიგში უნდა დამონტაჟდეს ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის სისტემა. განგაშის სიტემის ამოქმედების, ხანძრის კერის ან

კვამლის აღმომჩენი პირის და მახლობლად მომუშავე პერსონალის სტრატეგიული ქმედებები იქნება:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა და თავშეყრის ადგილზე შეკრება, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- საგანგებო სიტუაციების კოორდინატორი უნდა დარწმუნდეს, რომ პერსონალი სრულადაა შეკრებილი თავშეყრის ადგილას.
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შემლესებისდაგვარად, ტექნიკის იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება;
- ელექტრომოწყობილობების გამორთვა წრედიდან;

თუ ხანძარი მძლავრია და გაძნელებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარედ კი განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, პერსონალი ვალდებულია:

- მოშორდეს სახიფათო ზონას;
- ავარიის შესახებ შეატყობინოს შესაბამის სამსახურს;
- დაელოდოს სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადასცეს დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის პერსონალის ჯანმრთელობას, ამასთან, არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ პერსონალი ვალდებულია იმოქმედოს შემდეგნაირად:

- ავარიის შესახებ შეატყობინოს შესაბამის სამსახურს;
- სახანძრო ინვენტარის (ცეცხლმაქრი, ნაჯახი, ძალაყინი, სათლი და სხვ) გამოყენებით ეცადოს ხანძრის კერის ლიკვიდაციას, ცეცხლმაქრზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით. ცეცხლმაქრის მოქმედებაში მოყვანა შემდეგნაირად:
 - ა) მოხსენით დამცავი რგოლი
 - ბ) მიმართეთ ცეცხლმაქრი ცეცხლისკენ
 - გ) მოქაჩეთ სახელური
 - დ) მიმართეთ ცეცხლმაქრის ქაფის ან სითხის მიმართულება ხანძრის ერთი კუთხიდან მეორისკენ სანამ ცეცხლმაქრი არ დაცარიელდება.
- იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრის კერის ლიკვიდაციისთვის გამოიყენოს ქვიშა, წყალი ან გადააფაროს ნაკლებად აალებადი სქელი ქსოვილი;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები, წყლის გამოყენება დაუშვებელია;
- დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში არ უნდა განიავდეს სივრცე (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას.

ამ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირის ქმედებებია:

- დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;

- რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების შეფასება (I, II ან III დონე);
- საჭიროების შემთხვევაში სახანძრო რაზმის გამოძახება (ნომერი -112);
- საჭიროების შემთხვევაში მთელი პერსონალს ჩართვა ხანძრის ლიკვიდაციაში და უბანზე არსებული ხანძარსაქრობი აღჭურვილობის გამოყენების მოთხოვნა;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა სახანძრო რაზმის გამოჩენამდე;
- სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა (შესაძლოა საჭირო გახდეს უბანზე არარსებული სპეციალური აღჭურვილობა და სხვ.);
- ინციდენტის დასრულების შემდგომ ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება - ნახანძრალი ტერიტორიის დათვალიერება დარჩენილი ხანძრის კერების გამოვლენის მიზნით;
- შემთხვევის გაანალიზება და შემთხვევის შესახებ ანგარიშის მომზადება.

რეაგირება სახიფათო ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში

1. სახიფათო ნივთიერებების დაღვრისას, პირველი რიგში უნდა მოხდეს მასალის იდენტიფიკაცია, შეფასდეს დაზიანება, ხანძრის ან აფეთქების რისკი.
 2. თუ დაღვრილი სახიფათო ნივთიერების იდენტიფიკაცია შეუძლებელია და ასევე შეუძლებელია სპეციალური პირადი დამცავი საშუალებების გამოყენება, შესაძლებლობის შემთხვევაში დაღვრის კერა უნდა მიიმართოს ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, და პერსონალმა დატოვოს ტერიტორია;
 3. უნდა განხორციელდეს დაბინძურებული ტერიტორიის იზოლირება;
 4. სახიფათო ნივთიერებების ფართოდ გავრცელების პრევენციის მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაიბლოკოს წყალარინების სისტემა;
 5. უნდა აღმოიფხვრას პოტენციური აალების ყველა წყარო.
 6. დაღვრაზე უნდა ეცნობოს საგანგებო სიტუაციების კოორდინატორს, უსაფრთხოების ინჟინერს, სამუშაოთა მწარმოებელს.
 7. დაღვრის შეჩერება უნდა მოხდეს სახიფათო ნივთიერებებთან მოპყრობის პროცედურის მიხედვით.
 8. თუ დაღვრის შეჩერება შეუძლებელია, გამოძახებული უნდა იქნეს სპეციალური სამაშველო სამსახური.
 9. ნებისმიერი დაშავებული პერსონალისთვის გაწეულ იქნეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.
- სამუშაო ჯგუფი უნდა დაელოდოს შემდგომ განკარგულებებს.
 - გამოყენებული აბსორბენტების/ტილოების საფენები უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის ტომრებში და ტერიტორიიდან გატანამდე დროებით დასაწყობდეს შესაბამისად დაცულ ადგილას.

რეაგირება პერსონალის ტრავმატიზმის ან მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს

ადამიანის დაშავების აღმომჩენი პირის უპირველესი ქმედებაა ინციდენტის შესახებ შეტყობინების სასწრაფო გადაცემა და შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- შეჩერდეს სამუშაო.

- შეფასდეს დაშავების მიზეზი, რათა არ მოხდეს მასველი ჯგუფის ანალოგიური დაშავება.
- არ უნდა გადაადგილდეს დაშავებული, სანამ არ დადგინდება, რომ მისი გადაადგილება უსაფრთხოა.
- უნდა მოხდეს სასწრაფო დახმარებასთან დაკავშირება.
- სამაშველო ღონისძიებისას გამოყენებული უნდა იქნეს პირველადი დახმარების საშუალებები.
- საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარება გაწეული უნდა იქნეს სამაშველო ჯგუფის მიერ:
 - ა) გამომძახებული იქნას სასწრაფო დახმარება
 - ბ) დაშავებული უნდა მოთავსდეს სახით ზემოთ
 - გ) უნდა შემოწმდეს სასუნთქი გზები და ცენტრალური პულსი საძილე ან მხრის არტერიაზე.
- თუ დაშავებულის პულსი არ ისინჯება, აუცილებელია ჩატარდეს გულის მასაჟი:
 - ა) ზეწოლა მკერდის ძვალზე და ხელოვნური სუნთქვა, თანაფარდობით 30/2.
 - ბ) გულის მასაჟის სიხშირე უნდა იყოს 100-120 ზეწოლა წუთში.
 - გ) გულის მასაჟის ერთი ციკლი უნდა შესძულდეს 18 წამში.
 - დ) ყოველი ციკლის მერე უნდა შემოწმდეს პულსის არსებობა.
- გულის მასაჟი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ დაშავებულს არ აღუდგება პულსი ან სამედიცინო დახმარების მოსვლამდე.
- სასუნთქი გზების გახსნა უნდა მოხდეს დაშავებულის თავის უკან გადაწევით და ქვედა ყბის წინ წამოწევით.
- სუნთქვის აღდგენისას დაშავებული უნდა მოთავსდეს პირით ზემოთ. აუცილებელია გაგრძელდეს მისი პულსის მონიტორინგი.
- უნდა განთავისუფლდეს დაზარალებულამდე მისასვლელი გზა.
- სამაშველო ჯგუფი უნდა დაელოდოს საგანგებო სიტუაციების კოორდინატორის შემდგომ მითითებებს.
- უბედური შემთხვევის დროს პირველადი დახმარება შეუძლიათ ჩაატარონ მხოლოდ მათ, ვისაც აქვს პირველადი დახმარების სერტიფიკატი.

გარდა ზემოთ მოცემული გადაუდებელი დახმარებისა, დაზიანების ან ტრავმის ტიპების მიხედვით განსახორციელებელი ქმედებები მოცემული ქვემოთ.

პირველადი დახმარება მოტეხილობის დროს

თუ ძვლის დაზარალებულ მოტეხილობისას კანის მთლიანობა დაზიანებულ არეში დარღვეული არ არის, აღინიშნება სისხლჩაქცევა და შეშუპება. ამ ტიპის მოტეხილობის შემთხვევაში დახმარების აღმომჩენისთვის შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს შემდეგ ქმედებებს:

- სთხოვეთ დაზარალებულს იწვეს მშვიდად და დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ ხელით, სანამ არ მოხდება მისი იმობილიზაცია (ფიქსაცია);
- კარგი ფიქსაციისათვის სხეულის დაზიანებული ნაწილი უნდა დამაგრდეს დაუზიანებელზე. თუ მოტეხილობა ხელზე აღინიშნება, მოტეხილობა უნდა დაფიქსირდეს სხეულზე სამკუთხა ნახვევის საშუალებით. ფეხზე მოტეხილობის

არსებობისას დაზიანებული ფეხი მეორე ფეხზე უნდა დაფიქსირდეს. კვანძები უნდა შეიკრას დაუზიანებელი ფეხის მხრიდან;

- უნდა შემოწმდეს დაზარალებულის პულსი, მგრძნობელობა და კაპილარული ავსება ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ. თუ სისხლის მიმოქცევა ან მგრძნობელობა დაქვეითებულია, მოტეხილობაზე უნდა დაედოს ნაკლებ მჭიდრო ნახვევი.

ძვლის ღია მოტეხილობისათვის დამახასიათებელია კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა. ამ დროს დაზიანებულ არეში არის ჭრილობა და სისხლდენა; მაღალია ინფიცირების რისკი. ამ ტიპის მოტეხილობის შემთხვევაში დახმარების აღმომჩენისთვის შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს შემდეგ ქმედებებს:

- დახმარების აღმომჩენმა უნდა მოუხმოს დამხმარეს, რათა მან ჩაატაროს სხეულის დაზიანებული ნაწილის იმობილიზაცია, სანამ დახმარების აღმომჩენის ჭრილობას დაამუშავებს;
- ჭრილობა უნდა დაიფაროს სუფთა საფენით და განხორციელდეს პირდაპირი ზეწოლა სისხლდენის შეჩერების მიზნით. არ შეიძლება ზეწოლა უშუალოდ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტებზე;
- ჭრილობაზე თითებით შეხების გარეშე, საფენის ზემოდან ფრთხილად უნდა შემოფარგლოს დაზიანებული არე სუფთა ქსოვილით და დააფიქსირეთ ის ნახვევით;
- თუ ჭრილობაში მოჩანს მოტეხილი ძვლის ფრაგმენტები, რბილი ქსოვილი უნდა მოთავსდეს ძვლის ფრაგმენტების გარშემო ისე, რომ ქსოვილი სცილდებოდეს მათ და ნახვევი არ ახდენდეს ზეწოლას ძვლის ფრაგმენტებზე. ნახვევი უნდა დამაგრდეს ისე, რომ არ დაირღვეს სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ;
- მოტეხილი ძვალი უნდა დაფიქსირდეს, ისევე, როგორც დახურული მოტეხილობისას;
- პულსი, კაპილარული ავსება და მგრძნობელობა უნდა შემოწმდეს ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ.

პირველადი დახმარება ჭრილობების და სისხლდენის დროს

სისხლდენის სამი შემთხვევისთვის დახმარების აღმომჩენისთვის შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს შემდეგ ქმედებებს:

- *თუ სისხლი ცოტაა* (ამ დროს ინფექციის საშიშროება მაღალია):
 - დაშავებულს უნდა მოვზანოთ ჭრილობა დასალევად ვარგისი ნებისმიერი უფერო სითხით;
 - ჭრილობა უნდა იქნეს შეხვეული სუფთა ქსოვილით;
- *თუ სისხლი ბევრია* (ამ დროს არსებობს სისხლის დაკარგვის საშიშროება):
 - ჭრილობაზე უნდა დაეფაროს რამდენიმე ფენად გაკეცილი ქსოვილი და გააკეთეს დამწოლი ნახვევი;
 - თუ სისხლი ისევ ჟონავს, ჭრილობაზე ქსოვილი კიდევ ერთხელ უნდა გადაეხვიოს (სისხლით გაჟღენთილი ქსოვილი არ უნდა მოიხსნას) და ძლიერად დავაწვეთ სისხლმდინარ არეს;
- არტერიულ სისხლდენის დროს, რა დროსაც სისხლი ძალიან სწრაფად იკარგება:
 - უნდა დავაჭიროთ თითი/თითები არტერიის საპროექციო არეს (ჭრილობის ზემოთ), შემდეგ კი დავადოთ ლახტი (არტერიაზე ზეწოლის ადგილებია: მხრის ქვედა მესამედი და ბარძაყის ზედა მესამედი).

ლახტის დადების წესი:

- ლახტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ადებენ, რადგან ის ხშირად შეუქცევად დაზიანებებს იწვევს;
- ლახტი ედება ჭრილობის ზემოთ;
- ლახტის დასადები ადგილი ტანსაცმლით უნდა იყოს დაფარული. თუ ჭრილობის ადგილი შიშველია, ლახტს ქვეშ სუფთა ქსოვილი უნდა დაეფინოს;
- პირველი ნახვევი მჭიდრო (შეძლებისდაგვარად) უნდა დამაგრდეს, შემდეგ ლახტი იჭიმება და ჭრილობის არეს დამატებით ედება 3-4-ჯერ (ლახტის მაგივრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თოკი, ქამარი და სხვა);
- ლახტი ზამთარში ერთი, ზაფხულში კი ორი საათით ედება. შემდეგ 5-10 წუთით უნდა მოეშვეს და თავდაპირველი ადგილიდან ოდნავ ზემოთ დაედოს;
- უნდა შემოწმდეს, სწორად ადევს თუ არა ლახტი - სწორად დადების შემთხვევაში კიდურზე პულსი არ ისინჯება.

დაუშვებელია ჭრილობაში ხელის ჩაყოფა, ჭრილობაში უცხო სხეულის არსებობის შემთხვევაში - მისი ამოღება, ასეთ შემთხვევაში უცხო სხეული მაქსიმალურად უნდა დავაფიქსიროთ (ნახვევი დავადოთ უცხო სხეულის ირგვლივ).

შინაგანი სისხლდენა ძნელად აღმოსაჩენი დაზიანებაა. თუ ტრავმის მიღების შემდეგ აღინიშნება შოკის ნიშნები, მაგრამ არ არის სისხლის თვალსაჩინო დანაკარგი შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ფარულ სისხლდენას. ასეთ შემთხვევაში, დახმარების აღმომჩენისთვის შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს შემდეგ ქმედებებს:

- დაზარალებული უნდა დავაწვინოთ ზურგზე და ავუწიოთ ფეხები ზემოთ;
- დაზარალებულს უნდა შევხსნათ მჭიდრო ტანსაცმელი კისერზე, გულმკერდზე, წელზე;
- დაზარალებულს არ უნდა მივცეთ საჭმელი, წამალი და სასმელი. თუ დაზარალებული გონზეა და აღენიშნება ძლიერი წყურვილის შეგრძნება, მხოლოდ ტუჩები უნდა დავუსველოთ;
- დავათბუნოთ დაზარალებული – გადააფარეთ საბანი ან ქსოვილი;
- ყოველ 10 წთ-ში ერთხელ გადავამოწმოთ პულსი, სუნთქვა და ცნობიერების დონე. თუ დაზარალებული კარგავს გონებას, უნდა მოათავსოთ უსაფრთხო მდებარეობაში.

პირველადი დახმარება დამწვრობის დროს

დამწვრობა შეიძლება განვითარდეს ცხელი საგნების ან ორთქლის ზემოქმედების (თერმული დამწვრობა), კანზე ქიმიური ნივთიერების მოხვედრის (ქიმიური დამწვრობა), დენის ზემოქმედების (ელექტრული დამწვრობა) შემთხვევაში. დახმარების სწორად გასაწევად დასადგენია დამწვრობის ხარისხი, რაც დამოკიდებულია დაზიანების სიღრმეზე და დაზიანების ფართობზე (სხეულის ზედაპირის რა ნაწილზე ვრცელდება დაზიანება).

დამწვრობის დროს პირველადი დახმარებისას განსაზღვრული ღონისძიებებია:

- დაზარალებულის უსაფრთხო ადგილას, სუფთა ჰაერზე გაყვანა;
- თუ დაზარალებულზე იწვის ტანსაცმელი, სხეულზე წყლის დასხმა (ელექტრული დამწვრობის შემთხვევაში, წრედში ჩართულ დანადგარებთან წყლის გამოყენება დაუშვებელია). დაუშვებელია სხეულის გადაგორება;

- თუ წყლის გამოყენების საშუალება არ არის, სხეულზე არასინთეტიკური ქსოვილის გადაფარება;
- აუცილებელია დამწვარი არის ცივი წყლით გაგრილება (I და II ხარისხის დამწვრობისას 10-15 წუთით არე უნდა შევუშვიროთ გამდინარე წყალს, III და IV ხარისხის დამწვრობისას შევახვიოთ სუფთა სველი ქსოვილით და შემდეგ ასე შეხვეული გავაციოთ დამდგარ წყალში);
- დაზიანებული არიდან ტანსაცმლის და ნებისმიერი სხვა საგნის მოცილება, რომელსაც შეუძლია სისხლის მიმოქცევის შეფერხება;
- დაზიანებული არის სტერილური ნახვევით დაფარვა. ამით შემცირდება დაინფიცირების ალბათობა.

დამწვრობის დროს შესაძლებელია ცხელი აირების ჩასუნთქვა, რაც იწვევს სასუნთქი გზების დამწვრობას. თუ დაზარალებულს აღენიშნება გაძნელებული ხმაურიანი სუნთქვა, დამწვრობა სახის ან კისრის არეში, სახისა და ცხვირის თმიანი საფარველის შეტრუსვა, პირის ღრუსა და ტუჩების შეშუპება, ყლაპვის გაძნელება, ხველა, ხრინწიანი ხმა - არსებობს სასუნთქი გზების დამწვრობის ეჭვი. ამ შემთხვევაში საჭიროა სამედიცინო სამსახურის დაუყოვნებლივი გამოძახება. მის მოსვლამდე საჭიროა მუდმივად შემოწმდეს სუნთქვა და პულსი, აუცილებლობის შემთხვევაში - ჩატარდეს სარეანიმაციო ღონისძიებები.

დამწვრობის დროს დაუშვებელია:

- დაზიანებული არიდან ტანსაცმლის ნაწილაკების აშრევა, რადგან ამით შესაძლებელია დაზიანების გაღრმავება;
- ბუშტუკების მთლიანობის დარღვევა, რადგან ზიანდება კანის საფარველი და იქმნება ხელსაყრელი პირობები ორგანიზმში ინფექციის შეჭრისათვის;
- დაზიანებული არის დასამუშავებლად მალამოების, ლოსიონების, ზეთების თვითნებური გამოყენება;
- ქიმიური დამწვრობის დროს დაზიანებული არის დამუშავება მანეიტრალელები ხსნარებით. მაგ. ტუტით განპირობებული დამწვრობის დამუშავება მჟავათი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პირველადი დახმარება ელექტროტრავმის შემთხვევაში

საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში შესაძლებელია მაღალი და დაბალი ძაბვით გამოწვეული ელექტროტრავმები.

- *მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის* დროს განვითარებული დაზიანება უმრავლეს შემთხვევაში სასიკვდილოა. ამ დროს ვითარდება მძიმე დამწვრობა. კუნთთა ძლიერი შეკუმშვის გამო, ხშირად დაზარალებული გადაისროლება მნიშვნელოვან მანძილზე, რაც იწვევს მძიმე დაზიანებების (მოტეხილობების) განვითარებას.
- *დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმა* შეიძლება გახდეს სერიოზული დაზიანებისა და სიკვდილის მიზეზიც კი. ხშირად ამ ტიპის ელექტროტრავმა განპირობებულია დაზიანებული მოწყობილობით. სველ იატაკზე დგომის, ან სველი ხელებით დაუზიანებელ ელექტროგაყვანილობაზე შეხებისას, ელექტროტრავმის მიღების რისკი მკვეთრად მატულობს.

მაღალი ძაბვით გამოწვეული ელექტროტრავმების შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი:

- არ შეიძლება დაზარალებულთან მიახლოვება, სანამ არ გამოირთვება დენი და საჭიროების შემთხვევაში, არ გაკეთდება იზოლაცია. უნდა შენარჩუნდეს 18 მეტრის რადიუსის უსაფრთხო დისტანცია. ასეთ დროს სხვა პირებს დაზარალებულთან მიახლოვების საშუალება არ უნდა მიეცეს;
- ელექტროტრავმის მიღების შემდეგ, უგონოდ მყოფ დაზარალებულთან მიახლოვებისთანავე უნდა გაიხსნას სასუნთქი გზები თავის უკან გადაწევის გარეშე, ქვედა ყბის წინ წამოწევით;
- უნდა შემოწმდეს სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. მზად უნდა ვიყოთ რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარებისათვის;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია მაგრამ სუნთქავს, იგი უნდა მოთავსდეს უსაფრთხო მდებარეობაში;
- დაზარალებულს უნდა ჩაუტარდეს პირველი დახმარება დამწვრობისა და სხვა დაზიანებების შემთხვევაში.

დაბალი ძაბვით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი:

- არ უნდა შევეხოთ დაზარალებულს, თუ ის ეხება ელექტროდენის წყაროს;
- არ უნდა გამოვიყენოთ ლითონის საგნები ელექტროდენის წყაროს მოშორების მიზნით;
- თუ შესაძლებელია, უნდა შეწყდეს დენის მიწოდება. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, ელექტრომოწყობილობა უნდა გამოვრთოთ დენის წყაროდან;
- თუ დენის გამორთვა შეუძლებელია, უნდა დავდგეთ მშრალ მაიზოლირებელ საგანზე (მაგალითად, ხის ფიცარზე, რეზინისა ან პლასტმასის საფენზე);
- დაზარალებულის სხეული უნდა მოშორდეს დენის წყაროდან ნებისმიერი დამხმარე არაგამტარი საშუალებით (ხის ჯოხის, სკამი და ა.შ.). შესაძლებელია გადავადგილოთ დაზარალებულის სხეული დენის წყაროდან ან პირიქით, თუ ეს უფრო მოსახერხებელია - თვით დენის წყარო;
- დაზარალებულის სხეულზე შეხების გარეშე, უნდა შემოვახვიოთ ბაწარი მისი ტერფებისა ან მხრების გარშემო და მოვაშოროთ დენის წყაროს;
- უკიდურეს შემთხვევაში, დაზარალებულს მოვკიდოთ ხელი მშრალ არამჭიდრო ტანსაცმელს და მოვაშოროთ დენის წყაროდან;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, უნდა გავხსნათ სასუნთქი გზები, შევამოწმოთ სუნთქვა და პულსი;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, სუნთქვა და პულსი აქვს, მოვათავსოთ უსაფრთხო მდებარეობაში. გავაგრილოთ დამწვარი არეები და დავადოთ ნახვევი;
- თუ დაზარალებულს ელექტროტრავმის მიღების შემდეგ არ აღენიშნება ხილული დაზიანება და კარგად გრძნობს თავს, ვურჩიოთ დაისვენოს.

ელვის/მეხის ზემოქმედებით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში დაზარალებული გადაყვანილი უნდა იყოს შემთხვევის ადგილიდან და ჩაუტარდეს პირველადი დახმარება, როგორც სხვა სახის ელექტროტრავმის დროს.

რეაგირება ბუნებრივი აირის გაჟონვის დროს

- სამუშაო ტერიტორიაზე მოთხოვნის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს აირის დეტექტორები.

- ბუნებრივი აირის გაჟონვის შემთხვევაში პერსონალმა უნდა დატოვოს ტერიტორია და გაემართოს საევაკუაციო გასასვლელით თავშეყრის ადგილისკენ.
- გამოძახებული უნდა იქნეს სამაშველო სამსახური.
- თუ გაჟონვას თან ახლავს ცეცხლი, გამოძახებული უნდა იქნეს სახანძრო სამსახური.
- ტერიტორიაზე უნდა აღმოიფხვრას ნაპერწკლის ნებისმიერი წყარო. ელექტრო ხელსაწყოები გამორთული უნდა იქნეს კვების წყაროდან.
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კოორდინატორმა უნდა მოახდინოს პერსონალის და ვიზიტორების გადათვლა, რათა დარწმუნდეს რომ სამიზ ზონაში არავინ იმყოფება.
- პერსონალი უნდა დაელოდოს შემდგომ განკარგულებებს.

რეაგირება სატრანსპორტო შემთხვევების დროს

ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს განხორციელდება შემდეგი სტრატეგიული ქმედებები:

- დაუყოვნებლივ უნდა გაჩერდეს სატრანსპორტო საშუალებები/ტექნიკა;
- ინფორმაცია უნდა გადაეცეს შესაბამისი სამსახურებს (საპატრულო პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური);
- იმ შემთხვევაში თუ საფრთხე არ ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას და არ არსებობს სხვა ავარიული სიტუაციების პროვოცირების რისკები (მაგ. სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, ხანძარი, საწვავის დაღვრა და სხვ.), მანქანაში მყოფი ვალდებულია:
 - გადმოვიდეს სატრანსპორტო საშუალებიდან/ტექნიკიდან ან მოშორდეს ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნოს უსაფრთხო დისტანცია;
 - დაელოდოს საპატრულო პოლიციის/სამაშველო გუნდის გამოჩენას.
- დამატებითი საფრთხეების შემთხვევაში:
 - გადმოვიდეს სატრანსპორტო საშუალებიდან/ტექნიკიდან ან მოშორდეს ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნოს უსაფრთხო დისტანცია;
 - ხანძრის, საწვავის დაღვრის შემთხვევებში იმოქმედოს ზემოთ მოცემული რეაგირების სტრატეგიის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას:
 - დაზარალებულს უნდა მოეხსნას ყველაფერი, რამაც შესაძლოა გაურთულოს სუნთქვა (ქამარი, ყელსახვევი);
 - დაშავებულს ჩაუტარდეს პირველადი დახმარება ზემოთ მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით.

რეაგირება ელექტროენერჯის ავარიული გათიშვის დროს

- ელექტროენერჯის ავარიული გათიშვის დროს აუცილებელია გამორთული იქნეს კვების წყაროდან ყველა ელექტრო ხელსაწყო და დანადგარი.
- მუშა პერსონალი უნდა იქნეს ინფორმირებული ავარიული გათიშვის შესახებ.
- აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ჩაირთოს სარეზერვო გენერატორი.
- აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ჩაირთოს ავარიული განათება.
- აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს პერსონალის ევაკუაცია თავშეყრის ადგილზე.

რეაგირება ძლიერი წვიმის, ქარიშხლის დროს

- ძლიერი წვიმის დროს უნდა მოხდეს მისასვლელი და საევაკუაციო გზების მონიტორინგი.
- უნდა გამოირთოს ელექტრო ხელსაწყოები თუ არსებობს დატბორვის საშიშროება.
- დაგუბებულ წყალზე/ტბორზე დაუშვებელია მძიმე ტექნიკის და ავტომობილების გადაადგილება.
- საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს პერსონალის ევაკუაცია შეკრების ადგილას.

10.5 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა

სამუშაო უბნები უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი აღჭურვილობით:

- პირადი დაცვის საშუალებებით:
 - ჩაფხუტები;
 - დამცავი სათვალეები;
 - სპეცტანსაცმელი ამრეკლი ზოლებით;
 - წყალგაუმტარი მაღალყელიანი ფეხსაცმელები;
 - ხელთათმანები;
- ხანძარსაქრობი აღჭურვილობით:
 - სტანდარტული ხანძარმქრობები;
 - სათლები, ქვიშა, ნიჩბები და ა.შ.;
 - სათანადოდ აღჭურვილი ხანძარსაქრობი დაფები;
- სახიფათო ნივთიერებების დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობა:
 - გამძლე პოლიეთილენის ტომრები;
 - აბსორბენტის ბალიშები;
 - ხელთათმანები;
 - წვეთშემკრები მოცულობა;
 - ვედროები;
 - პოლიეთილენის ლენტი.
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღჭურვილობა:
 - სტანდარტული სამედიცინო ყუთები.

საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სახანძრო სამსახურის და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის დახმარება.

ცხრილი 10-5. გადაუდებელი დახმარების საინფორმაციო ფურცელი

ERP PHONE LIST		
გადაუდებელი დახმარება		
EMERGENCY DIAL		
112		
სასწრაფო დახმარება / AMBULANCE		112
სახანძრო / FIRE		112
საპატრულო პოლიცია / POLICE		112
პასუხისმგებელი პირები / LOCAL RESILANCE CORDINATOR	სახელი / NAME	ტელეფონი / PHONE
მეხანძრე / FIRE MARSHAL		
პირველადი დახმარების გამწევი /		

FIRST AID RESPONDER		
შრომის უსაფრთხოების მენეჯერი / HSE Manager		
სამუშაოთა მწარმოებელი / FOREMAN		
დაცვის სამსახური / SECURITY		
გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზი / Emergency Reporting Line		112

ხანძარსაწინააღმდეგო, პირველადი დახმარების, სამაშველო ან სხვა საგანგებო რეაგირების ღონისძიებები უნდა ჩატარდეს სათანადოდ აღჭურვილი და მომზადებული საგანგებო რეაგირების ჯგუფის მეშვეობით. აუცილებელია გარკვეულმა პერსონალმა გაიაროს ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების, სამაშველო, ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციების შესახებ.

11 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

საქმიანობის განხორციელების პროცესში უარყოფითი ზემოქმედებების მნიშვნელოვნების შემცირების ერთ-ერთი წინაპირობაა დაგეგმილი საქმიანობის სწორი მართვა მკაცრი მეთვალყურეობის (გარემოსდაცვითი მონიტორინგის) პირობებში.

გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია სხვადასხვა თემატური გარემოსდაცვითი დოკუმენტების მომზადება, მათ შორის: საქმიანობის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა. მნიშვნელოვანია აღნიშნულ გარემოსდაცვით დოკუმენტებში გაწერილი პროცედურების პრაქტიკული შესრულება და საჭიროების მიხედვით კორექტირება-განახლება. აღნიშნული გეგმების შესრულების ხარისხი უნდა გაკონტროლდეს კომპანიის მიერ გამოყოფილი გარემოსდაცვითი მენეჯერის მიერ.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის მეთოდები მოიცავს ვიზუალურ დაკვირვებას, გაზომვებს და ლაბორატორიულ კვლევებს (საჭიროების შემთხვევაში). გზშ-ს შემდგომი ეტაპების ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა გაითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლების შეფასება;
- გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლების ცვლილების მიზეზების გამოვლენა და შედეგების შეფასება;
- საქმიანობის ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების ხარისხსა და დინამიკაზე სისტემატიური ზედამხედველობა;
- ზემოქმედების ინტენსივობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული მაჩვენებლების დადგენილი პარამეტრების გაკონტროლება;
- საქმიანობის პროცესში ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევების ან საგანგებო სიტუაციების პრევენცია და დროული გამოვლენა;

საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროცესში სავარაუდოდ სისტემატურ დაკვირვებას და შეფასებას დაექვემდებარება:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელების საკითხები;

- ნარჩენების მართვის საკითხები;
- შრომის პირობები და უსაფრთხოების ნორმების შესრულება, სოციალური საკითხები და სხვა.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა არსებული საწარმოო და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის³⁶ ეტაპისთვის მოცემულია ცხრილში 11-1.

³⁶ მონიტორინგის გეგმა შემუშავებულია მხოლოდ ექსპლუატაციის ეტაპისთვის, რადგან საწარმოს მოწყობის ეტაპი მხოლოდ დანადგარების განთავსებას ითვალისწინებს. ყველა სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა კომპანიის ტერიტორიაზე უკვე არსებობს. მონიტორინგის გეგმაში ასევე გათვალისწინებულია არსებული წარმოებაც, რადგან ნარჩენების გადამამუშავების და პირველადი ნედლეულიდან შესაფუთი მასალების წარმოება განიხილება ერთიან ჭრილში.

ცხრილი 11-1. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა - ექსპლუატაციის ეტაპი

კონტროლის საგანი/	კონტროლის/სინჯის აღების წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი პირი
ატმოსფერული ჰაერის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> • მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროები; • საწარმოო ზონა; • უახლოესი მაცხოვრებელი; 	<ul style="list-style-type: none"> • მავნე ნივთიერებების გაფრქვევის გაანგარიშების საანგარიშო მეთოდის გამოყენება; 	<ul style="list-style-type: none"> • 6 თვეში ერთხელ 	<ul style="list-style-type: none"> • ატმოსფერული ჰაერში შემდეგი დამბინძურებლების გაფრქვევის რაოდენობრივი კონტროლი: <ul style="list-style-type: none"> ✓ აზოტის დიოქსიდი ✓ ნახშირბადის მონოქსიდი ✓ ააონ ✓ ეთანმჟავა (ძმარმჟავა) • დასაქმებული პერსონალისა და უახლოესი მაცხოვრებლების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა 	სს „თბილპოლიმერი“
		<ul style="list-style-type: none"> • პად ფორმების წარმოება; 	<ul style="list-style-type: none"> • 3 თვეში ერთხელ 		
		<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო ზონაში ინსტრუმენტალური გაზომვების წარმოება 	<ul style="list-style-type: none"> • 3 თვეში ერთხელ • მოსახლეობის მხრიდან საჩივრის არსებობის შემთხვევაში 		
		<ul style="list-style-type: none"> • ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიშების წარმოება 	<ul style="list-style-type: none"> • წელიწადში ერთხელ 		
ხმაურის დონე	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო ზონა; • უახლოესი მაცხოვრებელი 	<ul style="list-style-type: none"> • მოწყობილობა/დანადგარების ტექნიკური გამართულობის ვიზუალური კონტროლი 	<ul style="list-style-type: none"> • მუდმივი 	<ul style="list-style-type: none"> • ხმაურის დონის ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა • პერსონალისთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა; • უახლოესი მაცხოვრებლების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა 	სს „თბილპოლიმერი“
		<ul style="list-style-type: none"> • ინსტრუმენტალური გაზომვა 	<ul style="list-style-type: none"> • 3 თვეში ერთხელ • მოსახლეობის მხრიდან საჩივრების არსებობის შემთხვევაში 		
ვიბრაცია	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო ზონა 	<ul style="list-style-type: none"> • საჭიროების შემთხვევაში ინსტრუმენტალური გაზომვა 	<ul style="list-style-type: none"> • დანადგარების გაუმართაობის დაფიქსირების შემთხვევაში 	<ul style="list-style-type: none"> • პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა; 	სს „თბილპოლიმერი“

სს „თბილპოლიმერი“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

ნიადაგი და გრუნტი	<ul style="list-style-type: none"> კომპანიის ტერიტორია 	<ul style="list-style-type: none"> ვიზუალური დაკვირვება; 	<ul style="list-style-type: none"> სახიფათო ნარჩენების სათანადო მართვის მუდმივი კონტროლი; 	<ul style="list-style-type: none"> ნიადაგის და გრუნტის დაბინძურებისაგან დაცვის კონტროლი 	სს „თბილპოლიმერი“
წყლის გარემო	<ul style="list-style-type: none"> კომპანიის ტერიტორიის სიახლოვეს გამავალი მაგისტრალური არხი 	<ul style="list-style-type: none"> ვიზუალური დაკვირვება; 	<ul style="list-style-type: none"> მუდმივი 	<ul style="list-style-type: none"> წყლის ნარჩენებით და სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებისაგან დაცვის კონტროლი 	სს „თბილპოლიმერი“
ნარჩენების მართვა	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს და ნარჩენების დასაწყობების შენობა; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსების უბნები; კომპანიის კუთვნილებაში არსებული ტერიტორია 	<ul style="list-style-type: none"> ვიზუალური კონტროლი 	<ul style="list-style-type: none"> მუდმივი 	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების მართვის პროცესების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა გადასამუშავებელი ნარჩენების მიღების კონტროლი; ნარჩენებით გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება 	სს „თბილპოლიმერი“
		<ul style="list-style-type: none"> ინსპექტირება; 	<ul style="list-style-type: none"> ყოველდღიურად 		

სს „თბილპოლიმერი“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

<p>შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა</p>	<ul style="list-style-type: none"> სამუშაოთა წარმოების ტერიტორიები 	<ul style="list-style-type: none"> წარმოებაში გამოყენებული დანადგარების გამართულობის ვიზუალური და ტექნიკური კონტროლი; 	<ul style="list-style-type: none"> პერიოდული კონტროლი სამუშაოს წარმოების პერიოდში და სამუშაოების დასრულების შემდგომ. 	<ul style="list-style-type: none"> ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ავარიული სიტუაციების თავიდან არიდების უზრუნველყოფა; დასაქმებული პერსონალის ტრავმატიზმის მინიმიზაცია/თავიდან აცილება. 	<p>სს „თბილპოლიმერი“</p>
---	---	--	---	--	--------------------------

12 სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის 37 მუხლის მიხედვით საქართველოს მოქალაქეს აქვს შემდეგი ხელშეუვალი უფლებები:

- საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს;
- ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ახალი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ განსაზღვრავს, რომ სკოპინგისა და გზმ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში სააგენტო უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას და ინფორმირებას. პროექტის სკოპინგის ეტაპზე, გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 12-1. ინფორმაცია საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

№	შენიშვნის და წინადადების ავტორი	შენიშვნის და წინადადების შინაარსი	პასუხი
1.	სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“	გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;	<ul style="list-style-type: none"> გზშ-ის ანგარიში მოიცავს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2.	„-----“	გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;	<ul style="list-style-type: none"> გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია
2.1	„-----“	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.	<ul style="list-style-type: none"> გზშ-ს ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირთა ხელმოწერები წარმოდგენილია ცხრილში 1-2, გვ. 8
3.	„-----“	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს: სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;	<ul style="list-style-type: none"> შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის მე-8 და მე-9 თავებში
4	„-----“	გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:	
4.1	„-----“	დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;	<ul style="list-style-type: none"> დაგეგმილის საქმიანობის საჭიროების დასაბუთება მოცემულია ანგარიშის მე-2 თავში, გვ. 8-9
4.2	„-----“	არსებული და დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;	<ul style="list-style-type: none"> არსებული და დაგეგმილის საქმიანობის დეტალური აღწერა მოცემულია ანგარიშის მე-5 თავში
4.3	„-----“	საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, SHP ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა მოცემულია ანგარიშის მე-5 თავში. სს „თბილპოლიმერის“ კუთვნილი ნაკვეთის კუთხის კოორდინატები მოცემულია ცხრილში 5-1, გვ. 29.

			<ul style="list-style-type: none"> საპროექტო ტერიტორიის SHP ფაილები წარმოდგენილია დანართის სახით;
4.4	„-----“	საწარმოს გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, არსებული და საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> სს „თბილპოლიმერის“ კუთვნილი ტერიტორიის გენერალური გეგმა მოცემულია სქემაზე 5-1, გვ. 33; ტექნოლოგიური გეგმა წარმოდგენილია სქემაზე 5-2, გვ გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები დატანილია ნახაზებზე 7- და 7-2, გვერდები 86-87
4.5	„-----“	საწარმოო ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);	<ul style="list-style-type: none"> საწარმოს ტერიტორიის სიტუაციური სქემა წარმოდგენილია სქემაზე 5-1, გვ. 33; ფოტომასალა წარმოდგენილია ანგარიშის მე-5 თავში;
4.6	„-----“	დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;	<ul style="list-style-type: none"> უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 80 მ., მაგისტრალური არხი უშუალოდ ემიჯნება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიას. ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის მე-5 თავში.
4.7	„-----“	ინფორმაცია 500-მ რადიუსის საზღვრებში არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური, ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);	<ul style="list-style-type: none"> ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის 5.1 ქვეთავში
4.8	„-----“	საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა- ანალიზი;	<ul style="list-style-type: none"> ინფორმაცია საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის შესახებ მოცემულია ანგარიშის მე-7 ქვეთავში, გვ. 46-67
4.9	„-----“	გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის მე-6 თავში, გვ. 42-45.

სს „თბილპოლიმერი“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

4.10	„-----“	ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზების საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის მე-5 თავში, გვ. 36-42
4.11	„-----“	ინფორმაცია ნარჩენების აღდგენის შედეგად მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და რეალიზაციის შესახებ;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის მე-5 თავში, გვ. 32-42
4.12	„-----“	ტექნოლოგიურ პროცესში (ნარჩენების დამუშავებისას, პროდუქციის წარმოებისას) გამოსაყენებელი საშუალებებისა და ტექნოლოგიური უზნების, მათ შორის ნარჩენების გადამუშავებისთვის გამოყენებული მანქანა/დანადგარების დეტალური აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უზნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის მე-5 თავში, გვ. 32-42 • დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ანგარიშის დანართში 1,
4.13	„-----“	ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნარჩენების მიღებიდან მის აღდგენამდე);	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით წარმოდგენილია ანგარიშის სქემა 5-3-ზე და ქვეთავი 5.2-ს ტექსტურ ნაწილში, გვ. 37
4.14	„-----“	ამასთან ინფორმაცია საწარმოს მთლიანი ტექნოლოგიური ციკლის შესახებ, არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზების გათვალისწინებით;	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით წარმოდგენილია ანგარიშის სქემა 5-3-ზე და ქვეთავი 5.2-ს ტექსტურ ნაწილში, გვ. 32-42
4.15	„-----“	წლის განმავლობაში გადასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, არსებულ საწარმოო პროცესში წარმოქმნილი და სხვა იურიდიული/ფიზიკური პირებიდან მიღებული ნარჩენების რაოდენობის მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 5.2, გვ. 42
4.16	„-----“	ნარჩენებით საწარმოს მომარაგების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების შესახებ;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 5.2, გვ. 39
4.17	„-----“	ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტისა და პირობების შესახებ;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 5.2, გვ. 39

სს „თბილკოლიმერი“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

4.18	„-----“	დეტალური ინფორმაცია დასამუშავებელი ნარჩენის კოდ(ებ)ის, დასახელებ(ებ)ის, წარმოშობის წყაროს შესახებ;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის 1-ელ თავში, გვ. 7
4.19	„-----“	ნარჩენების დამუშავების აღდგენის ან განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I ან II დანართის შესაბამისად;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის 1-ელ თავში, გვ. 7
4.20	„-----“	დეტალური ინფორმაცია ნარჩენების დახარისხება/დაქუცმაცებიდან მიღებული და ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახელებები და რაოდენობა) შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება ასევე შემდგომი მართვის ღონისძიებები;	<ul style="list-style-type: none"> • დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 5.5, გვ. 95-99
4.21	„-----“	დეტალურად იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებისა და გამოყენებული სტანდარტის შესახებ. ამასთანავე პლასტიკის პარკების წარმოების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას N472 „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის დადგენილების მოთხოვნები;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 5.2, გვ. 38-39 • სტანდარტებთან და მასალის რეგლამენტთან შესაბამისობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ასევე წარმოდგენილია დანართებში 2-5
4.22	„-----“	საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად ანგარიშის მე-10 თავშია წარმოდგენილი, გვ. 106-120
4.23	„-----“	საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 5.2, გვ. 42
4.24	„-----“	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 8.2, გვ. 93
4.25	„-----“	ნარჩენების რეცხვის საჭიროების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რეცხვის შემთხვევაში ნარეცხი წყლების მართვის საკითხების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • კომპანია საწარმოში შემოიტანს ისეთი სახის ნარჩენს, რომელიც არ საჭიროებს გარეცხვას. ქვეთავი 5.2, გვ. 39
4.26	„-----“	დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა და სამუშაო გრაფიკი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 5.2, გვ.
4.27	„-----“	საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი

			დოკუმენტაცია წარმოდგენილია დანართში 7,
4.28	„-----“	ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის თავებში 5-8
5	„-----“	გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:	
5.1	„-----“	<p>საწარმოს სიახლოვეს არსებული ან/და საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები და გაბნევის ანგარიში; • ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის ინფორმაცია საწარმოში აირგამწმენდი მოწყობილობის დამონტაჟების საჭიროების შესახებ; • ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა; 	<ul style="list-style-type: none"> • მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები და გაბნევის ანგარიში (ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით) წარმოდგენილია ქვეთავში 8.1, გვ. 68-82 • ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1; • ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა ცალკე ანგარიშად, დანართის სახით თან ერთვის გზშ-ს პაკეტს დასახლებით - „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა“
5.2	„-----“	გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;	<ul style="list-style-type: none"> • გზშ-ის ანგარიშს თან ცალკე დოკუმენტად თან ერთვის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი
5.3	„-----“	საწარმოს სამუშაო რეჟიმის (24 სთ) გათვალისწინებით დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი: პროექტის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით); ხმაურის გავრცელების დონეების	<ul style="list-style-type: none"> • ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება დეტალურად ანგარიშის 8.1.2 და 8.1.3 ქვეთავებშია წარმოდგენილი; • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1;

		გაანგარიშება და მოდელირება; შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;	<ul style="list-style-type: none"> • მონიტორინგის საკითხები წარმოდგენილია ანგარიშის მე-11 თავში, ცხრილში 11-1
5.4	„-----“	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედების საკითხები წარმოდგენილია ანგარიშის 8.2 ქვეთავში, გვ. 93-94; • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1;
5.5	„-----“	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების საკითხები წარმოდგენილია ანგარიშის 8.3 ქვეთავში, გვ. 94-95; • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1;
5.6	„-----“	ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	<ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილია ანგარიშის 8.4 ქვეთავში, გვ. 94-95 • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1;
5.7	„-----“	ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხებისა და შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მოცემულია ანგარიშის ქვეთავში 8.5, გვ. 95-100 • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1
5.8	„-----“	ნარჩენების სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მოცემულია ქვეთავში 8.5.2, გვ. 96 • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1;

5.9	„-----“	კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როგორც 500 მ-ის რადიუსში, ისე მის მიმდებარედ არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	<ul style="list-style-type: none"> • კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის 8.8 ქვეთავში • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1;
5.10	„-----“	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე;	<ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 8.6, გვ. 100
5.11	„-----“	პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ- ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;	<ul style="list-style-type: none"> • სოციალურ- ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში 8.7, გვ. 100-101; • სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი წარმოდგენილია ანგარიშის მე-12 თავში, ცხრილი 10-1
5.12	„-----“	გარემოზე მოსალოდნელი შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;	<ul style="list-style-type: none"> • გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოცემულია ანგარიშის მე-8 თავში, გვ. 67-102
5.13	„-----“	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;	<ul style="list-style-type: none"> • ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა წარმოდგენილია ანგარიშის მე-10 თავში, გვ. 106-120
5.14	„-----“	პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;	<ul style="list-style-type: none"> • შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიშის მე-9 თავში, ცხრილში 9-1;
5.15	„-----“	პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);	<ul style="list-style-type: none"> • გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით)

			წარმოდგენილია ანგარიშის მე-11 თავში, ცხრილში 11-1
5.16	„-----“	გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.	<ul style="list-style-type: none"> აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის მე-13 თავში

13 დასკვნები და რეკომენდაციები

არსებული წარმოების, დაგეგმილი საქმიანობის, საწარმოს განთავსების და გარემოს არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას №1-ში მდებარე პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პერიოდში მომზადდა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

დასკვნები

- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, სამრეწველო ზონა 1-ს (ს-1) ფარგლებში, საწარმოს ტერიტორია გარშემორტყმულია სხვადასხვა დანიშნულების საწარმოებითა და სასაწყობე ობიექტებით.
- კომპანიის კუთვნილი ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი 80 მ. მანძილში არის განთავსებული.
- კომპანიის კუთვნილებაში არსებულ ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია, აქ მხოლოდ რამდენიმე ერთეული ხე-მცენარეა წარმოდგენილი, რომელთაგან არცერთი არ განეკუთვნება დაცული სტატუსის ან საკონსერვაციო მნიშვნელობის სახეობას. ამასთან, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების პერიოდში არსებულ მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
- კომპანიის კუთვნილებაში არსებულ ტერიტორიაზე სულ განლაგებულია 9 შენობა - ნაგებობა, რომელთაგან ერთი ადმინისტრაციული (შენობა №1, 2 სართული, საერთო ფართობი 807.82 მ²), ხოლო ორი საწარმოო დანიშნულებით გამოიყენება. არსებული წარმოება განთავსებულია 1148.35 მ² ფართობის მქონე №2 შენობა-ნაგებობაში (სიგრძე - 48.32 მ, სიგანე - 24.2 მ, სიმაღლე - 10.77 მ).
- წარმოებაში პროდუქციის მიღება ამჟამად მხოლოდ პირველადი ნედლეულისგან (პლასტიკის გრანულები) მიმდინარეობს, რომლის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე მზა სახით ხდება.
- არსებულ საწარმოს შეუძლია ყოველთვიურად აწარმოოს 200 ტონა პროდუქცია. თუმცა საწყის ეტაპზე წარმადობა პირველადი ნედლეულისთვის დაახლოებით 60 ტონა იქნება ყოველთვიურად. კომპანია გეგმავს პირველადი ნედლეულისგან წარმოებული პროდუქციის 10% (საკუთარი ნარჩენი დაახლოებით 6 ტონა თვეში) გადაამუშაოს. გარდა ამისა, კომპანია ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან შეისყიდის მეორად ნედლეულს, რომლის ოდენობაც, მაქსიმალური წარმადობის შემთხვევაში დაახლოებით 20 ტონა იქნება თვეში. ანუ, კომპანია გეგმავს დაახლოებით 26 ტონა მეორადი ნედლეულის გადამამუშავებას და იმავე რაოდენობის პლასტიკის გრანულების მიღებას ყოველთვიურად. ჯამურად, პირველადი და მეორადი ნედლეულის გადამამუშავების მოცულობა 86 ტონა იქნება ყოველთვიურად.
- სს „თბილპოლიმერი“ წარმოებაში იყენებს ISO 22000:2018 - „სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემები“ - სტანდარტს. ეს საერთაშორისო სტანდარტი ადგენს მოთხოვნებს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის მიმართ, რაც მოიცავს ინტერაქტიულ კომუნიკაციას, სისტემის მენეჯმენტს, წინასწარ საბაზისო პროგრამებს და HACCP-ის პრინციპებს.
- ბიოდეგრადირებადი პარკების საწარმოებლად კომპანია იყენებს მასალას, რომელიც

აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ✓ მის მწარმოებელზე გაცემულია სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს მწარმოებლის უფლებამოსილებას, აწარმოოს სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის EN 13432:2000 სტანდარტის შესაბამისი ბიოდეგრადირებადი ან/და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისთვის საჭირო მასალა;
 - ✓ ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტის PAS 9017:2020 სტანდარტის შესაბამისი მასალის შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულია ბიოდეგრადირებადი ან/და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისათვის საჭირო მასალის ბრიტანეთის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტის PAS 9017:2020 სტანდარტთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სს „თბილპოლიმერს“ წარმოებაში გამოყენებული მასალებს გაერთიანებულ სამეფოში ჩაუტარდა ლაბორატორიული ტესტირება, რომლის მიხედვითაც მასალები აკმაყოფილებს მოქმედი რეგლამენტის მოთხოვნებს (ციხილეთ დანართი 5).
 - სს „თბილპოლიმერი“ გეგმავს წარმოებაში გამოიყენოს მეორადი ნედლეული (პლასტიკის ნარჩენები - ძირითადად ცელოფნის შესაფუთი მასალები), რომელიც არსებული წარმოების პროცესში წარმოიქმნება. კომპანია ასევე გეგმავს საქართველოში არსებული ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შეისყიდოს ნარჩენები და გადაამუშაოს ის.
 - კომპანია საწარმოში შემოიტანს ისეთი სახის ნარჩენს, რომელიც არ საჭიროებს გარეცხვას (დაბინძურებული და უხარისხო ნარჩენების შესყიდვა არ მოხდება).
 - ნარჩენების ტრანსპორტირება საწარმომდე განხორციელდება როგორც სს „თბილპოლიმერის“, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ. სს „თბილპოლიმერი“ ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებს დახურული/გადახურული ძარის მქონე სატრანსპორტო საშუალებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნარჩენების გაფანტვა და დაცული იყოს ატმოსფერული ნალექებისგან.
 - ნარჩენების გადამუშავების შემდეგ მიიღება მეორადი გრანულები/ნედლეული, რომელიც დაგროვდება პლასტიკის ტომრებში და გადაინაცვლებს ძირითადი წარმოების ტერიტორიაზე სასაწყობე ფართზე, საიდანაც პერიოდულად მოხდება შემრევში გადატანა და პროდუქციის წარმოება. მეორადი ნედლეულისგან მიღებული მასალით იწარმოებს სხვადასხვა სახის შესაფუთი მასალები, რომლებიც პირველადი ნედლეულისგან წარმოებული პროდუქციის მსგავსად შეიფუთება და განთავსდება სასაწყობე ტერიტორიაზე, ან სასაწყობე შენობაში რეალიზაციამდე.
 - ნარჩენების გადამუშავებისთვის საჭირო გრანულატორები და დამქუცმაცებელი განთავსდება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომელიც გადახურულია და გააჩნია ბეტონის იატაკი.
 - საწარმოს მოსაწყობად საჭირო ყველა სახის ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს და მხოლოდ საჭირო დანადგარების სამონტაჟოს სამუშაოების განხორციელებაა დაგეგმილი.
 - არსებულ წარმოებაში ჩართული და საპროექტო ობიექტები ერთმანეთის სიახლოვესაა განლაგებული, რომელთა შორის დამაკავშირებელი ტერიტორია წარმოდგენილია

ბეტონის საფარველს (საგრანულატორომდე მისასვლელი გზის ნაწილი მოიცავს ბეტონის საფარველს, ნაწილი კი-გრუნტს).

- ამჟამად საწარმოს სამუშაო რეჟიმი შეადგენს 24 საათს კვირაში 7 დღე, ანუ საწარმო წელიწადში მუშაობს 8760 საათი (გაუთვალისწინებელი შემთხვევების გარდა). დასაქმებული პერსონალის ძირითადი ნაწილი მუშაობს ცვლებში 20 საათიანი გრაფიკით, იმგვარად რომ კვირაში თითოეულ მათგანს არ უწევს 40 საათზე მეტი მუშაობა (ანუ დასაქმებული ადამიანის სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში 4 დღეს შეადგენს). ამასთან საწარმოში დასაქმებული პერსონალის ნაწილს გააჩნია ჩვეულებრივი 8 საათიანი სამუშაო დღე, კვირაში 5 დღის განმავლობაში.
- ნარჩენების გადამუშავების ხაზის ამოქმედების შემდეგ დასაქმებულების რაოდენობა გაიზრდება. კომპანიაში დასაქმდება დამატებით 8 პირი საჭიროების შემთხვევაში, რომლებიც იმუშავენ საგრანულატორო და სასაწყობე შენობაში. ნარჩენების გადამუშავების ხაზის მუშაობის რეჟიმი ასევე იქნება საჭიროების შემთხვევაში 24 საათიანი (ნარჩენების გადამუშავების ხაზის სამუშაო რეჟიმი დამოკიდებული იქნება წარმოქმნილი და მიღებული ნარჩენების რაოდენობაზე. მცირე რაოდენობის ნარჩენების შემთხვევაში სამუშაო რეჟიმი იქნება მცირე დროის). ერთ ცვლაში დასაქმებული იქნება მაქსიმუმ 3 ადამიანი, რომლებიც იმუშავენ კვირაში არაუმეტეს 40 საათისა.
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის გაანგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ, აგრეთვე უახლოესი დასახლებული ზონის მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, ამდენად საწარმოს ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.
- ინსტრუმენტალურმა გაზომვებმა აჩვენა, რომ ხმაურის დონე გაზომვის 4 წერტილიდან 3 შემთხვევაში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ დონეს: უახლოეს მაცხოვრებელთან და საწარმოს შიდა ტერიტორიაზე (დანადგარების განთავსების უბანზე) მცირედით. გასათვალისწინებელია, რომ უახლოეს მაცხოვრებელთან ხმაურის არსებული ფონური დონე განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით - საცხოვრებლის სიახლოვეს (ჩრდილოეთით, 30 მ. მანძილში) წარმოდგენილია შპს „ლორდის“ კუთვნილებაში არსებული ტერიტორია და საწარმო, საცხოვრებლის აღმოსავლეთით ასევე მდებარეობს ყოფილი თეთრონის ქარხანა და იქ არსებული წარმოებები. ჩრდილო-დასავლეთით 70 მ. მანძილში გადის ჭირნახულის ქუჩის საავტომობილო გზა. ასევე, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები განთავსებულია სამრეწველო ზონა-1-ში, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის წარმოებები, რაც განაპირობებს ხმაურის დონის არსებულ ფონს.
- ხმაურის დონის მოდელირების გამოთვლის შედეგები გვიჩვენებს, რომ ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში (უახლოესი საცხოვრებელი) მექანიზმების ერთდროული მუშაობისას აღემატება დასაშვებ ნორმას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ინსტრუმენტალური გაზომვების შედეგად დაფიქსირებული ფონური დონე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოდელირებაში გამოყენებული ფორმულა

არ ითვალისწინებს ხმაურის გავრცელების ხელოვნურ (მაგ: შენობა-ნაგებობები) და ბუნებრივ ბარიერებს (მთა, ბორცვი, გამწვანება და სხვა). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოებისათვის საჭირო ყველა დანადგარი დახურულ შენობაშია განლაგებული, ამასთან კომპანიის კუთვნილი ტერიტორია შემოსაზღვრულია ბეტონის ღობით, წარმოქმნილი ხმაურის დონე საგრძნობლად შემცირდება უახლოეს რეცეპტორამდე (უახლოესი საცხოვრებელი). არსებული ბარიერების (შენობები, ბეტონის ღობე, ხე-მცენარეები) გათვალისწინებით უახლოეს მაცხოვრებლამდე ხმაურის დონის შემცირება მოსალოდნელია მინიმუმ 20 დბა-თი (რასაც ადასტურებს [პარაგრაფი 8.1.2.2.1-ის](#) ცხრილში 8-7 მოცემული გაზომვის შედეგები. საწარმოო უბანზე ხმაურის დონე 82 დბა-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ეზოში 55 დბა-მდე შემცირდა. ამ შემთხვევაში ბარიერს მხოლოდ საწარმოო შენობის კედელი წარმოადგენდა, რამაც ხმაურის დონეს საგრძნობლად შემცირა), რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საწარმოს ფუნქციონირებით უახლოეს მაცხოვრებელზე ხმაურით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. ასევე აღსანიშნავია, რომ გაანგარიშებისას გამოყენებული იყო ე.წ ყველაზე ცუდი სცენარი (მექანიზმის ერთდროული მუშაობა), რომელსაც სავარაუდოდ ადგილი არ ექნება. ამასთან დამტკიცებელი, რომელსაც ხმაურის ყველაზე მაღალი დონე გააჩნია ღამის საათებში არ იმუშავებს.

- ვიზრაციის ინსტრუმენტალური გაზომვის შედეგებიდან ირკვევა, რომ საწარმოს შიდა ტერიტორიაზე დაფიქსირებული ვიზრაციის დონეები, როგორც ლოკალური ასევე ზოგადი ვიზრაციის შემთხვევაში აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ზღვრულად დასაშვებ ნორმას.
- საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, ნიადაგზე და გრუნტზე, ბიოლოგიურ გარემოზე და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება, რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში.
- ნარჩენების გადამუშავებისა და პროდუქციის წარმოების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გაუფრთხილებლობით, ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორი მართვამ, სამუშაო გრაფიკის დარღვევამ, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. პროექტის განხორციელებისას, კომპანიაში დამატებით 8 ადამიანის დასაქმებაა დაგეგმილი. დასაქმებულთა მოცემული რაოდენობა ვერ შეიტანს განსაკუთრებულ წვლილს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდაში, თუმცა აღსანიშნავია წვლილი დასაქმებულთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება დასაქმებასა და ეკონომიკურ გარემოზე შეიძლება ჩაითვალოს დადებითად.
- სს „თბილპოლიმერის“ ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოების მოწყობა და ფუნქციონირება კუმულაციურ ზემოქმედებას იქონიებს არსებულ ფონურ მდგომარეობაზე, რაც გამოხატული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით, ხმაურის გავრცელებით და ნარჩენების წარმოქმნით.
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუმულაციური ეფექტის დასადგენად გაკეთდა კომპიუტერული მოდელირება, სადაც გაანგარიშებულია

მაქსიმალური დატვირთვის პერიოდში, წარმოებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა (იხილეთ პარაგრაფი 8.1.1). გაანგარიშების პერიოდში ფონად გათვალისწინებული იქნა შპს „ლორდის“ და შპს „ჯორჯიან პეტ პლასტ მენეჯმენტის“ საქმიანობების პერიოდში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებიც. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაანგარიშებამ აჩვენა, რომ სს „თბილპოლიმერი“ საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში (**აქ იგულისხმება როგორც პირველადი ნედლეულის, ასევე ნარჩენების გადამუშავების პროცესი მაქსიმალური დატვირთვის პერიოდში**), კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს, როგორც უახლოეს მაცხოვრებელთან, ასევე 500 მეტრიან რადიუსში.

- საწარმოს ფუნქციონირება ასევე გამოიწვევს ხმაურის გავრცელებას და ფონური მდგომარეობის შეცვლას. როგორც ხმაურის გაანგარიშების პარაგრაფშია მოცემული (პარაგრაფი 8.1.2), ყველა დანადგარის და მექანიზმის ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში ხმაურის დონე მცირედით გადააჭარბებს დასაშვებ მნიშვნელობებს. თუმცა გაანგარიშება შესრულდა ხმაურის ბარიერების გათვალისწინების გარეშე, ხოლო წარმოებაში არსებული და სამომავლოდ გათვალისწინებული ყველა დანადგარი განთავსდება დახურულ შენობაში. ამასთან კომპანიის ტერიტორიას გარს აკრავს რკინა-ბეტონის ფილების ღობე. აღნიშნული ბარიერები საგრძნობლად შეამცირებს ხმაურის დონეს (რასაც ადასტურებს [პარაგრაფი 8.1.2.2.1-ის](#) ცხრილში 8-7 მოცემული გაზომვის შედეგები. საწარმოო უბანზე ხმაურის დონე 82 დბა-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ეზოში 55 დბა-მდე შემცირდა, ამ შემთხვევაში ბარიერს მხოლოდ საწარმოო შენობა წარმოადგენდა. ამასთან, უახლოეს მაცხოვრებელთან ხმაურის ფონური დონე უფრო [მაღალია](#). ვიდრე ეს გაანგარიშებაშია მოცემული), რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საწარმოს ფუნქციონირება ფონურ ხმაურის დონეზე უმნიშვნელო ზეგავლენას იქონიებს.
- საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ასევე მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება. ამ თვალსაზრისით, ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოების დამატება დადებით კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ექნება ნარჩენების წარმოქმნას, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად გადამამუშავდება ბევრად დიდი რაოდენობის ნარჩენები. გადამამუშავებული ნარჩენების ნაწილი არსებულ წარმოებაში წარმოქმნილი ნარჩენები იქნება, რომელიც ადგილზე გადამამუშავდება. ნარჩენების ადგილზე გადამამუშავებას მაღალი გარემოსდაცვითი ეფექტი გააჩნია (სიახლოვის პრინციპი, რესურსების დაზოგვა და სხვა).
- კუმულაციურ ზემოქმედების თვალსაზრისით ასევე გასათვალისწინებელია სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება. როგორც აღინიშნა კომპანია ნარჩენების ტრანსპორტირებას განახორციელებს, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით, ასევე ნარჩენებს საწარმოს ტერიტორიაზე მიიღებს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან. ნარჩენების ტრანსპორტირებისას მოსალოდნელია ნამწვი აირების გაფრქვევა და ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურება. ამ შემთხვევაში კუმულაციური ეფექტის შეფასება შეუძლებელია, რადგან ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის არ იქნება შედგენილი კონკრეტული გეგმა-გრაფიკი, რაც შეუძლებელს ხდის განისაზღვროს ატმოსფერულ ჰაერში ნამწვი აირების რაოდენობრივი მაჩვენებელი. გადასამუშავებელი ნარჩენების (ის ნარჩენების,

რომლებიც კომპანიის სატრანსპორტო საშუალებით უნდა იქნეს შემოტანილი საწარმოში - მაქსიმუმ 20 ტონა, სადაც ასევე გათვალისწინებულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საწარმომდე მოტანილი (რაოდენობა) რაოდენობის გათვალისწინებით სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

- საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, შესაძლებელია გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება აღმოფხვრა.
- ნარჩენების მართვის კოდექსის და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიზნობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, სს „თბილპოლიმერის“ გეგმა გადაამუშაოს პლასტიკის ნარჩენები, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების სფეროში ეროვნულ დონეზე. კომპანიის მიერ გადამუშავებული ნარჩენები შეამცირებს, როგორც პირველადი ნედლეულის გამოყენების მაჩვენებელს, ასევე ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას.

რეკომენდაციები

- სს „თბილპოლიმერმა“ უნდა უზრუნველყოს გზშ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების დაცვა და ზედმიწევნით შესრულება;
- გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისა და კონტროლოს მიზნით, სს „თბილპოლიმერმა“ უნდა დაიცვას გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში მოცემული ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი და უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით ზუსტად უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმები.
- სასურველია პერიოდული ეკოლოგიური აუდიტის ჩატარება (შიდა რესურსებით ან მოწვეული კონსულტანტის მიერ) - გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით მაღალი რისკის მქონე პროცესების გამოვლენა და პრობლემის გადაჭრა მოკლე ვადებში;
- მუდმივად უნდა განხორციელდეს ტექნიკა-დანადგარების გამართულობის კონტროლი;
- პერსონალი უნდა აღიჭურვოს შესაბამისი დამცავი საშუალებებით და პერიოდულად ჩაუტარდეთ სწავლება/ტესტირება გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე.

14 გამოყენებული ლიტერატურა

- 1 საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“
- 2 საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.
- 3 საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“
- 4 საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია;
- 5 საქართველოს მთავრობის დადგენილება №414 „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016 – 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- 6 საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“;
- 7 საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“
- 8 საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.
- 9 საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“
- 10 საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“
- 11 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება № 42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
- 12 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილება „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- 13 “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №297/ნ.
- 14 საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს ბრძანება № 1-1/1743 „დაპროექტების ნორმების-„სამშენებლო კლიმატოლოგია“.
- 15 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- 16 საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე , საქართველოს მთავრობის დადგენილება N425
- 17 საქართველოს მთავრობის დადგენილება №431 წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში, ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
- 18 პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის დადგენილება
- 19 УПРЗА «ЭКОЛОГ», версия 4, ФИРМА «ИНТЕГРАЛ 1990-2017.

15 დანართები

დანართი 1. დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები

Appendix 1 to Contract
CONFIGURATION AND TECHNICAL DETAILS
 LDPE TWIN DIE HEAD FILM BLOWING MACHINE QL-65-650 D2LH HDPE, LDPE, PLA
TECHNICAL DETAILS:

Приложение к Контракту № 1
ТЕХНИЧЕСКИЕ ХАРАКТЕРИСТИКИ
 ДВУХГОЛОВЫЙ ЭКСТРУДЕР QL-65-650 D2LH HDPE, LDPE, PLA
ТЕХНИЧЕСКИЕ ХАРАКТЕРИСТИКИ:

ხელშეკრულების დანართი № 1
ტექნიკური მახასიათებლები
 ორ თავაკიანი ექსტრუდერი QL-65-650-D2LH HDPE, LDPE, PLA
ტექნიკური მახასიათებლები:

Screw Dia	φ 65 mm
Screw Length L/D	28/1
Barrel and Screw Material	ACM 2
Gear Material	SNCM-21 (with Nitrided and Finished)
Temperature Control Zones	4+1+2
Barrel Cooling System	Air cooling
Screen filter	1 set (changed to manual type, see options)
Max. Extrusion Output/hr	150 kgs
Main Motor	50 HP A.C.Motor with Inverter

Диаметр шнека	φ 65 мм
Соотношение длина/диаметр шнека	28/1
Материал Шнека и Цилиндра	ACM 2
Материал шестерни	SNCM-21 (с Нитридной обработкой)
Зоны темп. контроля	4+1+2
Система охлаждения цилиндра	Воздушное охлаждение
Устройство смены фильтра	1 * Заменен на ручной тип, см опции
Макс. производительность	150 кг/час
Мощность главного двигателя	50 л/с А.С. мотор +инвертор

შნეკის დიამეტრი	φ 65 მმ
შნეკის სიგრძის/დიამეტრის თანაფარდობა	28/1
შნეკისა და ცილინდრის მასალა	ACM 2
კბილანას მასალა	SNCM-21 (ნიტრიდით დამუშავებული)
ტემპერატურის კონტროლის ზონები	4+1+2
ცილინდრის გაგრილების სისტემა	ჰაერის გაგრილება
ფილტრის შეცვლა	1 * შეიცვალა სახელმძღვანელო ტიპი. იხილეთ პარამეტრები
მაქს. წარმადობა	150 კგ/სთ
მთავარი ძრავის სიმძლავრე	50 ცმ ა.ს. ძრავი + ინვერტორი

Inflation Spiral Dies	2	φ 80 mm & φ 120 mm
Control Zone	2x2	
Thickness & Width of Tube		0,02-0.15 mm T, 600 mm W (max)
A-meter, magnetic switch power relay, etc. Auto Temperature Controller : 11 points.		

Вдувная экструзионная головка (спирального типа)	2 шт.	φ 80 мм & φ 120 мм
Зоны контроля	2x2	
Толщина и ширина пленки		0,02-0.15 мм Т, 600мм Ш (макс)
Шкаф управления включает в себя полный набор элементов + Амперметр и магнитное реле + термо контроллеры 11 шт		

ფირის გასაბერი თავაკი (სპირალური ტიპის)	2 ც.	φ 80 მმ & φ 120 მმ
კონტროლის ზონა	2x2	
ფირის სისქე და სიგანე		0,02-0.15 მმ სისქე, 600მმ სიგანე (მაქს)
მართვის მთავარ ელექტრო ფარში შედის ელემენტების სრული ნაკრები + ამპერმეტრი + მაგნიტური რელე+ 11 თერმო კონტროლერი.		

Take-Up Motor	1/2 HP A.C. Motor + Inverter
Take-Up speed	Max 60 M/Minute.
Pinich Roll Width	650 mm

Вытяжной двигатель	1/2 л.с AC + инвертор
Скорость вытяжки	60 м/мин макс.
Ширина вытяжного вала	650 мм

ფირის ამქაჩავი ძრავი	1/2 ცმ AC + ინვერტორი
აქაჩვის სიჩქარე	60 მ/წთ მაქს.
ამქაჩველი ლილვის სიგანე	650 მმ

Winding Motor	30 kg/cm2 AC Torque Motor
---------------	---------------------------

Двигатель намотчика	30 кг/см AC, моментный
---------------------	------------------------

დამხვევის ძრავა	30 კგ/სმ AC, მომენტის ზრუნვის ძრავა
-----------------	-------------------------------------

სს „თბილპოლიმერი“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

Winding Hard Chromium Steel Roller	Ø 260 mm × 650 mm	Стальной вал намотки (хромированный)	Ø 260 мм × 650 мм	ფოლადის დამხვევი ლილვი (ქრომირებული)	Ø 260 მმ × 650 მმ
Rubber Roller	Ø 110 mm × 650 mm	Резиновый вал	Ø 110 мм × 650 мм	რეზინის ლილვი	Ø 110 მმ × 650 მმ
Winding Bobbin Shaft	Ø 56 mm × 757 mm	Вал намотки рулона	Ø 56 мм × 757 мм	რულონის დამხვევი ლილვი	Ø 56 მმ × 757 მმ
Max Winding Dia	600 mm (max)	Диаметр намотки	600мм (макс)	დამხვევის დიამეტრი	600მმ (მაქს)
Max Winding Width	600 mm (max)	Ширина намотки	600мм (макс)	დამხვევის სიგანე	600მმ (მაქს)
Aluminum Alloy Air Ring	2	Обдувочное кольцо из специального алюминиевого сплава.	2 комп.	სპეციალური ალუმინის შენადნობისგან დამზადებული საჰაერო რგოლი	2 კომპ.
Air Blower	5 HP	Мощность вентилятора обдува	5 л.с мотор	საჰაერო გამფრქვევის სიმძლავრე	5 ცმ ძრავი.
OPTIONS	Qty	ОПЦИИ	Кол-во	პარამეტრები	რაოდ.
Autoloader	1	Автозагрузчик	1	მასალის ავტომატური მოწოდებელი	1
Extra cost for BI-metallic screw+barrel	1	Дополнительная стоимость за биметаллический шнек и цилиндр	1	დამატებითი ღირებულება BI-მეტალის შნეკსა და ცილინდრზე	1
Die rotating device	1	Устройство вращения головы	1	მბრუნავი თავაკის მოწყობილობა	1
Manual type screen changer	1	Ручная смена экрана	1	ხელით შეცვლის ფილტრი	1
Embossing roller	2	Устройство тиснения	2	გოფირება	2
Upgrade winder to FBW type	2	Улучшение намотчика до FBW	2	დამხვევის განახლება FBW ტიპის დამხვევზე	2
Modification of construction	1	Модификация конструкции	1	კონსტრუქციის მოდიფიკაცია	1
Treater 600mmw. 1.0 KW	2	Активатор 600 мм, 1,0 кВт	2	აქტივატორი 600 მმ, 1,0 კვტ	2

“QUEEN'S MACHINERY CO., LTD.”

President
James Chen

QUEEN'S MACHINERY
CO., LTD

“ “ 2020 year

ПОКУПАТЕЛЬ

Генеральный директор
Jakob Ghloni



მყიდველი

გენერალური დირექტორი
იაკობ ღლონტი



სს „თბილპოლიმერი“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

Appendix 2 to Contract

CONFIGURATION AND TECHNICAL DETAILS

T-SHIRT CARRIER BAG MAKING MACHINE QTB – 850 S2 PLA

TECHNICAL DETAILS:

Приложение к контракту № 2

ТЕХНИЧЕСКИЕ ХАРАКТЕРИСТИКИ

ДВУХРУЧЬЕВАЯ РУБОЧНО-СВАРОЧНАЯ МАШИНА QTB - 850 S2 ДЛЯ ПРОИЗВОДСТВА ПАКЕТОВ ТИПА "МАЙКА" PLA

ТЕХНИЧЕСКИЕ ХАРАКТЕРИСТИКИ:

ხელშეკრულების დანართი № 2

ტექნიკური მახასიათებლები

მასიურის ტიპის პარკების წარმოებელი დანადგარი QTB – 850 S2 PLA

ტექნიკური მახასიათებლები:

Machine Output	200 Cut/Min.
Machine Line Speed	80 M/Min.
Bag width	150 mm W-350 mm W (Min-Max)
Bag length	400 mm L - 600 mm L (Min-Max)

Производительность	200 ударов/мин.
Скорость линии	80 м/мин.
Ширина пакета	150 мм – 350 мм (мин – макс)
Длина пакета	400 мм – 600 мм (мин – макс)

წარმადობა	200 ციკლი/წთ.
წირული სიჩქარე	80 მ/წთ.
პარკის სიგანე	150 მმ – 350 მმ (მინ – მაქს)
პარკის სიგრძე	400 მმ – 600 მმ (მინ – მაქს)

Unwinder dia	800*2 mm/Max.
Unwinder width	350*2 mm W /Max.
Unwinder dev	Pneumatic Cylinder Type
Unwinder shaft	Air-Shaft

Диаметр размотки	φ 800 мм (макс) x 2
Ширина размотки	350 мм (макс) x 2
Устройство размотки	Пневматика
Размоточные валы	Пневмовалы

გადმომხვევის დიამეტრი	φ 800მმ (მაქს) x 2
გადმომხვევის სიგანე	350 მმ (მაქს) x 2
გადმომხვევი მოწყობილობა	პნევმატიური
გადმომხვევის ლილვები	პნევმოლილვები

Take-Off Dev	Blower Tension
Take-Off Roller	400 mm x 2
Take-Off Motor	1/2 HP AC + Inverter * 2
Feeding Roller	400 mm x 2
Photoel 1 Control	2

Устройство съема	Натяжение обдува
Ширина съемного вала	400 мм x 2
Двигатель	1/2 л.с. + инвертор x 2
Подающий вал	400 мм x 2
Контроль фото – глаз	2

ამოქაჩვის მოწყობილობა	საჰაერო გამრეცქვევის დაჭიმულობა
ამოქაჩვის ლილვის სიგანე	400 მმ x 2
ძრავი	1/2 ც.მ. + ინვერტორი x 2
მომწოდებელი ლილვი	400 მმ x 2
ფოტო კონტროლი	2

Sealing Dev	2
Servo Control	1

Запаечное устройство	2
Сервоконтроль	1

ფირის შემღვდელელი მოწყობილობა	2
-------------------------------	---

სს „თბილპოლიმერი“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

Servo Motor	3 კВт – AC x 2	Сервомотор	3 კВт – AC x 2	სერვოკონტროლი	1
Main Drive Motor	1 HP AC + Inverter.	Двигатель главного привода	1 л.с. AC + инвертор	სერვომრავი	3 კვტ – AC x 2
				მთავარი მრავი	1 ც.მ. AC + ინვერტორი

Cutting Mould	Wooden mould + Punching Knife	Вырубная форма	Деревянная форма + вырубной нож	ამოკვეთი ფორმა	ხის ფორმა + საჭრელი დანა
Punching	Pneumatic Oil Pressure Type 3T	Вырубка	Пневмо-гидравлического типа 3T	ამოკვეთვა	პნევმო-ჰიდრავლიკური ტიპის 3ტ
Dial Bag Motor	60 W	«Dial bag» двигатель	60 Вт	«Dial bag» მრავი	60 ვ
Clip Bag Motor	1/2 HP	«Clip bag» двигатель	1/2 л.с.	«Clip bag» მრავი	1/2 ცმ
Product Conveyor	60 W	Конвейер готовой продукции	60 Вт	მზა პროდუქციის კონვეიერი	60 ვატი
Waste Conveyor	60 W	Конвейер отходов	60 Вт	ნარჩენის კონვეიერი	60 ვატი
Total power consumption	20 KW	Потребляемая мощность	20 кВт	ენერგო მოხმარება	20 კვატი
Total Air Consumption	570 L/Min	Потребление сжатого воздуха	570 л/мин	ჰაერის მოხმარება	570 ლწთ
Machine Layout	6900 mm(L) x 1800mm(W) x 1650 mm(H)	Габариты машины	6900 мм(Д) x 1800мм(Ш) x 1650 мм(В)	მანქანის გაზომვები	6900 მმ(სიგრ) x 1800მმ(სიგ) x 1650 მმ(სიმა)

OPTIONS	Qty	ОПЦИИ	Кол-во	პარამეტრები	რაოდენობა
CONVEYOR DEVICE for PUNCHED WASTE	1	Конвейерное устройство переработанных материалов	1	კონვეიერული მოწყობილობა გადამამუშავებელი მასალისთვის	1

“QUEEN’S MACHINERY CO., LTD.”

President
James Chen
QUEEN’S MACHINERY CO., LTD
2020 year

ПОКУПАТЕЛЬ

Генеральный директор

Iakob Ghlonji
“ 09.11.2020г.”
სს „თბილპოლიმერი“
208143855
GEORGIA. JSC "TBILPOLIMERI"

მყიდველი

გენერალური დირექტორი

იაკობ ლლონჯი
“ 09.11.2020წ”
სს „თბილპოლიმერი“
208143855
GEORGIA. JSC "TBILPOLIMERI"

Appendix 3 to Contract

CONFIGURATION AND TECHNICAL DETAILS

T-SHIRT CARRIER BAG MAKING MACHINE QTD-850 G2

TECHNICAL DETAILS:

Machine Output	260 Pcs/Min.
Machine Line Speed	120 M/Min.
Bag Width	220 mm – 350 mm (min – max)
Bag Length	400 mm – 600 mm (min – max)
Bag Thickness	0,01-0,025 mm
Take-Off Device	Auto. Tension
Take-Off Roller	1080 mm
Take-Off Motor	1 HP AC+ Inverter
Feeding Roller	400 mm x 2 - 800 mm x 1
Photocell Control	1
Edge Position Control	1
Sealing Device	2
Servo Control	1
Servo Motor	5.5 KW-AC
Main drive motor	2 HP-AC+ Inverter
Unwinder Dia	1000 mm/max.
Unwinder Width	1000 mm/max.
Unwinder Lift	Hydraulic
Unwinder Shaft	Air Shaft x 1
Unwinder Motor	1 HP with Inverter
Hot Slitting device	1
Temperature Controller	1

Приложение к Контракту № 3

ТЕХНИЧЕСКИЕ ХАРАКТЕРИСТИКИ

ПАКЕТОДЕЛАТЕЛЬНАЯ МАШИНА QTD-850 G2 ДЛЯ ПРОИЗВОДСТВА ПАКЕТОВ ТИПА "МАЙКА"

ТЕХНИЧЕСКИЕ ХАРАКТЕРИСТИКИ:

Производительность	260 шт/мин.
Скорость линии	120 м/мин.
